იბეჭდება შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის
ფინანსური მხარდაჭერით PHDF-21-7024

ანა ცაცანაშვილი

# არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის მართვის პრობლემები

## (იაპონია საქართველოს ურთიერთობის პერსპექტივები)

Ana Tsatsanashvili

# The issue of intangible cultural heritage management

## (Prospects for Japan-Georgia relations)

თბილისი 2023

**არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის მართვის პრობლემები**
**(იაპონია საქართველოს ურთიერთობის პერსპექტივები)**

წიგნი ეხება ევროპის დონეზე კულტურული მემკვიდრეობის საერთაშორისო უსაფრთხოების კონტექსტში განხილვის დისკურსს, მემკვიდრეობის ობიექტთა გაფართოების ბოლოდროინდელ მცდელობებს და ციფრულ ტექნოლოგიებზე გადასვლის ტენდენციებს. აკმ შესწავლილია, როგორც გეოპოლიტიკური მშვიდობიანი თანაარსებობის რესურსი, არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსის მისანიჭებლად გამოვლენილია ახალი ობიექტები. მოცემულია საქართველო-იაპონიას შორის კულტურული დიპლომატიის ტრადიციებსა და ხელოვნური ინტელექტის ტექნოლოგიების სფეროში გამოცდილების გაზიარების პერსპექტივები; აგრეთვე, UNESCO-ს კულტურული მეკვიდრეობის მდგრადობის ინდქესის შემუშავებისა და აკმ-ს ინვენტარიზაციის მეთოდები.

**დასაბეჭდად რეკომენდირებულია:** საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ბიზნესტექნოლოგიების ფაკუტეტის საჯარო მმართველობის პრობლემათა კვლევების ინსტიტუტის რეფერირების საბჭოს მიერ: ვილჰელმ ჰაუზერი (საარბრიუკენი, გერმანია), ქეთევან ჰაგერი (ბონი, გერმანია); შოთა დოღონაძე (სტუ, საქართველო); გენადი იაშვილი (სტუ, საქართველო); დავით ლომიტაშვილი (საქართველოს ეროვნული მუზეუმის მეცნიერ-თანამსრომელი, ვინჩესტერის უნივერსიტეტის პროფესორი) თამაზ მარსაგიშვილი (ფიზიკა/მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი, სასწავლო-კვლევითი, სამეცნიერო ცენტრის დამფუძნებელთა საერთო კრების თავმჯდომარე)

**რედაქტორი:**
**რუსუდან ქუთათელაძე** - პროფესორი, სტუ ბიზნესტექნოლოგიების დეკანი

**რეცენზენტები:**
1. **ქეთევან ხუციშვილი** - პროფესორი, თსუ ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის განყოფილების ხელმძღვანელი;
2. **სალომე ხმიადაშვილი** - ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი (რენატა ტებალდისა და მარიო მელანის სახელობის საერთაშორისო აკადემია, იტალიის - პეზაროს აკადემიის ფილიალი)

გამომცემლობა შპს „ფრანი“
ISNN – 978-9941-8-5775-1
**DOI:** https://doi.org/10.52340/9789941857751

შინაარსი

შესავალი.......................................................................................................................

**თავი 1 - არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის მართვის თეორიული საფუძვლები და თანამედროვე პრობლემები**..................................................................................................

1.1. არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის შესწავლის თეორიული საფუძვლები

1.2. კულტურული ლანდშაფტის მომავლის თეორიები და მიდგომები................................

1.3. ისტორიულ-ეთნოგრაფიული წყაროები და საერთაშორისო ურთიერთობები კულტურული მემკვიდრეობის გამოსავლენად.........................................................................................

1.4. კულტურული მემკვიდრეობის მართვის სფეროში ახალი ტექნოლოგიების დანერგვის პრობლემის თეორიული საფუძვლები..........................................................................

**თავი 2 გლობალურ-ლოკალური პროცესების დინამიკა და კულტურული პოლიტიკის ტრანფორმაცია 21-ე საუკუნეში**......................................................................................................................

2.1. კულტურული მემკვიდრეობის დაცვა უსაფრთხოების საერთაშორისო დღის წესრიგში..............................................................................................................................

2.2. კულტურული მემკვიდრეობის როლი „გლობალური კულტურის სამშვიდობო პოლიტიკაში...........................................................................................................................

2.3. გლობალური გამოწვევების პირობებში კულტურული მემკვიდრეობის დაცვის მიდგომები და მეთოდები (კონსტრუქტივიზმი და უსაფრთხოების თეორია...............................

2.4. კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ტრანსფორმაცია და უსაფრთხოების კონტექსტის მნიშვნელობა საქართველოსთვის..........................................................................

~**თავი 3. იშვიათი ტექნოლოგიების ქართული ტრადიციები - სამი ევრაზიული სტრატეგიის კონტექსტში**...........................................

3.1. ევრაზიული სტრატეგიების თეორია და დაბალანსების სცენარები საქართველოში...........................................

3.1.1. ევრაზიული სტრატეგიების თეორიები.............................................

3.1.2 ევრაზიული გეოპოლიტიკური სტერატეგიები (ჩინეთის „ახალი აბრეშუმის გზა“, აშშ-იაპონიის ალიანსი, რუსეთის ევრაზიული კავშირი)....................................................

3.1.3 დაბალანსების სცენარები და ინსტრუმენტები....................................................

3.2. ღვინის დაყენების ტრადიციული მეთოდის, როგორც კულტურული მემკვიდრეობის თავისებურებები საქართველო-იაპონიის მაგალითზე............................................................

3.2.1. ღვინის დაყენების ტრადიციული მეთოდის დაცვის სტრატეგიის გაფართოების დასაბუთება..............................................................

3.2.2. ღვინის იშვიათი ტექნოლოგია აბრეშუმის გზის ტურიზმის ახალ სართაშორისო პროგრამებში......................................................................

3.2.3. იაპონიის ღვინის კულტურის „ერთობლივი ქსელით“ მართვის პრაქტიკა

3.3. ქართული აბრეშუმის ტექნოლოგია და წარმოების სარგებლიანობა გეოსტრატეგიულ პროექტებში.........................................

3.3.1. ქართული აბრეშუმის ტექნოლოგიის კულტურულ-ისტრორიული წანამძღვრები და წარმოების მართვის პრაქტიკა..........................................................

3.3.2. ქართული აბრეშუმის ტექნოლოგიის შენარჩუნებისა და განვითარების ტენდენციები............................................

3.3.3. აბრეშუმის ტრადიციული ტექნოლოგიის შენარჩუნებისა და განვითარების იაპონური მოდელი....................

**თავი 4 არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ახალი ობიეტების საქართველოში.............**

4.1. „გელათური აზროვნება“, როგორც განათლების მეცნიერებისა და პრაქტიკის ინტერდიციპლინური მართვის ტრადიცია.......................................

4.2. Terra Rossa (წითელმიწანიადაგი) საქართველოში, როგორც კულტურული მემკვიდრეობის ობიექტი მიწის მდგრადი მმართვის სახელმწიფო პოლიტიკაში…......
თავი 5. **ახალი გამოწვევები და ციფრული ტექნოლოგიების შესაძლებლობები არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის მართვაში...............................**
5.1. ციფრული ტექნოლოგიების დანერგვის მეთოდური საფუძვლები არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სფეროში................................................................
5.2. ტექნოლოგიების ტრანსფერი არამატერიალური მემკვიდრეობის დაცვის სფეროში................................................
5.2.1. IoT ტექნოლოგია და "ჭკვიანი სახლის" კონვეფცია.........................................
5.2.2. სემანტიკური ძიების TSTS (თემა-სივრცე-დრო ძიება) მეთოდი......................
5..2.3 სენსორების ქსელი კულტურული მემკვიდრეობის ჩაწერისა და ფიქსაციის პროცესში.............................................
5.3. მონაცემთა გაციფრულების პრაქტიკა და არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის შესახებ ცოდნის გადაცემის პროცესის მართვა...............................
5.4. აკმ-ს დიგიტალიზაციისა და „ცოცხალი ცოდნის“ ურთიერთქმედების პროცესის მართვა..............................
5.5. არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის მართვის მოდელი დიგიტალიზაციის პროცესში...................................
**თავი 6 აკმ-ს დიგიტალიზაცია საქართველოში - გამოწვევები და დაძლევის შესაძლებლობები.........................................................................**
**6.1.** კვლევის სფერო და მეთოდოლოგია.......................................................................
6.2. ემპირიული კვლევის ანალიზი...................................................................................
6.3. ემპირიული კვლევის შეჯამება..................................................................................
**დასკვნა.......................................................................................................................**
**Abstract...................................................................................................................................**
**მადლიერების გვერდი** ...............................................................................

## აბრივიატურის ნუსხა:

**ICH** - არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობა;
**TSTS** - თემა-სივრცე-დრო ძიება (სემანტიკური ძიების მეთოდი;
**UNESCO** - გაეროს განათლების, მეცნიერებისა და კულტურის ორგანიზაცია
**WOS** - მეცნიერების ვებ გვერდი
**SSCI** - სოციალურ მეცნიერებათა ციტირების ინდექსი
**A&HCI** - ხელოვნებისა და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ციტირების ინდექსი;
**CPCI** - კონფერენციის მასალების ციტირების ინდექსი;
**WIPO** - ინტელექტუალური საკუთრების მსოფლიო ორგანიზაცია;
**WTO** - მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაცია
**TRIPS** - ინტელექტუალური საკუთრების ვაჭრობის უფლებასთან დაკავშირებული ასპექტები
**T R** - Terra Rossa ( (წითელმიწა ნიადაგი);
**IoT** - ნივთების ინტერნეტი;
**GPS** - სანავიგაციო სისტემა;
**QR** - სწრაფი რეაგირების კოდი;
**RFID** - რადიო სიხშირული იდენტიფიკატორი;
**API** - აპლიკაციის პროგრამირების ინტერფეისი

**VR** - ვირტუალურინ რეალობა;
**MoCap** - მოძეაობის ჩაწერის ტექნოლოგია;
**BoW** - სიტყვათა კიდობანი;
**LED** - სინათლის სხივის დიოდი ;
**READ-IT** - ევროპის მონაცემთა გაფართოებული ძიების ინსტრუმენტი;
**CUX** - მომხმარებლის საუბრის გამოცდილება;
**AR** - გაძლიერებულ რეალობა;
**XR** - შერეულ რეალობა;
**iLLE** -იმერსიული სწავლის დონის რედაქტორი;
西陣織 - ნიშინჯირ ორი (იაპონური აბრეშუმის წარმოება)

家内工業 - კოტეჯის ინსდუსტრია იაპონიაში

## რედაქტორის წინასიტყვაობა

არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის მართვის პრობლემები (იაპონია საქართველოს ურთიერთიბის პერსპექტივები), საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ბიზნესტექნოლოგიების ფაკულტეტის დოქტორანტის, ანა ცაცანაშვილის „საჯარო მმართველობის“ საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში შესრულებული მონოგრაფიული ნაშრომია. კვლევის პრობლემის აქტუალურობას სამი ფაქტორი განსაზღვრავს: ევროპის დონეზე კულტურული მემკვიდრეობის საერთაშორისო უსაფრთხოების კონტექსტში განხილვის დისკურსი, მემკვიდრეობის ობიექტთა გაფართოვების ბოლოდროინდელი მცდელობები და ციფრულ ტექნოლოგიებზე გადასვლის ტენდენციები.

მთლიანობაში ეს არის კულტურული მემკვიდრეობის მართვის გამოწვევები, რომელთა დაძლევა ახალ მიდგომას გულისმობს: კულტურული მემკვიდრეობა როგორც: ახალი ტექნოლოგიების პირობებში კულტურული ტრადიციების შენარჩუნება-განვითარების გარემო; ეკონომიკური საქმიანობის ობიექტი, განადგურების რისკების გათვალისწინებით; გეოპოლიტიკური მშვიდობიანი თანაარსებობის რესურსი.

არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის (აკმ) მატერიალურთან კავშირის განსხვავებული ფორმებისა და დაცვის რეჟიმის ინდივიდუალური მექანიზმების ძიება, როგორც ცალკეული სახელმწიფოების, ისე UNESCO-ს, ვალდებულებაა. ეს ვალდებულება კულტურული მემკვიდრეობის დაცვის კონვენციებსა და 2015 წლის გაეროს სამიტზე მიღებულ დოკუმენტებზე გადის, რომლეთა მიხედვით, 2030 წლისთვის სამყაროს ტრანსფორმაციასა და მდგრად განვითარებაში ყველა კულტურას და ცივილიზაციას შეუძლია წვლილი შეიტანოს. ამასთან, არამატერიალური მემკვიდრეობის გამოვლენა, შესწავლა, შენარჩუნების სამეცნიერო კვლევების საჭიროებაზე მეტყველებს ისიც, რომ UNESCO-ს მონაცემებით 2003-2022 წ.წ. 5 რეგიონიდან 140 ქვეყნის მხოლოდ 676 ელემენტია არამატერიალურ მემკვიდრეობათა სიაში შეტანილი (მათ შორის საქართველოდან 4, იაპონიიდან 22).

აღსანიშნავია, რომ არამატერიალური მემკვიდრეობის პარადიგმა ბოლომდე დაზუსტებული არ არის, რაც პრობლემას წარმოადგენს ამ ობიექტის მართვის პრაქტიკაში. ასეთ სიტუაციაში, ავტორის სასარგებლოდ უნდა ითქვას, რომ მან ფოკუსირება არამატერიალური მემკვიდრეობის დაცვის სფეროში არსებულ უკანასკნელი პერიოდის გამოწვევებზე გააკეთა. პრობლემათა მასშტაბურბით კი, საზოგადოებისათვის საჭირო კულტურული აქტივებისაკენ პოსტმოდერნისტული შემობრუნებაის ტენდენცია გაზარდა. ავთენტურობის დინამიური ინტერპრეტაციები, „მრავალჯერადი დროებითი კუთვნილების“ აღიარება, ობიექტური თუ სუბიექტური პერსპექტივები, გლობალური და ადგილობრივი ინტერესები - ნაშრომის ახლებური აქცენტებია. ტრადიციულ ფონს წარმოადგენს არამატერიალური მემკვიდრეობის ისტორიული პოტენციალი - ჰაბიტატის შენარჩუნების მთავარი წყარო და „ცოცხალი“ პროცესი, რომელმაც თანამედროვეობის კონტექსტში შემოქმედებითი ხასიათი უნდა შეინარჩუნოს.

ნაშრომი ზოგად თეორიულ და სპეციალური მეთოდების ფართო სპექტრს ეყრდნობა, რომლის საფუძველზე მეცნიერულად განსაზღვრულია კვლევის ძირითადი კატეგორიების ფარგლები, გამოვლენილია კულტურული მემკვიდრეობის დაცვის რეჟიმის შემდგომი განვითარებისა და გეოპოლიტიკური დინამიკის ასპექტები, დასაბუთებულია ხელოვნური ინტელექტის ტექნოლოგიების შესაძლებლიბები ციფრული მუზეუმების და მონაცემთა

ბაზების ფორმირების საქმეში, რაც კულტურული მემკვიდრეობის შესახებ ცოდნის გადაცემის ეფექტურ საშუალებას წარმოადგენს.

პრობლემები კლასიფიცირებულია სივრცესა და დროში განხილვის კატეგორიების მიხედვით; სივრცით კატეგორიად არჩეულია თანამედროვე იაპონიის პრაქტიკის მნიშვნელობა გეოპოლიტიკურ გამოწვევებში. იაპონიაში არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის პროექტები ეტალონადაა აღიარებული და ეროვნულ დონეზე დაწინაურებულია კულტურის მართვის სახელმწიფო მოდერნიზაციის ინსტიტუტი. შესაბამისად, საქართველოს კარგი პერსპექტივა აქვს იაპონიასთან კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სფეროში თანამშრომლობის გაღრმავებისთვის, მათ შორის ხელოვნური ინტელექტის ტექნოლოგიის მეშვეობით არამატერიალური მემკვიდრეობის ჩაწერის, შენახვისა და გავრცელების სფეროში. რაც შეეხება დროში განხილვის კატეგორიას, შემოთავაზებულია ბოლო ხუთი წლის განმავლობაში წამოწეული პრობლემები კულტურული მემკვიდრეობის უსაფრთხოების, აკმ-ს ტურიზმის, ციფრული მუზეუმების და აკმ-ს ცნების გაფართოების პრობლემებთან დაკავშირებით.

ავტორის მიერ განხორციელებულ ზოგიერთი კვლევის შედეგს ახასიათებს სიახლე, რომელთა ერთობლიობა ქმნის კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ტრანსფორმაციის პროცესის მართვის თეორიულ მოდელს. სიახლეთა შორის აღსანიშნავია:

1. მატერიალური და არამატერიალური მემკვიდრეობის ურთიერთობის თანამედროვე მიდგომების საფუძველზე ქვევრის ღვინის დაყენების ტექნოლოგიისა და ვაზის განაშენიანების ადგილის ერთობლივი მართვის მექანიზმი, რომელიც გარემოსდაცვითი, სოციალური, კულტურული და ეკონომიკური მნიშვნელობის პროექტების ეფექტურობას განსაზღვრავს;
2. 2003 წლის სპეციალური კონვენციის გამოყენების სფეროს გაფართოება ახალი ობიექტებით: 1. გელათის მეცნიერებათა აკადემიის ტრადიციები, როგორც განათლების მეცნიერებისა და პრაქტიკის ინტერდისციპლინური მართვის ტრადიცია, 2. Terra Rossa (წითელმიწა ნიადაგი) - "კულტურული ღირებულების" მიხედვით ნიადაგის კლასიფიკაცია. ნიშანდობლივია, რომ გელათის აკადე მიის ტრადიციის ძეგლის სტატუსის მინიჭება წიგნის გამოცემამდე, უკვე აპრობირებულია საქართველოს ძეგლთადაცვის ეროვნულ სააგენტოს გენერალური დირექტორის 2022 წლის 30 დეკემბრის ბრძანებით. ხოლო წითელმიწა ნიადაგის ძეგლის სტატუსის განსაზღვრით შესაძლებელია „ნიადაგის არქივი“ შეიქმნას და იგი მიწის მდგრადი მართვის სახელმწიფო პოლიტიკის ელემენტი გახდეს;
3. ციფრული მუზეუმების მოდელში ახალი ტექნოლოგიებისა და მეთოდების შინაარსისა და შემადგენლობის ახსნა, რომელიც ხელს შეუწყობს არამატერიალური მემკვიდრეობის აქტივების ინვენტარიზაციისა და დაცვის ადეკვატური მმართველობითი გადაწყვეტილებების შემუშავებას;
4. არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის მართვის სისტემის დიგიტალიზაციის პროცესისათვის მზაობის შემოწმების მიზნით განხორციელებული ემპირიული კვლევის შედეგები, რომლებიც ხელოვნური ინტელექტის ტექნოლოგიის ტრანსფერისათვის საჭირო შესაბამისი ცოდნის ბაზის შექმნის, პერსონალის ციფრული კომპეტენციების განვითარებისთვის მართვითი ხასიათის გადაწყვეტილებების შემუშავების საშუალებას იძლევა.

წინამდებარე ნაშრომის თეორიული მნიშვნელობა მდგომარეობს ავტორის მცდელობაში, რომ აჩვენოს:

1. იუნესკოს როლის გაფართოების მნიშვნელობა და არამატერიალური მემკვიდრეობის უსაფრთხოების დაცვის პოლიტიკის განხორციელების ტრაექტორია;
2. ინტერდისციპლინური კულტუროლოგიური მიდგომის, კულტურის სოციოლოგიის, სემიოტიკისა და ჰერმენევტიკის მეთოდების, აგრეთვე კულტუროლოგიური „მეხსიერების

პარადიგმის“ გამოყენების საჭიროება, რომელიც მოცემულია ავტორის მიერ შესწავლილ საქართველოს ობიექტების მაგალითზე და აპრობირებულია იაპონიის კვლევით ცენტრებში კვლევის შედეგების პრეზენტირებით;

3. არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის და მატერიალური მემკვიდრეობის ერთობლივი დაცვის უზრუნველყოფის აქტივობები: არსებითი მახასიათებლების იდენტიფიცირების საშუალებები, კულტურული ფორმები, მათი ტიპოლოგია, როლი და ადგილი საქართველოში არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის განახლების პროცესში;

4. არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის განახლების სხვადასხვა სოციალურ-კულტურული მექანიზმების მნიშვნელობა, რომლებიც მოქმედებენ საქართველოს გეოსტრატეგიული პროექტების განვითარების პერსპექტივაზე;

აღსანიშნავია, რომ კვლევის შედეგებს პრაქტიკული მნიშვნელობაც გააჩნია. კერძოდ: კვლევის შედეგები შესაძლებელია გამოსადეგი იყოს საქართველოს მთავრობის სტრატეგიული ხედვის გაფართოებისა და საერთაშორისო ურთიერთობებში არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის განახლების პროცესში; წინამდებარე ნაშრომი გამოსადეგია სოციოკულტურული სერვისების, საჯარო მართვის, კულტურის სფეროს მართვის სპეციალისტების მომზადების პრაქტიკაში, კერძოდ, ისეთი დისციპლინების სწავლებისას, როგორიცაა: "კულტურული მემკვიდრეობის მართვა", "არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობა საერთაშორისო ურთიერთობებში", "სამუზეუმო კვლევები და მუზეუმების მართვა", "ინოვაციები, ტურიზმი, ცოდნის გადაცემა“, „ციფრული ტექნოლოგიები ტურიზმის ინდუსტრიაში“, პრაქტიკული კურსებისა და სადიპლომო ნაშრომების დიზაინისთვის. ნაშრომი შეიძლება აგრეთვე გამოყენებულ იქნას საუნივერსიტეტო სასწავლო კურსების ფორმირებაში პროფილური მიმართულებით „კულტუროლოგია და მართვა“; კულტურული ობიექტების დაცვის მიზნით სახელმწიფოს მართვითი საქმიანობის განვითარებაში, სამეცნიერო კვლევების ახალი მიმართულებების ჩამოყალიბებაში.

ავტორის პირადი წვლილი არა მარტო აკმ-ს ეფექტური მართვის თეორიული მოდელები და ძეგლის სტატუსის მისანიჭებლად ახალი ობიექტების გამოვლენაა, არამედ იაპონიის კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტოს შესაბამის სააგენტოსთან ერთად, აკმ-ს ობიექტების პოპულარიზაციის და სარგებლიანობის მიმართულებით განხორციელებული აქტივობებიცაა, რომლებიც შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის მხარდაჭერით განხორციელდა.

ვიმედოვნებთ, რომ ახალგაზრდა მკვლევარის, ანა ცაცანაშვილის ნამდვილად საინტერესო მონოგრაფიული ნაშრომი, პოპულარული წყარო იქნება კულტურული მემკვიდრეობის მართვის პრობლემებზე მომუშავე სპეციალისტებისათვის. კულტურის უსაფრთხოების, აკმ-ს ახალ ობიექტთა გამოვლენა/ინვენტარიზაციითა და კულტურის სფეროში ხელოვნური ინტელექტის საკითხებით დაინტერესებულ პირებს, კი სადისკუსიო თემების წამოწევის შესაძლებლობები უჩნდებათ.

**რუსუდან ქუთათელაძე** - პროფესორი,
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
ბიზნესტექნოლოგიების ფაკულტეტის დეკანი

## შესავალი

კულტურული მემკვიდრეობა, როგორც ინტერკულტურული და ეთნოკულტურული კომუნიკაციის საშუალება, ბოლო ათი წლის განმავლობაში სერიოზული საფრთხის წინაშე დადგა.

ამის მიზეზი არა მარტო გლობალიზაციით გამოწვეული ეთნიკური, რელიგიური თუ სხვა სახის კონფლიქტებია, არამედ კულტურული მემკვიდრეობით ბიზნესის მზარდი დაინტერესების პირობებში დაცვის ინსტრუმენტების ნაკლებობაცაა.

ევროპის დონეზე აქტუალურად მიმდინარეობს კულტურული მემკვიდრეობის საერთაშორისო უსაფრთხოების კონტექსტში განხილვის დისკურსი. ამასთან, შეინიშნება მემკვიდრეობის ობიექტთა გაფართოვების მცდელობები და ციფრულ ტექნოლოგიებზე გადასვლის ტენდენციები. ყოველივე ეს კულტურული მემკვიდრეობის მართვის გამოწვევებია, რომელთა დაძლევა სისტემურ მიდგომას საჭიროებს. მემკვიდრეობის „დაცვა" გარდა დოკუმენტირებისა, მოიცავს არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის (აკმ) სიცოცხლისუნარიანობის უზრუნველსაყოფისკენ მიმართულ ისეთ ღონისძიებებს, როგორიცაა: ობიექტის იდენტიფიკაცია, კვლევა, შენარჩუნება, მომავალ თაობისთვის გადაცემა განათლების გზით, გეოპოლიტიკურ პროექტებში სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესების და მშვიდობიანი თანაარსებობის რესურსად გამოყენება და სხვა.[1]

კლასიკური მიდგომა კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სფეროში გულისხმობს კონცეფციას, რომ არამატერიალური მემკვიდრეობა ქვეყნების მოსახლეობის კულტურული ტრადიციების მატარებელია და მისი დაცვის მიზანს თაობიდან თაობაზე გადაცემა, კულტურული თვითმყოფადობისა და „კულტურული მრავალფეროვნების"უზრუნველყოფა წარმოადგენს (Long, 2010).

გლობალური კონფლიქტებისა თუ დროთა განმავლობაში წარმოქმნილი ინდიფირენტულობის გამო ობიექტები იცვლებიან ან იკარგებიან. დაცვის იდეა ამ შემთხვევაში გულისხმობს საკუთარი ქვეყნის არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის პრობლემატიკის მეცნიერულ შესწავლას და მის პოპულარიზაციას, რის საფუძველზეც ახალგაზრდა თაობას შესაძლებლობა ეძლევა შეიმეცნოს საკუთარი იდენტობა, წარსულისაგან მიიღოს საუკეთესო გამოცდილება და გამოიყენოს ის მომავალში ბედნიერი ცხოვრების შესაქმნელად.

---

[1] საქართველოს ბოლოდროინდელ სტრატეგიულ დოკუმენტებში (საქართველოს მთავრობის დადგენილება საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგიის „საქართველო 2020" დამტკიცებისა და მასთან დაკავშირებული ზოგიერთი ღონისძიების თაობაზე,) სიტყვა „კულტურა" ერთხელაა გამოყენებული და ისიც სამეწარმეო კულტურის შესაძლებლობების გრაფიკაში. -„კულტურის სტრატეგია 2025"(№303, 2016),. ჩამოყალიბებულია ხედვა საქართველოს უნიკალური კულტურის, ხელოვნების, თვითმყოფადი და ავთენტური მემკვიდრეობის შესახებ. ამასთან, გამოჩნდა კულტურისა და ეკონომიკის კავშირი. დოკუმენტში ეკონომიკა 80-ჯერაა ნახსენები, შემოქმედებითი ინდუსტრიებისა და ტურიზმის განვითარების კინტექსტში.

წიგნის იდეა ამ კონცეფციის გაფართოებულ მიდგომას გულისხმობს. კერძოდ: არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობა განხილული იქნეს, როგორც: 1. ახალი ტექნოლოგიების პირობებში კულტურული ტრადიციების შენარჩუნება-განვითარების გარემო; 2. ეკონომიკური საქმიანობის ობიექტი, განადგურების რისკების გათვალისწინებით; 3. გეოპოლიტიკური მშვიდობიანი თანაარსებობის რესურსი.

იდეის კონცეპტუალური საფუძვლებია: 2008 წლის საერთაშორისო კონვენცია არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის დაცვის შესახებ[2], რომელიც ყურადღებას ამახვილებს ობიექტის მხოლოდ კულტურულ-სოციალური დაცვის პრობლემაზე; არსებობს, აგრეთვე ევროპის საბჭოს მიერ 2005 წ. მიღებული ე.წ. ფაროსის კონვენცია „საზოგადოებისათვის კულტურული მემკვიდრეობის მნიშვნელობის შესახებ“, რომლის მიხედვით ხელმომწერ სახელმწიფოებს კულტურული მემკვიდრეობისა და ეკონომიკური საქმიანობის ერთობლივი ვალდებულება წარმოეშობათ.[3] სახელმწიფოთა ეს ვალდებულება გულისხმობს კულტურული მემკვიდრეობის, როგორც მდგრადი ეკონომიკური განვითარების ფაქტორის გამოყენებას. ამასთან, ეკონომიკური პოლიტიკის განსაზღვრისას საჭიროებს კულტურული მემკვიდრეობის სპეციფიკური ხასიათისა და საზოგადოებრივი ინტერესების გათვალისწინებას.

საქართველოს სტრატეგიულ დოკუმენტებში კულტურული მემკვიდრეობის პოტენციალი, მისი დაცვისა და გამოყენების შესაძლებლობები, სრულფასოვნად არ არის წარმოდგენილი. ევროკავშირთან აღებული კურსის მიხედვით კი პრობლემა სისტემურ დამუშავებასა და გადაწყვეტის გზების ძიებას ითხოვს. ისიც გასათვალისწინებელია, რომ საკანონმდებლო ინიციატივაში - საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის კოდექსის პროექტში (რომელიც განხილვაშია) ეს პრობლემები ისევ ღიად რჩება.

მატერიალური კულტურული მემკვიდრეობისაგან განსხვავებით, არამატერიალურ მემკვიდრეობასთან მიმართებაში პრობლემას წარმოადგენს ზეპირსიტყვიერი ტრადიციების, ადათ-წესებისა და ხალხური ხელოვნების, როგორც „ცოცხალი“ მემკვიდრეობის შენარჩუნების ადეკვატური საშუალებების ნაკლებობა, იშვიათი ტექნოლოგიებით წარმოებული პროდუქციის

---

[2] კონვენციები ხელმისაწვდომია საკანონმდებლო მაცნეს საიტზე: საერთაშორისო კონვენცია არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის დაცვის შესახებ https://matsne.gov.ge/ka/document/view/1205181?publication=0 ; საქართველოს პრეზიდენტის2010 წლის 6 ოქტომბრი ბრძანებულება №813 - საზოგადოებისათვის კულტურული მემკვიდრეობის მნიშვნელობის შესახებ" ევროპის საბჭოს ჩარჩო კონვენციის დამტკიცების შესახებ https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/1039015?publication=0

[3] "საზოგადოებისათვის კულტურული მემკვიდრეობის მნიშვნელობის შესახებ" ევროპის საბჭოს ჩარჩო კონვენცია, 06/10/2010, https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/1039015?publication=0

ფალსიფიცირების, ბრენდირების წესების დარღვევის რისკები, ახალი ტექნოლოგიების დანერგვის დაბალი ხარისხი. წინასწარი შესწავლით დგინდება, რომ არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის დაცვის პროცესის მართვა, აღნიშნული რისკების გათვალისწინებით, სისტემურად შესწავლილი არ არის. მართვა ამ სფეროში გულისხმობს არამატერიალური მემკვიდრეობის გამოვლენას, დაცვას, ინტერპრეტაციას, პოპულარიზაციას, საერთაშორისო ურთიერთობებში მათ გამოყენებას. ანუ, ნებადართული გზით კულტურული მემკვიდრეობით ისეთ სარგებლობას, რომელიც არ იწვევს მისი თვისებების შეუქცევად ცვლილებებს; შესაბამისად, არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის მნიშვნელობა, მისი დაცვისა და გამოყენების სფეროში მართვის სპეციალური მექანიზმების შემუშავების აუცილებლობა განსაზღვრავს პრობლემის აქტუალობას, რაც თავის მხრივ, გეოპოლიტიკურ ასპექტში არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის მართვის მექანიზმების აქტუალიზაციის გააზრებას გულისხმობს.

ნაშრომში შესწავლილია:

- გლობალურ ლოკალური და გეოპოლიტიკური პროცესების დინამიკა კულტუროლოგიური დისკურსის სპეციფიკის გააზრებით;
- აკმ-ს დაცვის საერთაშორისო ორგანიზაციულ-სამართლებრივი საფუძვლები და კატეგორიები;
- აკმ-ს ახალი ობიექტები, რეგიონალური ადგილების “მეხსიერების” ტიპოლოგიისა და აქტუალიზაციის მექანიზმები;
- გაეროს სპეციალიზებულ სააგენტოებთან და სტრუქტურებთან UNESCO-ს თანამშრომლობის შედეგები;
- კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სფეროში ხელოვნური ინტელექტის ტექნოლოგიების დანერგვის გამოცდილების ტრანსფერის შესაძლებლობი;

საქართველოს სამუზეუმო სივრცეში ციფრული კოლექციების შექმნის შესაძლებლობათა გამოვლენის მიზნით განხორციელებულია თვისობრივი და რაოდენობრივი კვლევა;

ეროვნული კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საქმიანობის ეფექტურობის შემდგომი განვითარების მიზნით შემუშავებულია კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ტრანსფორმაციის პროცესის მართვის თეორიული მოდელი, რომელიც გულისხმობს საერთაშორისო უსაფრთხოების კონტექსტის, გეოპოლიტიკური პროექტების და კულტურული დიპლომატიის  შესაძლებლობათა ელემენტების კორელაციას.

## თავი I

## არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის მართვის თეორიული საფუძვლები და თანამედროვე პრობლემები

### 1.1. არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის შესწავლის თეორიული საფუძვლები

არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის (აკმ) მნიშვნელობა ფართოდაა შესწავლილი, როგორც კულტურული მრავალფეროვნების, ასევე მისი დანიშნულების, სარგებლიანობისა თუ მარკეტინგული თვალსაზრისით. აკმ მოიცავს არა მხოლოდ არამატერიალურ ელემენტებს, როგორიცაა პრაქტიკა, წარმოდგენები, გამონათქვამები, ცოდნა და უნარები, არამედ აქვს ინსტრუმენტების, საგნების, არტეფაქტების და კულტურული სივრცეების ხელშესახები მხარეებიც. ეს ზრდის არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის მართვის სირთულეს.

ხშირად სახელმწიფო ინსტიტუციები პასუხისმგებელნი არიან აკმ-ს გამოვლენასა და მის დაცვაზე. 1989 წელს გაერთიანებული ერების განათლების, მეცნიერებისა და კულტურის ორგანიზაციამ (შემდგომში: UNESCO) მიიღო პირველი კონკრეტული საერთაშორისო სამართლებრივი დოკუმენტი აკმ-ს დაცვის სფეროში. ეს არის რეკომენდაცია ტრადიციული კულტურისა და ფოლკლორის დაცვის შესახებ, რაც ობიექტთა შეზღუდულ სფეროს მოიცავს. მოგვიანებით, 2003 წელს, იუნესკომ გამოაცხადა, რომ არსებობს აკმ-ის ხუთი სფერო: ზეპირი ტრადიციები და გამონათქვამები, მათ შორის ენა, როგორც არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის საშუალება; საშემსრულებლო ხელოვნება; სოციალური პრაქტიკები, რიტუალები და სადღესასწაულო ღონისძიებები; ცოდნა და პრაქტიკა ბუნებასა და სამყაროს შესახებ; ტრადიციული ხელოსნობა. ამის შემდეგ, მრავალ სახელმწიფოში მთავრობებმა და მეცნიერებმა დაიწყეს „არამატერიალური“ ან „ცოცხალი“ კულტურის ახალი ფორმების პოპულარიზაცია და ეს სახელმწიფოები კონკურენციას უწევენ იუნესკოს თავიანთი ქვეყნების აკმ-ს განმარტების გაფართოებაში. მაგალითად, ევროპული ქვეყნების ეროვნული მემკვიდრეობის საბჭოებმა აკმ-ს სია ექვს სფეროში გამოქვეყნეს: სოციალური და კულტურულ პრაქტიკები; ზეპირი ტრადიციები და ლიტერატურა; ისტორია და ტრადიციები (მათ შორის ენა); შესრულება და მუსიკალური

ტრადიციები; ტრადიციულ ხელოსნობასთან დაკავშირებული ცოდნა და უნარ-ჩვევები; ცოდნა და პრაქტიკა ბუნებისა და სამყაროს შესახებ.

რაც შეეხება აზიის ქვეყნებს, მათ ამ ობიექტების უფრო კონკრეტული კატალოგები შექმნეს: ტრადიციული ზეპირი ლიტერატურა და ენა, ტრადიციული ხელოვნება, კალიგრაფია, მუსიკა, ცეკვა, დრამა, ხალხური ხელოვნება და აკრობატიკა; ტრადიციული ტექნიკა, მედიცინა და კალენდარი; ტრადიციული ეტიკეტი, ფესტივალი და სხვა ხალხური წეს-ჩვეულებები; ტრადიციული სპორტი და გართობა და სხვა.

ეს დომენები უფრო მეტად გამოიყენება ცნობადობისა და ტურიზმის განვითარებისათვის. თუმცა ნიშანდობლივია, რომ აზიის ქვეყნების მიდგომა აკმ-ს მიმართ ეკონომიკურ სარგებლიანობას თითქმის გამორიცხავს. მიუხედავად იმისა, რომ აკმ გახდა ღირებული ტურისტული რესურსი მთავრობებისათვის, რომელსაც სჭირდება მემკვიდრეობის დაცვის სქემების განვითარება, ტურისტების ინტერესებისა და მოტივაციის თვალსაზრისით ჯერ კიდევ არ არსებობს მკაფიო განმარტება „რას ნიშნავს არამატერიალური მემკვიდრეობის მართვა?“ რა როლი უნდა შასრულოს კულტურულ მამეკვიდრეობამ სახელმწიფოთა შორის ურთიერთობებში? რიგ კვლევებში მართვა მოიაზრება როგორც მემკვიდრეობის ობიექტად გამოცხადება, სამუზეუმო სერვისების განვითარება, კრეატიული ტურიზმის დანერგვა და სხვა.[4] უფრო მეტიც, მემკვიდრეობის დაცვის სფეროში მართვის ცნების მეცნიერულ დონეზე ჩამოუყალიბებლობა ამჟამინდელ კვლევებს ხშირად ამოუცნობს, ხოლო პრობლემებს ფრაგმენტულს ხდის.

არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის მართვის პრობლემათა იდენტიფიცირების თეორიული საფუძვლების შესწავლის წყაროდ არჩეულ იქნა WOS (Web of Science) სისტემა, რომელსაც აქვს გამოქვეყნებული სამეცნიერო ნაშრომების ყველაზე ვრცელი მონაცემთა ბაზა SSCI, A&HCI და CPCI-SSH მიერ ინდექსირებული ჟურნალებიდან. მათ შორის, SSCI და A&HCI ჟურნალების პუბლიკაციები განიხილება როგორც კვლევის მიღწევის სტანდარტი სოციალურ და

[4] იხ.: კულტურული მემკვიდრეობის სფეროში საქართველოში დაცული დისერტაციები: ეკა დევიძის ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად წარდგენილ ნაშრომი - კულტურული მემკვიდრეობა და იმერეთის ტურიზმის განვითარების პრობლემები, ივ.ჯავახიშვილის სახელმწიფო უნივერსიტეტი, 2012; ქეთევან ახობაძე-კულტურული მემკვიდრეობა, ტრადიცია და თანამედროვეობა საქართველოს (XX-XX1 საუკუნეების) მაგალითზე, სტუ 2016 წ; თამარი მაზმიშვილი - ქალაქ-მუზეუმი მცხეთა, როგორც ტურისტული პროდუქტი: სოციალურ-ეკონომიკური და სივრცითი განვითარების ასპექტები, თსუ, 2012 წ. მაია ღვინჯილია - არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის მართვის ასპექტები ტურიზმში (ქართული ხალხური ტრადიციების მაგალითზე, ) თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტი, 2016.

ჰუმანიტარულ მეცნიერებებში. კვლევის მიზნებიდან გამომდინარე შესწავლილია ისეთი სტატიები, სადაც უახლესი კონცეფციების და მიდგომების თვალყურისდევნებაა შესაძლებელი.

სტატიების შესაგროვებლად პირველი საძიებო საკვანძო სიტყვები კვლევით თემის სათაურია - „არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის პრობლემები“. მოვიძიეთ აგრეთვე UNESCO-ს აკმ-ს განმარტება და დეტალური აღწერა რათა დავრწმუნდეთ, რომ ლიტერატურა შეიძლება მოიცავდეს რაც შეიძლება მეტი ტიპის აკმ-ს. ჩვენი კვლევისთვის 45 საძიებო საკვანძო სიტყვა გამოვიყენეთ, რომლებიც კლასიფიცირებულია რამდენიმე კატეგორიად: არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობა; იშვიათი ტექნოლოგიები, ტრადიციები და გამონათქვამები, საშემსრულებლო ხელოვნება, სოციალური პრაქტიკა, რიტუალები და სადღესასწაულო ღონისძიებები; ცოდნა და პრაქტიკა ბუნებასთან და სამყაროსთან და ტრადიციულ ხელოსნობასთან დაკავშირებით. ამას დაემატა კულტურული მემკვიდრეობის უსაფრთხოება, კულტურული პოლიტიკის ტრანსფორმაცია, გლობალურ-ლოკალური პროცესები აკმ-ს მართვის ეფეტურობაში, გლობალური კულტურა და სამშვიდობო პიოლიტიკა, აკმ-ს დაცვის ტრანსფორმაცია, აკმ უსაფრთხოების კონტექტი; გეოპოლიტიკა და აკმ, ევრაზიული სტრატეგიები და აკმ; იშვიათი ტექნოლოგიები და აკმ-ს ახალი ობიექტები; კულტურული დიპლომატია, ქვევრის ღვინის დაყენების ტრადიცია; აბრეშუმის წარმოების ტრადიცია, ციფრული ტექნოლოგიები და აკმ; ხელოვნური ინტელექტის ტექნოლოგიები აკმ-ს მართვაში; აკმ-ს მონაცემთა გაციფრულება; ციფრული არქივირება, ციფრული მუზეუმი, აკმ-ს დაცვა იაპონიაში; იაპონია-იუნესკოს ურთიერთობები; აკმ-ს იაპონური მართვის სისტემა. ქართულ ენაზე ლიტერატურის შესაგროვებლად გამოყებული იქნა ელექტრონული ბიბლიოთეკის სიტემა უკვე ნახსენები საძიებო სიტყვების მეშვეობით. დამატებით გამოვიყენეთ სიტყვათა კონტექსტი: ეთოგრაფია, მემკვიდრეობა; კულტურის სტრატეგია; კულტურის ნორმატიული ბაზა.

მონაცემთა ანალიზის პროცესში მოხდა სტატიების იდენტიფიცირება, კატეგორიზაცია და სინთეზირება კვლევის ტენდენციებისა და სამომავლო მიმართულებების განსახილველად. გაანალიზებულია კვლევის კითხვების სამი ჯგუფი. კვლევის კითხვების პირველი ჯგუფი ეხება მონაცემთა ზოგად აღწერას, მათ შორის: როდის გამოქვეყნდა პუბლიკაციები? რომელი ქვეყნებიდან არის ეს აკმ? კვლევის კითხვების მეორე ჯგუფი ეფუძნება ჟურნალების, კონფერენციების და სტატიების სიხშირეს, მათ შორის: რომელი ჟურნალებიდან და კონფერენციებიდან არის ეს ნაშრომები? რომელ ნაშრომებს აქვთ ყველაზე მეტი ციტირება? კითხვების მესამე ჯგუფი ხაზს უსვამს ჩვენი კვლევის ამოცანებს, კერძოდ: რა არის კვლევის ძირითადი შინაარსი? კვლევის რომელი

მეთოდები გამოიყენება? რა არის აკმ-ს მართვის ამჟამინდელი პოპულარული თემები და სამომავლო ტენდენციები?

სამი ეტაპის მიხედვით შეგროვებული სტატიების მიმოხილვამ აჩვენა, რომ 2022 წლის დეკემბრის მონაცემებით, 128 ნაშრომი არის არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის განმარტებიდან, რასაც მოჰყვება იუნესკოს პოლიტიკის კატეგორია - 78.; კატეგორიიდან „სოციალური პრაქტიკა, რიტუალები" – 73; კატეგორიიდან „გეოპოლიტიკა და აკმ-ს პრაქტიკა ბუნებასა და სამყაროს შესახებ" - 62; ასევე, აკმ-ს საფრთხეების შესახებ - 50; აკმ-ს დიგიტალიზაციის შესახებ -27.

შეგროვებული ნაშრომების კატეგორიის დროში განხილვის სურათი ასეთია: 10 - წელზე ძველი სტატიები ეხება აკმ-ს კვლევის თეორიულ საფუძვლებს, აკმ-ს ობიექტებს, დაცვის ტენდენდეციებს, ობიექტთა ნუსხის შემუშავების მეთოდიკას, სამუზეუმო პრაქტიკას, აკმ-ს შესახებ სახელმწიფოთა სტრატეგიებს, საკანონმდებლო მიმოხილვას, აკმ-ს ტურიზმს, აკმ-ს სოციალურ-ეკონომიკურ მნიშვნელობას, სახელმწიფოთა პოლიტიკის ანალიზს, აკმ-ს დაცვას, შენარჩუნებასა და მომავალი თაობებისთვის მათი გადაცემის შესახებ მიდგომებს;

ბოლო ხუთი წლის სტატიებში აქტუალურია კულტურული მემკვიდრეობის უსაფრთხოების კონრექსტში განხილვა, იუნესკოს საქმიანობის ეფეტურობა აკმ-ს დაცვისა და შენარჩუნების პრაქტიკაში, აკმს ტურიზმი, ახალი ტექნოლოგიები აკმ-ს აღრიცხვის, შენახვისა და გავრცელების საქმეში, აკმ-ს ცნების გაფართოვება დარგთაშორისი მიდგომით, მატერიალური და არამატერიალურის კავშირების სიტემა, ახალი ობიექტების სახეობები.

გეოგრაფიული განშლადობის მიხედვით სხვადასხვა კონტინენტზე შესრულებული ნაშრომები გეოპოლიტიკური სტრატეგიის ჭრილში წარმოაჩენს აკმ-ს, აგრეთვე აანალიზებს კონკრეტული ქვეყნის პრაქტიკას. ამ კრიტერიუმის მიხედვით ლიტერარტურის ანალიზი ცხადჰყოფს, რომ განსხვავებულია აკმ-ს ეკონომიკრი სარგებლიანობის საკითხთან დამოკიდებულებაც. მაგალითად იაპონელები საკმაოდ ფრთხილად უყურებენ მემკვიდრეობის ეკონომიკური სარგებლიანობის საკითხს, რადგამ დიდი რისკია იმისა, რომ ამ მიდგომამ დააზიანოს კულტურის ობიექტი.

აკმ-ს ეკონომიკური სარგებლიანობის საკითხთან დაკავშირებით ასეთი განსხვავებული მიდგომების გამო დავსვით შეკითხვა: როგორ უნდა მოიძებნოს ტურიზმში ოქროს შუალედის მექანიზმები? ტურიზმი არის გლობალიზებული ბიზნეს საქმიანობა და, მზარდ გამოწვევებს უქმნის ტრადიციულ სოციალურ კულტურას. ოქროს კვეთის გასაღები ამ მიმართულებით სტრატეგიული

გეგმებია, თუმცა დავაზუსტებ, რომ ტურიზმზე გადაჭარბებული კონცენტრაცია იწვევს ინტერესთა კონფლიქტს, უნებართვო მშენებლობებს და ა.შ. აი სწორედ ეს საქმიანობა უნდა ექვემდებარებოდეს მუდმივ მონიტორინგს სახელმწიფოს მხრიდან.

იაპონელების „სიფრთხილე", ამ შემთხვევაში ეხება კულტურული მემკვიდრეობის დაზიანების რისკებს, ესენია: ეკონომიკური სარგებლიანობის გამო ძეგლის გადაკეთება, წარმოების ტექნოლოგიის შეცვლა, მაგალითად: კიმონოების ხელით წარმოებიდან მანქანურ წარმოებაზე გადასვლა და სხვა. თუმცა მათ კარგი გამოცდილება აქვთ სოციალური და ეკონომიკური ღირებულებების კულტურულ ღირებულებებთან დაკავშირების გზების ძიებაში. ესენია კულტურული ტურიზმისა და ადგილობრივი ტრადიციული ინდუსტრიების ხელშეწყობა. საქმე ისაა, რომ ტრადიციული მრეწველობა იაპონიაში მომგებიანი აღარ არის. ამის მიზეზი ყოველდღიური მოხმარების ნივთების მასობრივი წარმოება, იაფი ფასები და ცხოვრების წესის ცვლილებაა. 30 წლის განმავლობაში ასეთი კომპანიები დაახლოებით 75%-ით, შემცირდა. ამის მიუხედავად, იაპონელები განსაკუთრებულ აქცენტს აკეთებენ ტურიზმის, გასტრონომიის, ხელოვნებისა და სხვა სახის სარგებლიანობის ახალ მიდგომებზე. 2022 წ. მოგზაურებმა იაპონიაში 22,5 ტრილიონი იენი დახარჯეს, შეიქმნა დაახლოებით 4 მილიონი სამუშაო ადგილი (მთლიანი სამუშაო ძალის 6.1%). პირდაპირი და არაპირდაპირი ეკონომიკური ზემოქმედება შეადგენდა 46 ტრილიონ იენს, რაც მთლიანი შიდა პროდუქტის 4.9%-ია.

რატომ არის ასეთი სიფრთხილე საჭირო, ეს საქართველოში ბაგრატის ტაძრის მაგალითზე უკვე გავიარეთ. როცა ტურისტების მოსაზიდად ძეგლის ისეთი რესტავრაციის მეთოდები იყო გამოყენებული, რომლის გამო იუნესკომ იგი მსოფლიო მემკვიდრეობის ძეგლთა ნუსხიდან ამოიღო. ამიტომ, ჩვენს შემთხვევაში, სარგებლიანობის იდეა უკავშირდება ისეთ ელემენტებს, როგორიცაა: ინვესტიციები კულტურული მემკვიდრეობის დაცვაში, ტურიზმი, უძრავი ქონების მდგრადი ღირებულებები და მზარდი შიდა სამშენებლო და ტექნიკური ინდუსტრია; ქონების უფრო მაღალი ღირებულება და გაზრდილი საგადასახადო შემოსავლები, მეტი სამუშაო ადგილი, გამოცოცხლებული უბნები და და სხვა. უფრო მეტად სარგებლიანობის იდეა ჩვენს შემთხვევაში დაკავშირებულია სოციალურ განზომილებასთან და სიცოცხლისუნარიანობის შენარჩუნებასთან.

შეგროვილი ლიტერატურიდან ჩვენს ნაშრომში მოცემულია მხოლოდ ისინი, რომელთა საფუძველზეც კვლევის კონცეფცია შეიქმნა. ეს კონცეფცია გულისმობს იმას, რომ: აკმ-ს მართვაში პრობლემები სისტემური ხასიათისაა და მომდინარეობს საერთაშორისო და შიდა მექანიზმების კავშირების ნაკლებობიდან; მსოფლიო გამოწვევების გათვალისწინებით, საქართველოსთვის

კულტურული მემკვიდრეობის უსაფრთხოების დღის წესრიგში ჩართვა მომგებიანია გეოსტრატეგიული თვალსაზრისით, რადგან იგი წარმოადგენს, როგორც კონფლიქტურ რეგიონებთან, ასევე ევრაზიულ გეოპოლიტიკური ინტერესის მქონე სუბიექტებთან მშვიდობიანი თანაარსებობისა და ურთიერთობათა ტრანსფორმაციის საშუალებას (მართვის გარე ასპექტი). ამასთან, საქართველოს ეთნოგრაფიული მასალები საშუალებას იძლევა გაფართოვდეს აკმ-ს ცნება და შეიქმნას დამოუკიდებელი პრაქტიკა, ახალი ტექნოლოგიების დანერგვის პროცესის უზრუნველყოფა აკმ-ს მართვის ეფეტურობას უწყობს ხელს.

ამ ფონზე, იაპონია-საქართველოს ურთიერთობის მოტივაცია გეოპოლიტიკური ბალანსია კულტურული დიპლომატიის საერთო ტრადიციებისა და ახალი ტექნოლოგიების დანერგვაში გამოცდილების გაზიარების პერსპექტივით.

## 1.2. კულტურული ლანდშაფტის მომავლის თეორიები და მიდგომები

კულტურული ლანდშაფტის მომავლის თეორიული საფუძვლები გლობალური მეტოქეობის გადალახვის ხედვებს ეხება. რა იქნება ამ მეტოქეობის შედეგი? როგორც ს. ჰანტინგტონი (**Huntington, 2020)** ამბობს: კულტურის დასასრული მისი ტრადიციული მეტოქეობის დაბრუნებაა ეროვნულ სახელმწიფოებს შორის. თუ ეროვნული სახელმწიფო დაეცემა, როგორი იქნება გლობალური პოლიტიკა უახლოეს წლებში. ს.ლაბადისა და ც.ლონგის (Labadi & Long, 2010) მიმდევრების მიხედვით ახალი სამყარო არ იქნება მხოლოდ იდეოლოგიურ ან მხოლოდ ეკონომიკურ საფუძველზე გაერთიანებული. დიდი განხეთქილება კულტურის საფუძველზე განვითარდება სხვადასხვა ცივილიზაციებს შორის. ამიტომ, უნდა დავეთანხმოთ ც. ბრუმენისა და ა. გფელერის (Brumann & Gfeller 2022) მოსაზრებას, რომ იუნესკოს 1972 წლის კონვენციის ფარგლებში, მსოფლიო კულტურული და ბუნებრივი მემკვიდრეობის დაცვა, ამ პრობლემის დაძლევის მთავარ მიღწევას წარმოადგენს. მიუხედავად ამისა, კულტურული მემკვიდრეობის გლობალური ცნებები გაფართოებას საჭიროებენ. ამაზე მეტყველებს კულტურასა და ბუნებას შორის კავშირის ლანდშაფტები, რომლის შესახებ დაწვრილებით მომდევნო თავში გვექნება საუბარი.

კულტურული ლანდშაფტის მომავლის ერთ-ერთ საფუძველს მშვიდობის კულტურის თეორია წარმოადგენს. ჟ. ჰესლი (Haessly, 2021) მშვიდობის კულტურის შესახებ ნაშრომებში ამბობს, რომ ოცდამეერთე საუკუნის დასაწყისში ტერორიზმის, გენოციდის, გაჭიანურებული ომების გამო, კაცობრობა ეკოსისტემის მზარდი განადგურების შემზარავი ფაქტების მოწმე გახდა. 2020 წლის ივლისში, აია სოფიას მუზეუმის შემთხვევა მიუთითებს იმაზე, თუ რა როლი შეასრულა

შერჩევითმა ისტორიულმა ინტერპრეტაციამ სტატუსის ცვლილებაზე. თითქოსდა რელიგიური დანიშნულებით ობიექტის გამოყენებამ, ს. მაჩაბის აზრით (Machabée., 2023) ეს ობიექტი მემკვიდრეობის სტატუსთან შეუთავსებელი გახადა. რ. ბაიბერის (Bieber., 2018) პოზიციას თუ გავაანალიზებთ, რომ მსოფლიო მემკვიდრეობის მრავალი ძეგლი არის აქტიური რელიგიური სივრცე, მაშინ უნდა დავსვათ კითხვა: აუცილებელია თუ არა რელიგიური და მემკვიდრეობის სტატუსების ეს „ორადობა" არსებობდეს? ასეთი პრეცედენტები გამოწვევას წარმოადგენს ტელეოლოგიურ ცნებას და პოსტსეკულარულ, ისტორიულ ადგილს შორის, რაც კულტურული მემკვიდრეობის უსაფრთხოების კონტექსტში განხილვის სიმძაფრეზე გვაფიქრებინებს. ამ შემთხვევაში უნდა დავეთანხმოთ კ. ჰაუსლერის (Hausler, 2018) პოზიციას, რომლის მიხედვით კულტურული მემკვიდრეობის დაცვა, ტერორიზმის დაფინანსების წინააღმდეგ ბრძოლის გზების ჩვენებით, საერთაშორისო მშვიდობისა და უსაფრთხოების შენარჩუნების მთავარ ელემენტს წარმოადგენს.

კულტურული ლანდშაფტის განვითარების თეორიებთან ერთად ყალიბდება მემკვიდრეობის დაცვის ახალი მიდგომები, რომლებიც სახელმწიფოთა კულტურის ეროვნულ სტრატეგიებშია გადმოცემული. საინტერესოა, რომ ბოლო პერიოდში, ჩინეთის კულტურის ეროვნულ სტრატეგიას იუნესკოს „არამატერიალური" კულტურული მემკვიდრეობის სიებთან მიმართებაში განიხილავენ. ჰ. ლიი (Lee, 2020) ამ პრობლემასთან დაკავშირებულ კვლევებში ასკვნის, რომ ჩინელების სახელით ეთნიკური უმცირესობების კულტურის მსოფლიო მემკვიდრეობის სიაში შეყვანით, ჩინეთს შეუძლია გააძლიეროს სახელმწიფო საზღვრები, რომლებიც ხშირად ეთნიკურ და კულტურულ საზღვრებზე გადის, რასაც გარე გავლენის შემცირება შეიძლება მოჰყვეს. ამ კატეგორიის ნაშრომებისთვის დამახასიათებელია სახელმწიფოთაშორის ურთიერთობებში კულტურის "რბილი ძალის" კონტექსტში წარმოჩენა. ამ ხედვის ალტერნატივაა მ. ვეკო და ა. სრაკარის (Vecco, & Srakar, 2018) მიერ კონფლიქტურ რეგიონებში, კულტურული მემკვიდრეობის მდგრადობის ინდექსის იდეის დასაბუთება. ეს იდეა ეფუძნება ბ. ბუზანისა და სხვათა (Buzan, Wæver, Wæver, & De Wilde, 1998) ერთობლივ ნაშრომს, რომელშიც კულტურა, უსაფრთხოების ე.წ. „ახალი ჩარჩოს" კონცეფციიდანაა დანახული. ახალი ჩარჩო გულისხმობს კვალიფიკაციის გაფართოებას „საერთაშორისო ურთიერთობით". განსხვავებით სოციალური უსაფრთხოებისგან, რომელსაც ძლიერი კავშირი აქვს უფლებათა და სოციალური სამართლიანობის საკითხებთან, საერთაშორისო უსაფრთხოება, ძალაუფლების პოლიტიკის ტრადიციებს უკავშირდება. საერთაშორისო უსაფრთხოებას აქვს გამორჩეული დღის წესრიგი, ანუ პასუხი იმაზე, თუ რა აქცევს „რაღაცას"

საერთაშორისო უსაფრთხოების საკითხად. ამ კონტექსტში, როგორც რ. ფლოიდი (Floyd, 2007) ამბობს: ადამიანის უსაფრთხოება არის გადარჩენა. თუ კოპენჰაგენის სკოლის უსაფრთხოების ცნობილ მიდგომასაც გავითვალისწინებთ, ჩნდება კითხვა: რა ურთიერთობა არსებობს ორ მიდგომას შორის? ამ კითხვაზე პასუხია, რომ ერთი არის პოლიტიკის შემუშავების დღის წესრიგი, ხოლო მეორე, უსაფრთხოების პოლიტიკის ანალიზის თეორიული ინსტრუმენტი.

ამ ორი მიდგომის შედარებითი დახასიათება კონკურენტუნარიანობის გამოვლენისთვის არ უნდა იქნეს გამოყენებული, არამედ კულტურასთან კავშირში, გარკვეული უპირარტესობების წარმოსაჩენად. ვგულისხმობთ, ც. ესტერმმანის (Estermann, 2020) კონსესუსს კულტურასა და უსაფრთხოებას შორის. თუმცა კონსესუსის იდეა ც. ლიუზას (Liuzza, 2021) აზრით, ინსტიტუციური ინერციაა იუნესკოს მსოფლიო მემკვიდრეობის კომიტეტში. დასახელებულ ავტორთა ნაშრომებში მთავარი მაინც არის საერთაშორისო ურთიერთობების განვითარების მეთოდოლოგიის გადახედვა. რომის სტატუტით განსაზღვრული, კაცობრიობის წინააღმდეგ დანაშაულის განმარტება გადახედვას ითხოვს, კაცობრიობის წინააღმდეგ მიმართული ახალი დანაშაულის კონტექსტში. იგულისხმება, კულტურული მემკვიდრეობის წინააღმდეგ მიმართული ფართოდ გავრცელებული სისტემატური თავდასხმები .

ბოლო ათი წლის განმავლობაში, დაიწყო „მემკვიდრეობის კაცობრიობასთან გაიგივების დისკურსი“ და მემკვიდრეობის განადგურებაზე აქცენტირება, როგორც ამას ი. გოთლიები (Gottlieb, Y. (2020) კაცობრიობის წინააღმდეგ თავდასხმების ჩვენებით აყალიბებს. მართალია, ამ მოვლენებს თავისი საკანონმდებლო უზრუნველყოფა გააჩნია, მაგრამ გარკვეული ცნებითი კატეგორიების შეფასების ხარვეზები მაინც არსებობს, რადგან განადგურების კამპანიები ბოლომდე არ არის განმარტებული. ამ ცნების დასაზუსტებლად საინტერესო მოსაზრებები აქვს ფ. კაპონეს (Capone, 2018), რომელიც უსაფრთხოების პრობლემას კულტურული მემკვიდრეობის წინააღმდეგ დანაშაულის მსხვერპლთა კონტექსტში განიხილავს. პ. გერცელბილდი (Gerstenblith, 2016) კულტურული მემკვიდრეობის განადგურების ასახსნელად სვამს კითხვას: დანაშაული საკუთრების წინააღმდეგ თუ დანაშაული ხალხის წინააღმდეგ? ც. სეაბრა და ო. პაივა (Seabra & Paiva, 2020) ტურისტულ ქალაქებში ტერორიზმის მსოფლიო მემკვიდრეობის ძეგლების შემთხვევებს აანალიზებენ. სტიქიური უბედურებისა და შეიარაღებული კონფლიქტების გამო, კულტურული მემკვიდრეობის დაცვაში, გაეროს არაეფექტურობის კრიტიკის ანალიზია მოცემული კ.სპიტზის (Spitz, 2021) კვლევაში. ერთის მხრივ, გაერო შეიძლება გახდეს გამაერთიანებელი ძალა, მეორე მხრივ, კულტურულ მემკვიდრეობას შეუძლია წარმოქმნას კონფლიქტი, რომელიც ზოგჯერ იწვევს

ძალადობრივ შეტაკებებს. ამიტომ, კულტურულ მემკვიდრეობას, მშვიდობასა და უსაფრთხოებას შორის კავშირი სისტემურ ჭრილში უნდა იქნეს განხილული. ვფიქრობთ, ასეთი აღიარება უსაფრთხოების პოლიტიკაში ავტომატურ რეჟიმში მიმდინარეობს, თუმცა, დამატებით, განვითარებადი ქვეყნების პრობლემებისადმი ყურადღების ნაკლებობა, ბიუროკრატია, პერსონალის სიჭარბე და გაბერილი საბიუჯეტო ხარჯები ასევე უნდა იქნეს განხილული დასმულ პრობლემასთან მიმართებაში. ასეთი მიდგომა კი კულტურული დიპლომატიის ინსტიტუტის წინ წამოწევის საჭიროებას ქმნის.

კულტურული დიპლომატიის შესაძლებლობებზე საინტერესო მსჯელობებია შემოთავაზებული ჯ. ჩალრათის (Chalcraft, 2021) ნაშრომში, რომელიც მემკვიდრეობის დიპლომატიას ეხება ისეთ კონტექსტში, როგორიცაა: ადგილობრივი რეალობები, ტრანსნაციონალური თემები და საერთაშორისო მოლოდინები. ასე, რომ კულტურული დიპლომატია, სულ უფრო პოპულარული ხდება, როგორც ეკონომიკური და სოციალური განვითარების ინსტრუმენტი, რომლის მიზანია დაეხმაროს საზოგადოებებს კონფლიქტის ტრანსფორმაციასა და ღრმა სოციალური ტრავმის მოშუშებაში.

კულტურული მემკვიდრეობის დიპლომატია არის კულტურული ურთიერთობების ფორმა, რომელიც ქმნის „კონტაქტის ზონას" სხვადასხვა დაინტერესებულ მხარეებსა და განსხვავებულ მოლოდინებს შორის. ვფიქრობთ, ამ ინსტიტუტის გამოყენება ყველა კონკრეტულ შემთხვევაში ერთთგვაროვანი ეფექტის მომტანი არ იქნება. ამიტომ, კულტურული მემკვიდროების დიპლომატიის მართვის არსენალში, "ქარიზმატული მემკვიდრეობის დიპლომატიასა" და "მემკვიდრეობის უფრო ფრთხილ დიპლომატიას" შორის გასათვალისწინებელია განსხვავებები. ეს განსხვავებები ადგილობრივ რეალობასა და მემკვიდრეობის საერთაშორისო მოლოდინებს შორის, არის: 1. ეროვნული მითების მიღმა დამალული, და 2. გადაშენების პირას მყოფი მემკვიდრეობა რეგიონში. მემკვიდრეობის დიპლომატია, როგორც „კონტაქტის ზონის" იდეა გულისხმობს, რომ მემკვიდრეობის შექმნა, (პოსტ) კონფლიქტურ კულტურულ ურთიერთობებში არის ონტოლოგიური „შეხვედრა" საერთაშორისო სუბიექტებსა და „ტრავმირებულ" თემებს შორის, რომლებისთვისაც „ფსონები"გარდაუვალია.

გაეროს სტრატეგიებისა და დილემების ანალიზი აჩვენებს, რომ იდეოლოგიური ომი კულტურული საკუთრების წინააღმდეგ, ის სფეროა, სადაც მსოფლიო მოუმზადებელი აღმოჩნდა დაპირისპირებოდა იდეოლოგიურ ომს, როგორც კ. შმალენბაჩი (Schmalenbach, 2016) აფასებს: „ერეტიკოსთა კულტურის" წინააღმდეგ შეიარაღებული კონფლიქტის კანონები და, მის კვალდაკვალ

საერთაშორისო სისხლის სამართლის კანონმდებლობა, მკაფიო პროსკრიპციულ წესებს ადგენს იდეოლოგიურად მოტივირებული კულტურული ნგრევის წინააღმდეგ, რაც არ შეიძლება ითქვას კულტურული მემკვიდრეობის დაცვის შესახებ მშვიდობიან წესებზე. ამიტომაა, რომ დასჯა და საერთაშორისო პასუხისმგებლობა არაეფექტურია, თუ დამნაშავეთა მამოძრავებელი იდეოლოგია უარყოფს გარე კანონებს. იდეოლოგიის საფუძველი შეიძლება იყოს: არტეფაქტების შენახვა, უკანონო გათხრებისა და ძარცვის შემთხვევების მიჩქმალვა, ეკონომიკურად არამიმზიდველობა და სხვა. სამწუხაროდ, არსებული ვითარება ადგილებზე, მრავალი გაურკვევლობით, ნიშნავს, რომ სამართლებრივი მექანიქმების ეფექტურობა შეჩერებულია. ამ პრობლემას, კ. ჰიუფნერის (Hüfner, 2017) აზრით, ამწვავებს ფინანსური კრიზისები, რომლსაც ორგანიზაციული რეაგირებები სჭირდება.

როგორც ცნობილია, შეერთებულ შტატებმა, 2011 წლიდან, იუნესკოს ბიუჯეტში საწევროს გადახდა შეწყვიტა (22 %). ამის მიზეზი ინესკოს გენერალური კონფერენციის გადაწვეტილება იყო პალესტინის წევრ სახელმწიფოდ მიღებასთან დაკავშირებით. თუმცა, შეერთებული შტატები დარჩა ორგანიზაციის სრულუფლებიან წევრად. ისრაელიც იგივე გზით წავიდა. სხვა წევრმა ქვეყნებმა წლიური შენატანის დაგვიანებით გადახდა დაიწყეს. ამ მოვლენათა ახსნა იმითაა შესაძლებელი, რომ კავშირი კულტურას, იდენტობასა და ერთიანობას შორის ძლიერია და, შესაბამისად, მჭიდროდაა დაკავშირებული მშვიდობისა და ომის საკითხებთან.

### 1.3. ისტორიულ-ეთნოგრაფიული წყაროები და საერთაშორისო ურთიერთობები კულტურული მემკვიდრეობის გამოსავლენად

ისტორიულ და ეთნოგრაფიული სამეცნიერო ლიტერატურა არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ახალი ობიექტის გამოვლენის კარგი საშუალებაა.

საქართველოს სინამდვილეში თ. ყაუხჩიშვილის სტრაბონის გეოგრაფიიდან დაწყებული იზოლდა ჭილაძის - საქართველოში მეაბრეშუმეობის განვითარების პრობლემებით გაგრძელებული, ქართველ მკვლევართა ნაშრომები საქართველოს სოფლის მეურნეობის ფასეულობების და „აბრეშუმის სახლის“ ბიზნეს-მოდელის შესაძლებლობების გამოვლენის საფუძველს ქმნის. შავი და კასპიის ზღვების, აგრეთვე ცენტრალური აზიის რეგიონების ქვეყნებში, მეაბრეშუმეობის წარმოების განვითარების შედარებითი ანალიზი, ქართული აბრეშუმის წარმოების ტექნოლოგიის უნიკალუურობის დასაბუთების საშუალებას იძლევა. ამ საკითხს კონკრეტულად დავუბრუნდებით

ქართული აბრეშუმის ტექნოლოგიისა და წარმოების სარგებლიანობის[5] გეოსტრატეგიულ პროექტების განხილვის დროს.

რაც შეეხება ქართული ღვინის ტექნოლოგიას, როგორც კონკურენტუნარიან სასოფლო-სამეურნეო და აგროტურისტული პროდუქტის მართვის პრობლემებს, თ. ქობლიანიძისა და ნ. საჩანელის (Koblianidze, & Sachaleli, 2021) ნაშრომები ღვინის ექსპორტის სტატისტიკისა და ღვინისა და აგროტურიზმის მიმართულების განვითარების გარემოებათა შესწავლის წყაროს წარმოადგენს. ერთ-ერთ ასეთ გარემოებად, ქართველი მკვლევარები: რ. ქუთათელაძე, თ. ქობლიანიძე, ლ. კოჭლამაზაშვილი (Kutateladze, Kobilanidze, & Kochlamazashvili, 2021) ღვინის ტურიზმს, სოფლის და რეგიონული განვითარების საშუალებად მიიჩნევენ. ქვევრის ღვინის ტექნოლოგიის სარგებლიანობა, აბრეშუმის გზის ქვეყნებთან სავაჭრო ურთიერობების განვითარების შესაძლებლობას უკავშირდება. ამის დასტურია ბოლო პერიოდის ქართველ და უცხოელ მეცნიერთა ერთობლივი კვლევები (Bussmann, Zambrana, Sikharulidze, Kikvidze, Darchidze, Manvelidze & Hart, 2020). თუ ქვევრის ღვინის ტექნოლოგიას, როგორც არამატერიალურ კულტურულ მემკვიდრეობას დარგთაშორის კონტექსტში განვიხილავთ, მაშინ წინ წამოიწევს ნიადაგის მნიშვნელობა და შესაბამისად, დღის წესრიგში დგება ერთობლივი დაცვის ორგანიზების პრობლემა. უნდა ითქვას, რომ ნიადაგების შესახებ ცოდნა არამატერიალური მემკვიდრეობაა, რომელიც მისი სწორად მართვის შესაძლებლობებს გადასცემს მომავალ თაობას.

საერთაშორისო ურთიერთობებში არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის გამოყენების საკითხი, გეოსტრატეგიული სცენარების შესწავლას უკავშირდება. თუ ს. ესენბელს დავესესხებით (Esenbel, 2017), რომელიც იაპონიის როლს განიხილავს აბრეშუმის გზაზე, ეს არის პოლიტიკისა და კულტურის შეხვედრები და პერსპექტივები ევრაზიაში. რ. ბაუჩერი (Boucher, 2013) საუბრობს ჩინეთის უკანა კარის გარღვევაზე საგარეო პოლიტიკაში. ჩინეთის "ახალი აბრეშუმის გზა" და აშშ-იაპონიის ალიანსის გეოსტრატეგიის გამოწვევები და შესაძლებლობები ახსნილი აქვს პ.კორნეტს (Cornett, 2016); აზია-წყნარი ოკეანის ქვეყნებიდან ინდო-წყნარ ოკეანეში: ჩინეთ-აშშ

---

[5] სარგებლიანობაში ვგულისხმობთ კულტურული მემკვიდრეობის ეკონომიკურ ღირებულებას ფართო გაგებით, ანუ კეთილდღეობის ოდენობას, რომელსაც მემკვიდრეობა ქმნის საზოგადოებისთვის. მემკვიდრეობის ეკონომიკურ სარგებლიანობის ცალკეული ელემენტებია: ა) ტურიზმი რაციონალური პერსპექტივა; ბ) აკმ-ს მხარდაჭერის ფინანსური მექანიზმები; გ) საგრანტო პროექტები და სხვადასხვა კონკურსებში მონაწილე მემკვიდრეების სუბსიდიები, რომელიც ყოველთვიური შემოსავლის მნიშვნელოვანი ნაწილია. დ) აკმ-ს პროდუქტების გაყიდვა. ე) აკმ-ზე დაფუძნებული კულტურული ინდუსტრიების შექმნა რეგიონებში. ვ) მემკვიდრეობის დაცვის ახალი ტექნოლოგიები, რომელმაც შეიძლება მიიღოს პატენტი; (მაგ; ცეკვის ან სიმღების ჩაწერის ტექნოლოგიები)ზ) გამოფენები, ციფრული მუზეუმების ორგანიზება და სხვა დასაქმების ახალ ადგილებს ქმნის და ა.შ.

სტრატეგიული კონკურენციის გაფართოება მოცემული აქვს მ. საედს (Saeed, 2017), ხოლო ი. ბრემერს (Bremmer, 2015) სამი არჩევანი ამერიკის როლისთვის მსოფლიოში. სამხრეთ ჩინეთის ზღვის გეოპოლიტიკური ანალიზი მოცემული აქვს მ. მიჩელს (Mitchell, 2016). ამ წყაროებზე დაყრდნობით საშუალება გვაქვს დავასაბუთოთ საქართველოს არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის მნიშვნელობა გეოსტრატეგიულ პროექტებში.

### 1.4. კულტურული მემკვიდრეობის მართვის სფეროში ახალი ტექნოლოგიების დანერგვის პრობლემის თეორიული საფუძვლები

კულტურული მემკვიდრეობის დაცვისა და გავრცელების სფეროში ახალი ტექნოლოგიების დანერგვის შესაძლებლობები რამდენიმე მიმართულებითაა მეცნიერებაში გააზრებული. პირველი, ციფრული მუზეუმის იდეას ეხება. ეს მიმართულება ჯ. პარკის (Park, 2020) აზრით, ცოდნის გაზიარების პროგრამებში უნდა აისახოს, რომელიც მრავალ დაინტერესებულ მხარეს შორის კრეატიულობისა და ინოვაციების მენეჯმენტის საკითხებით იქნება გაჯერებული; როგორც ჰ.ლიი (Lee, 2023) ამბობს: ციფრული ტექნოლოგიების გამოყენება მუზეუმის სოციალური როლის გაფართოებას უწყობს ხელს. თანამედროვე ციფრული ტექნოლოგიები, კულტურული მემკვიდრეობის შენარჩუნების პრაქტიკული გამოცდილებებია ა. გეორეპულოს (Georgopoulos, 2018) ნაშრომებებში; საინტერესოდაა გაანალიზებული ციფრული კომუნიკაციის სტრატეგიების როლი მუზეუმებში (ტორინოს მაპ.გალითზე) პ. ბერნადისა და მ. გილის (Bernardi, & Gilli, 2019) მიერ. ეს ნაშრომები ციფრული კომუნიკაციის საშუალებით კულტურული პოლიტიკის შესწავლის კვლევის სახელმძღვანელოდ შეიძლება გამოდგეს.

ცალკეული ტექნოლოგიების ადაპტირება კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სფეროში, ტექნოლოგიების ტრანსფერის აუცილებლპბას წარმოშობს. ამ თვალსაზრისით, მომხმარებელთა მიერ ნივთების ინტერნეტის (IoT) მიღებადობა, „ჭკვიანი სახლის“ კონტექსტში, კარგად აქვს დასაბუთებული მ. ალდოსარის და ა. სიდოროვას (Aldossari, & Sidorova, 2020); სმარტ სახლის სერვისები გაანალიზებულია ჰ.სექუიროს, თ. ოლივეირას და მ. ტომასის მიერ (Sequeiros, Oliveira, & Thomas, 2021), როგორც სამომხმარებლო სერვისების ახალი თაობა. ეს ტექნოლოგიები უსაფრთხოებასა და კომფორტთან ერთად უზრუნველყოფენ გართობას. ამასთან, ეფექტური მართვის საშუალებაა მომხმარებლების ცხოვრების ხარისხის გასაუმჯობესებლად. მიუხედავად იმისა, რომ ფართოვდება „ჭკვიანი სახლის“ სერვისების ხელმისაწვდომობა, ჯერ კიდევ არ არის შესწავლილი, თუ რა უბიძგებს მათ გამოყენებას და როგორ მოქმედებს „ჭკვანი“ მოწყჰობილობები

და სერვისები ინდივიდუალურ კეთილდღეობაზე. აქედან გამომდინარე, ჩვენ ვეყრდნობით მოდელს, რომელიც აერთიანებს ცოდნის მოტივაციას და გამოყენების თეორიას, რათა შეფასდეს კულტურული მემკვიდრეობის სფეროში ახალი ტექნოლოგიების დანერგვის ეფექტურობა. მართალია, ზოგჯერ მოტივაცია აფერხებს „ჭკვიანი სახლის" სერვისების მიღებას, მაგრამ საბუთდება პოზიტიური კავშირი „ჭკვიანი სახლის" სერვისების გამოყენებასა და კეთილდღეობას შორის.

ბოლო 20 წლის განმავლობაში მუზეუმებმა ციფრული ტექნოლოგიები და ინოვაციები თავიანთი საქმიანობის ძირითად საშუალებად გამოიყენეს. საინტერესოა ფ. ტაორმინას, ს. ბარალდის (Taormina, & Baraldi, 2022) კვლევები, რომელთა მიხედვით დასტურდება ამ რესურსის ეფექტურობა პანდემიის პერიოდში. ციფრული ტექნოლოგიები ერთადერთი საშუალება გახდა საზოგადოების მუზეუმთან კავშირის უზრუნველყოფად. მიუხედავად იმისა, რომ სამეცნიერო საზოგადოება ზოგადად იკვლევს საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიას, როგორც მუზეუმის ინოვაციური ფუნქციების უზრუნველსაყოფის ინსტრუმენტს, ნაკლებადაა გაანალიზებული ის, თუ როგორ გამოიყენება ციფრული გადაწყვეტილებები ყოველდღიური ორგანიზების პროცესში. ამ თვალსაზრისით, მემკვიდრეობისა და დიგიტალიზაციის სფეროებში არსებული ცოდნის გაერთიანება წინ წამოწევს მუზეუმებში ციფრული ტექნოლოგიების ადაპტაციის საკითხებს.

თანამედროვე საინფორმაციო ტექნოლოგიების (IT), რევოლუციურ გარდატეხას ახდენენ აკმ დაცვაში. როგორც მ. მილოზი, ჯ. მონტუსიევიცი, ჯ. კესიკი ( Milosz, Montusiewicz, & Kesik, 2020) ფიქრობენ, დიგიტალიზაცია საშუალებას იძლევა ისტორიული ობიექტების შესახებ მონაცემები, ინტერნეტ სივრცეში იქნენ გადატანილი. ამით ისინი მსოფლიო კულტურულ მემკვიდრეობას ცნოობადს ხდიან. ამ პროცესის განსახორციელებლად, IT ინსტრუმენტების გარდა, აუცილებელია მუზეუმის თანამშრომლების ცოდნის, მათი კომპეტენციებისა და ცნობიერების ამაღლება. როგორც წესი, მუზეუმის თანამშრომლებს აქვთ მაღალი კვალიფიკაცია კულტურული მემკვიდრეობის შენარჩუნებასთან დაკავშირებულ საქმიანობაში, მაგრამ მათი ცოდნა და უნარები თანამედროვე ციფრული ტექნოლოგიების გამოყენების სფეროში მნიშვნელოვან გაუმჯობესებას საჭიროებს.

ეს საჭიროება კიდევ უფრო ნათელი ხდება, თუ კულტურული მემკვიდრეობის ფიქსაციის სფეროში, სენსორების ტექნოლოგიის არსს ჩავუკვირდებით. ამ მიმართულებით მართვის რეჟიმის ასაწყობად მულტიდისციპლინური მიდგომაა საჭირო. როგორც გ. ფესტა და სხვები მიიჩნევენ (Festa, Romanelli, Senesi, Arcidiacono, Scatigno, Parker & Andreani, 2020), სენსორები შეიძლება გამოყენებულ იქნას კულტურული მემკვიდრეობის ობიექტის სტრუქტურისა და კონსერვაციის

მდგომარეობის დასადგენად, აგრეთვე, შესაფერისი მიკროკლიმატური პირობების ასარჩევად ყველაზე ღირებული ინფორმაციის მიწოდებაში. ეს მიდგომა ამჟამად გამოიყენება ისტორიული და კულტურული ობიექტების სტრუქტურული ინფორმაციის (შემადგენლობა, გარემო პირობები, მათი ცვლილებები, სტრუქტურა, წარმოების ტექნიკა და სხვა) შესასწავლად. ყოველივე ეს უზრუნველყოფს ობიექტის მახასიათებლების მთლიანი სურათის შექმნას.

სენსორრების ერთ-ერთი ჯგუფი, SERS სენსორები, კულტურული მემკვიდრეობის დიაგნოსტიკისა და კონსერვაციის საქმეში, უახლესი ტექნოლოგიური მიღწევაა და პერსპექტიულია მათი ჩართვა კულტურული მემკვიდრეობის მართვის პროცესში. მ. ზულაფი, ნ. კარიმიანი, და პ. უგო (Zalaffi, Karimian, & Ugo, 2020) აანალიზებენ სენსორების მნიშვნელობას და ადასტურებენ მათი ეფექტურად გამოყენების შესაძლებლობებს დათარიღების, აღდგენისა და კონსერვაციის საკითხებზე. მართლაც, სენსორების ამ ჯგუფს შეუძლია უზრუნველყოს სანდო ინფორმაციის გადაცემა, რომელიც გამოიყენება არასპეციალისტი პირების მიერ და, შესაბამისად, გამოდგება ადგილზე ანალიზისთვის. ეს მიღწევები აუცილებლად გამოსაყენებელია კულტურული მემკვიდრეობის დიაგნოსტიკისა და მონიტორინგისთვის, სენსორული მოწყობილობების პერსპექტივების განსაზღვრისა და გამოყენების ლიმიტების დასადგენად.

არსებობს სენსორების კიდევ ერთი ჯგუფი - „ტატუ“ სენსორები, რომელთა გამოყენება შესაძლებელია კულტურული მემკვიდრეობის გავრცელებისა და კულტურული აქტივების ახალ ურთიერთობებში წარმოსაჩენად. ამ ჯგუფის სენსორების მნიშვნელობა დასაბუთებულია მ. ტალამოს, ფ. ვალენტინის, ა. დიმიტრისა და ი. ალეგრინის (Talamo, Valentini, Dimitri, & Allegrini, 2020) მიერ. დღესდღეობით, კულტურული მემკვიდრეობის შენარჩუნება, აღდგენა, გაძლიერება, სულ უფრო მულტიდისციპლინური კვლევის საგანი ხდება და IT ტექნოლოგიების სპეციალურ ცოდნას მოითხოვს. ამ კონტექსტში, ახალი თაობის „ჭკვიანი სენსორების“ ქსელები, რომლებიც მონაცემთა მოპოვებასა და ხელოვნურ ინტელექტს შორის კავშირის სისტემას წარმოადგენს, გადამწყვეტ როლს თამაშობს მონაცემთა დამუშავებაში და თავად ხდება კულტურული აქტივების მატარებელი.

კულტურის ძეგლების მიკროკლიმატის მონიტორინგის უზრუნველსაყოფად სენსორების მნიშვნელობა შესწავლილია ნ. მიტროს, მ. კრომუდას, ა. ამდიტის (Mitro, Krommyda, & Amditis, 2022) მიერ. სენსორების ტექნოლოგია კლიმატის გაუარესებით გამოწვეული მემკვიდრეობის ობიეტების დაზიანების, ან სათანადო შემარბილებელი მოქმედებების იდენტიფიცირების შესაძლებლობას იძლევა. „Smart Tags“ ტექნოლოგიის ტრანსფერი მნიშვნელოვანია ძეგლებთან ახლოს,

გარემოსდაცვითი გაზომვების უზრუნველსაყოფად, კომუნიკაციის გასაადვილებლად და ვიზუალიზაციის პლატფორმის შესაქმნელად.

აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ცალკეული ტექნოლოგიების კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სფეროში ტრანსფერი საჭიროებს არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის დიგიტალიზაციის პროცესის ორგანიზაციულ მართვას. ეს მიმართულება აქტუალური გახდა იუნესკოს 2003 წლის არამატერიალური მემკვიდრეობის დაცვის კონვენციის შემდეგ და, გარკვეულ წილად, შესწავლილია უ. ჰაუს, ს. კენდერდინეს, დ. პიცას, მ. ეგლოფის, ა. ადამოუს (Hou, Kenderdine, Picca, Egloff & Adamou, 2022) მიერ.

უნდა აღინიშნოს, რომ მატერიალური მემკვიდრეობისგან განსხვავებით, რომელიც ფიზიკური ობიექტების კულტურულ იდენტობას გულისხმობს, არამატერიალური კულტურული მემკვიდრება „მდუმარე დამოკიდებულებითა“ და „განსახიერებული“ პრაქტიკით ხასიათდება. ასეთი პრაქტიკა, როგორც წესი, არის სხეულებრივი კომუნიკაცია ჟესტების მეშვეობით და მისი გადაცემის პროცესი. ICT აპლიკაციების მზარდმა ტენდენციებმა გადამწყვეტი როლი ითამაშა აკმ-ს დაცვაში, რადგან ისინი მრავალელემენტიანი რესურსის საზოგადოებისთვის ხელმისაწვდომობის საშუალებას წარმოადგენენ. მიუხედავად ამისა, გამოგონებების უმეტესობა არის ობიექტზე ორიენტირებული და ემსახურება ცოდნის ბაზების შენარჩუნებას.

მატერიალური მემკვიდრეობისაგან განსხვავებით, აკმ-ს დაცვის სფეროში, ერთ-ერთ ბოლოდროინდელ გამოწვევას წარმოადგენს ამ ობიექტის ეფემერული (სწრაფად წარმავალი) ბუნება. ამიტომ, ტრადიციულ მეთოდებთან ერთად (ჩაწერა, ვიდეო ფირზე გადაღება) დღის წესრიგში აკმ-ს დოკუმენტირების (შენახვის) ახალი გზების ძიება დგება. ესაა ხორცშესხმული კულტურების „ცოცხალი“ და „აქტიური“ ასპექტების აღბეჭდვა, რაც მატერიალური და არამატერიალური მემკვიდრეობითი კონტექსტის უნიკალურობის[6] გამო, ობიექტზე „მზრუნველობითი ხასიათის“ სირთულეებს შეიცავს. მიუხედავად ამისა, სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია, რომ საქართველოს მუზეუმებში ტექნოლოგიების უახლესი მიღწევების და ექსპერიმენტული კვლევის შედეგების სისტემური დანერგვა დაიწყოს. ამ გამოწვევის დასაძლევად, შემუშავებულია მართვის მოდელი,

[6] კულტურული მემკვიდრეობის შესახებ კონვენციებითა და საქართველოს კანონმდებლობით ობიექტისათვის კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსის მინიჭების საფუძველია მისი ისტორიული ან კულტურული ღირებულება, რაც დაკავშირებულია მის სიძველესთან, უნიკალურობასთან ან ავთენტიკურობასთან. ამიტომ ტერმინი უნიკალურობა, ისტორიულობასთან, სიძველესთან და ავთენტიკურობასთან ერთად გამოიყენება როგორც სტატუსისათვის აუცილებელი კრიტერიუმი.

რომელიც დიგიტალიზაციის მეშვეობით გააუმჯობესებს აკმ-ს რესურსების სასიცოცხლო ციკლს. ამ მოდელის მთავარი მახასიათებელია გამოთვლითი კოდირების, კონცეპტუალური წარმოდგენისა და არამატერიალური კულტურული ელემენტების ინტერაქტიულ ჩართულობაზე დაფუძნებული, ციფრული არქივის შექმნის ამოცანის გადაჭრა.

იაპონიას ახალი ტენოლოგიების აკმ-ს დაცვის სფეროში დანერგვის პროექტებში წამყვანი ადგილი უკავია. ს. ცუჩიდას, ს. ფუკოიამას, მ. ჰამასაკის, მ. გოტტოს (Tsuchida, Fukayama, Hamasaki, & Goto, 2019) მიერ გამოკვეულია საბრძოლო ხელოვნების, თანამედროვე ცეკვების ე.წ. ცოცხალი არქივები. ცოცხალი არქივი - არის შედარებით ახალი, სხვადასხვა დარგის სპეციალისტებს შორის თანამშრომლობითი პროექტი, რომლის მიხედვით, ციფრული ტექნოლოგიების საშუალებით, შესაძლებელი ხდება მდიდარი და მრავალფეროვანი საბრძოლო თუ ცეკვითი ხელოვნების სტილის მაქსიმალურად მიახლოებითი ჩაწერა და მომავალ თაობებისთვის მათი შენახვა. იაპონიაში არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის პროექტები ეტალონადაა აღიარებული. შესაბამისად, საქართველოს, არამატერიალური მემკვიდრეობის ხელოვნური ინტელექტის ტექნოლოგიებით ჩაწერისა და გავრცელების საქმეში, იაპონიასთან თანამშრომლობის კარგი პერსპექტივა აქვს.

ზოგადად, რომ შევაფასოთ, არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის (ICH) სფეროში 10 წლის წინანდელი სტატიები ფოკუსირებულია ტრადიციებისა და ზეპირი გამონათქვამების განმარტებებზე; მოგვიანებით, უფრო მეტი კვლევა გამოჩნდა აკმ-ს ზოგად თემატიკაზე, კულტურული მემკვიდრეობის ტურიზმსა და გავრცელების გეოპოლიტიკურ მნიშვნელობაზე, თუმცა, მეცნიერთა შორისაც, ვერ მოიძებნა ისეთი მოდელი, რომელიც ტრადიციულ ოსტატობას გადაარჩენს. ვგულისხმობთ, ტრადიციის მატარებელ სუბიექტებს (ოსტატებს), რომლებიც ყველაზე „არაპოპულარული“ პერსონები არიან აკმ-ს ტურისტული საქმიანობის მართვაში. განსაკუთრებული ყურადღება სწორედ ამ რესურსებს უნდა მიექცეს, რადგან ხელოვნური ინტელექტის ტექნოლოგიები ტრადიციების მატარებელი სუბიექტების დაკარგვის დიდ რისკს შეიცავს.

ეს რისკები არ ჩანს ბოლოდროინდელ კვლევებში. თუმცა საინტერესოა, რომ ბოლო ხუთი წლის განმავლობაში გამოცემული სტატიების წამყვანი თემაა კულტურული მემკვიდრეობის დიგიტალიზაცია, რომელიც სხვადასხვა ასპექტითაა განხილული: სამგანზომილებიანი დიგიტალიზაციიდან დაწყებული, ხელოვნების ნიმუშების ან არქივების, ეთიკური და მარეგულირებელი ასპექტების გაუმჯობესებით, გაგრძელებული. კულტურული მემკვიდრეობის სარგებლიანობის პერსპექტივა ახალ ტექნოლოგიებში ინვესტიციების მოზიდვაა, რომელიც ამავე

დროს, ოსტატობის ინსტიტუტის შენახვას უნდა მოხმარდეს. ასეთი მიდგომა, იაპონიაში, ეროვნულ დონეზე დაწინაურებულია და საქართველოსთვის კულტურის მართვის მოდერნიზაციის კარგ ნიშნულს წარმოადგენს.

## თავი 2
## გლობალურ-ლოკალური პროცესების დინამიკა და კულტურული პოლიტიკის ტრანფორმაცია 21-ე საუკუნეში

### 1.1. კულტურული მემკვიდრეობის დაცვა უსაფრთხოების საერთაშორისო დღის წესრიგში

კულტურული მემკვიდრეობა და კულტურული იდენტურობა მჭიდრო კავშირშია ომისა და მშვიდობის საკითხებთან. როგორც სულიერების, მშვიდობისა და ტრანსფორმაციული ლიდერობის ინტერდისციპლინური კვლევების დოქტორი ჟ. ჰესლი (Haessly, 2021) ამბობს: კულტურული იდენტობა ბუნებრივად წარმოშობს „სხვასთან“ დაპირისპირების განცდას. ამ იდეის გაგრძელებას ვხვდებით, მშვიდობის საკითხეზე მომუშავე მეცნიერებათა შრომებში, რომლებიც თვლიან, რომ კულტურული იდენტობის ელემენტი შეიძლება გამოყენებული იქნეს როგორც ჯგუფებს შორის უფსკრულის შესამცირებლად, ასევე მის გასაღრმავებლად. ამიტომ, კულტურა „ჩართვასა და გამორიცხვას შორის მარკერების“ არსებობას, ანუ ზღვარის გავლებას გულისხმობს.

კულტურის, როგორც მშვიდობისა და ომის ფუნდამენტური როლი კარგად ჩანს ს. ჰანტიგტონის (Huntington 2020) თეორიაში, რომელიც მან „ცივი ომის“ დასრულების შემდეგ მსოფლიო წესრიგის უზრუნველსაყოფად „ცივილიზაციათა შეჯახების“ ლოგიკაზე დააფუძნა.

მიუხედავად იმისა, რომ ს. ჰანტინგტონის ნაშრომის რეფლექსიის საფუძველი, საკმოდ დიდია, მას მაინც სხვადასხვა მიზეზით აკრიტიკებენ. კერძოდ: მსოფლიო საზოგადოების ხელოვნური დაყოფა კულტურებს შორის (Gawthorpe, 2018), ისევე როგორც სოციალურ ჯგუფებს

შორის საზღვრების არარსებითობა (Zanin, 2009), ცივილიზაციურ და ეროვნული იდენტობას შორის განსხვავების ბუნდოვანება (Hoffmann, 2019), ომის თაობაზე მარტივი შეხედულებები (Gawthorpe,2018) და სხვა.

როგორც რ. გაუთჰორპი (Gawthorpe, 2018) ამბობს: ომის და მშვიდობის მშენებლობაში, კულტურის კონსტრუქტივისტული როლის უზრუნველყოფა, საერთაშორისო უსაფრთხოების სერიოზულ ამოცანას წარმოადგენს.

ფიაკანგ-ბოკონგას (Fiankan-Bokonga, 2019) აზრით: შესაფასებელია UNESCO-ს როლი მშვიდობის მშენებლობაში განათლების, მეცნიერებისა და კულტურის სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობის გზით.

ამასთან დაკავშირებით, ისტორიული მოვლენების ანალიზის საფუძველზე, ეკონომიკური, სამართლებრივი და პოლიტიკური მოწყობის პრობლემების გადაწყვეტა საკმარისი არაა ომების თავიდან ასაცილებლად. კენტის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფსიქოლოგიის პროფესორს ბენ-პორაჩის (Ben-Porath, 2016) მიაჩნია, რომ „ყველა კულტურის თანაბარი ღირსების“ განცდამ, როგორც ომის პრევენციის საშუალებამ, ღრმად უნდა გაიდგას ფესვები ხალხის გონებაში.

თუ ამ თეორიულ მიდგომებს UNESCO -ს ორგანიზაციული საქმიანობის დინამიკის ჭრილში გავაანალიზებთ, ცხადი ხდება, რომ კულტურული მემკვიდრეობა სახელმწიფოთა შორის კონფლიქტის საფუძველი შეიძლება გახდეს. მაგალითად: UNESCO-ს წევრ სახელმწიფოებს შორის დაძაბულობა მას შემდეგ წარმოიშვა, რაც 2011 წელს UNESCO-ს წევრად ოფიციალურად აღიარეს პალესტინა. აშშ-მ უარი თქვა ამ ორგანიზაციაში თავის შენატანებზე. ამ ფაქტთან დაკავშირებით ჰ. გარდინერი და ფ. სტივენი (Gardiner and Steven, 2019) მიიჩნევენ, რომ მიზეზი ჰებრონის ძველი ქალაქის (Hebron's Old City) და პალესტინის პატრიარქთა საფლავების UNESCO-ს მსოფლიო მემკვიდრეობის ძეგლების სიაში შეტანის პროექტი იყო. ეს აღქმული იყო, როგორც UNESCO-ს ანტიისრაელური მიკერძოებულობა.

UNESCO-ს გარშემო კულტურული მემკვიდრეობის საკითხებზე დაპირისპირებები ბოლო ათწლეულების განმავლობაში გაიზარდა. მაგალითად: ტაილანდისა და კამბოჯას დაპირისპირება Preah Vihear ტაძრის საკითხზე, რომელიც 2008 წელს კამბოჯის მიერაა რეგისტრირებული მსოფლიო მემკვიდრეობის სიაში. ამ ფაქტმა გაამწვავა კონფლიქტი ორ ქვეყანას შორის სადავო საზღვრის გამო. ეს ღონისძიება ტაილანდის ნაციონალისტებმა გამოიყენეს იმდროინდელი პრემიერ-მინისტრის - სამაქ სუნდარავეჯის რეჟიმის დასამყარებლად, რომელსაც ბრალად დაედო კულტურული და ტერიტორიული ქონების მოწინააღმდეგეებისთვის მიყიდვა.

იაპონიამ UNESCO-ში ყოველწლიური შენატანები 2015 წელს შეაჩერა, მას შემდეგ, რაც ჩინეთმა 1937 წლის ქ. ნანკინის საარქივო დოკუმენტები UNESCO-ს „მსოფლიო მეხსიერების" რეესტრში დაარეგისტრირა. როგორც ნ. აკაგავა (Akagawa, 2018) ამბობს: იაპონიის პროტესტი გამოწვეულია ისეთი ობიექტების აღიარებით, რომლებიც დავის საგანია აზიურ სახელმწიფოებს შორის. მიუხედავად ამისა, იაპონია საკუთარი კულტურული მემკვიდრეობის პოპულარიზაციის მიზნით, UNESCO-სთან თანამშრომლობას აქტიურად აგრძელებს.

თურქეთის პრეზიდენტ რეჯეფ ერდოღანის 2020 წლის 10 ივლისის განკარგულებით, აია-სოფიას ტაძარს მუზეუმის სტატუსი მოეხსნა და მეჩეთად გადაკეთდა, რომელიც UNESCO-ს მიერ გლობალური კულტურული მემკვიდრეობის ძეგლად არის აღიარებული. ს. მაჩაბი (Machabee, 2023) ამ ფაქტს საერთაშორისო აღშფოთებისა და დაძაბულობის საფუძვლად მიიჩნევს.

ასეთი ფაქტების გამო, მეცნიერთა დიდი ნაწილი, მშვიდობის პერსპექივას UNESCO-ს მართვის სტრუქტურის ცვლილებში ხედავს. ამ ცვლილებების აუცილებლობის იდეა იუნესკოს საქმიანობის შედეგების ანალიზიდან მომდინარეობს. ტრენტოს (იტალია) უნივერსიტეტის პროფესორი პ. ფორადორი (Foradori, Giusti & Lamonica., 2018) და სხვები თავიანთ კვლევებში მსოფლიო მემკვიდრეობის კონვენციებითა და სხვა დოკუმენტებით შექმნილ სამართლებრივ ვალდებულებებს „არასავალდებულოს", მორალურ იდეალს" ან „ორლესურ იარაღს"უწოდებენ, რომელიც სიფრთხილით უნდა იქნას გამოყენებული სახელმწიფოთა შორის ურთიერთობებში. ისტონის უნივერსიტეტის (აშშ) მკვლევარები ჰ. ლიი, ჰ.კუინგი და სხვები (Lee, Hyun Kyung and Sorensen, Marie Louise Stig and Zhu, Yujie, 2023) თვლიან, რომ UNESCO მხოლოდ პოლიტიკურ ორგანიზაციას წარმოადგენს და კულტურას პოლიტიკური საკითხების გადასწყვეტის ინსტრუმენტად იყენებს.

პოლიტიკურ და მეცნიერულ ლიტერატურაში გამოთქმული შეფასებების მიუხედავად, ფაქტია, რომ UNESCO-მ უდავოდ დაიმკვიდრა თავი, როგორც კულტურული მემკვიდრეობის მართვის წამყვანმა საერთაშორისო ორგანიზაციამ. ცნება „მსოფლიო მემკვიდრეობა", ნომინაციები, ტიტულები, ვფიქრობთ, ის საშუალებებია, რომელთა მეშვეობით, სახელმწიფოებმა, თავიანთი ავტორიტეტი კულტურაზე ორიენტაციით შეიძლება განიმტკიცონ, ხოლო UNESCO-მ, სიმბოლური აღიარებით, უზრუნველყოს კულტურული დიპლომატიის ინსტრუმენტის ამუშავება სახელმწიფოთა შორის ურთიერთობებში.

აშკარაა, რომ ევროპისთვის მნიშვნელოვანი იყო კულტურული მემკვიდრეობის კონცეფციასთან კავშირი ჰქონოდა მსოფლიოს. ამ ფონზე, ჯ. ლიის (Lee, Juheon, 2020) კვლევებზე დაყრდნობით, აზიის სახელმწიფოებიდან, მხოლოდ ჩინეთი ახერხებს პირველ ხუთეულში ყოფნას.

საბოლოო ანგარიშით, თუ როგორ შეიძლება შეფასდეს UNESCO-ს მართვის სისტემა საერთაშორისო დონეზე. ამ კითხვაზე პასუხის გასაცემად ჩვენ სამი ჰიპოთეზა გვაქვს:

1. ორგანიზაციის სტრუქტურა ნაწილობრივ არასრულყოფილია ზოგიერთი ქვეყნის უპირატესი კულტურული თავისებურებების მიმართ;
2. ნაკლებადაა წარმოდგენილი ის სახელმწიფოები, რომლებსაც არ აქვთ რაიმე კონკრეტული ინტერესი ორგანიზაციისა და მისი პოლიტიკის მიმართ;
3. ნაკლებად წარმოდგენილი ქვეყნებში კულტურა არ წარმოადგენს პოლიტიკურ პრიორიტეტს.

ეს ჰიპოთეზები ერთმანეთს არ გამორიცხავენ. საგულისხმოა, რომ სამივე ჰიპოთეზა ზოგადი სიტუაციის შეფასების პროცესში გარკვეულწილად ანგარიშგასაწევია.

თუ იუნესკოს წარმოშობის საფუძველსა და დინამიკას დავაკვირდებით, რთული არაა იმის გაგება, რომ დღევანდელი საერთაშორისო სისტემა სტრუქტურირებულია დასავლეთისა და ჩრდილოეთის ჰეგემონიის გარშემო.

UNESCO-ს ორგანიზაციული მართვის სისტემა, გადაწყვეტილების მიღება და წევრობის ინსტიტუტი განსხვავებულია გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გადაწყვეტილების მიღების სისტემისაგან. წევრ სახელმწიფოებს აქვთ თანაბარი ხმის უფლება (ორგანიზაციის უმაღლესი ორგანოა გენერალური კონფერენცია, გადაწყვეტილებების მიიღება უბრალო ან ორი მესამედის უმრავლესობის საფუძველზე ხდება). მიუხედვად ამისა, მსოფლიო მემკვიდრეობის ჩამონათვალის გათვალისწინებით აშკარაა, რომ გარკვეული „უთანასწორობების“ პოლიტიკა იუნესკოშიცაა გადატანილი.

შეიძლება ითქვას, რომ UNESCO-ს იდეოლოგია ეფუძნება მეორე მსოფლიო ომის შედეგად მოტანილ ნგრევის დაძლევას და იმის სურვილს, რომ კაცობრიობა არ იყოს გაყოფილი კულტურული იდენტობის საზღვრებით, დაძაბულობა შემცირდეს და შესაძლებელი გახდეს ხანგრძლივი საერთაშორისო მშვიდობა.

UNESCO-ს არსებობა კულტურაზე აქცენტირებით, განასახირებს ომისა და მშვიდობის არჩევანს და კულტურა, როგორც საერთაშორისო უსაფრთხოების ნაწილი, მუდმივად დღის წესრიგში აქვს შეტანილი. თუმცა, დამატებით, ი. ტრიფუს (Trifu, 2018) მოსაზრებაც უნდა

გავითვალისწინოთ, რომ ამ ორგანიზაციის პოლიტიკის კატეგორიზაციას სახელმწიფოთაშორისი კონფლიქტების გამოწვევის რისკები მომავალშიც აქვს.

კულტურული იდენტობის გლობალურ-ლოკალური დინამიკის ასეთ პირობებში, ჩვენ ვსვამთ კითხვას: რამდენად ეთანხმება საერთაშორისო საზოგადოება იმ აზრს, რომ კულტურა არის საერთაშორისო მშვიდობის საფუძველი? ამ კითხვის უარყოფის დასაბუთება სამეცნიერო ლიტერატურაში არ იძებნება. ამიტომ უტყუარია, რომ კულტურულ მემკვიდრეობასთან დაკავშირებული პოლიტიკის შესწავლა, უსაფრთხოების პრობლემების ჭრილში უნდა იქნეს განხილული.

ამ იდეის დასაბუთება მოცემული გვაქვს შემდეგ პარაგრაფებში.

## 2.2. კულტურული მემკვიდრეობის როლი „გლობალური კულტურის" სამშვიდობო პოლიტიკაში

„გლობალური კულტურის" სამშვიდობო პოლიტიკაში, კულტურული მემკვიდრეობის დაცვის წინაშე მდგარი გამოწვევების გათვალისწინებით, აუცილებელია ვუპასუხოთ კითხვებს:

- რა მნიშვნელობა ენიჭება დღესდღეობით კულტურულ მემკვიდრეობას საერთაშორისო უსაფრთხოების დღის წესრიგში?
- თუ კულტურული მემკვიდრეობა მართლაც აღიქმება როგორც უსაფრთხოების საკითხი, მაშინ რამდენად მზადაა საერთაშორისო თანამეგობრობა იკისროს დაცვის ვალდებულება სისტემისადმი მიმართული კრიტიკის მიუხედავად?
- რა პროცესები მიმდინარეობს უსაფრთხოების დღის წესრიგის მიღმა?

უკანასკნელ პერიოდში, კულტურულ მემკვიდრეობასა და ომს შორის კავშირის დემონსტრირების ფაქტები, ანუ ძეგლების განადგურება, კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სისტემის გადახედვის საფუძველი გახდა. ამაზე მეტყველებს ფრაშ-კონტეს საუნივერსიტეტო გაერთიანების (საფრანგეთი) პროფესორების მ. ვეკოს და ა. სრაკარის ნაშრომი (Vecco, & Srakar, 2018), სადაც გაანალიზებულია კონკრეტული პრაქტიკა: სირიის სამოქალაქო ომი, ისლამური სახელმწიფოს მიერ განხორციელებული ხატმებრძოლობა (ISIL, ISIS ან Daech)[7], ცნობილი

---

[7] ISIS - ერაყისა და სირიის ისლამური სახელმწიფო, ISIL - ისლამური სახელმწიფო ერაყსა და ლევანტში, Daesh

ისტორიული ადგილის განადგურება, როგორიცაა პალმირა, უძველესი არამეული ქალაქი თანამედროვე სირიის ცენტრალურ ნაწილში. ბერძნულ-რომაული ცივილიზაციის ეს ადგილი UNESCO-ს მიერ მსოფლიო მემკვიდრეობის ძეგლად იყო რეგისტრირებული. პალმირა განსაკუთრებული ყურადღების ცენტრში  მას შემდეგ მოექცა, რაც მასმედიამ ეს ფაქტი გააშუქა, როგორც „ომი კულტურასთან“.

2015 წლის ოქტომბერში, პალმირაზე განხორციელებული სასტიკი თავდასხმებიდან რამდენიმე თვის შემდეგ, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრებმა, UNESCO-ს მეშვეობით, გააფორმეს შეთანხმება  სამშვიდობო ჯარების სირიაში განლაგების შესახებ, კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების  ექსტრემისტებისაგან დაცვის მიზნით. იტალიის მთავრობის იდეა "ჯარები კულტურისთვის" ოფიციალურად აღსრულდა გაეროს უშიშროების საბჭოს მიერ 2017 წლის მარტის რეზოლუციის მიღებით (Resolution N 2347). ეს დოკუმენტი შეიარაღებული კონფლიქტების დროს, მემკვიდრეობის დაცვის საკითხში, იურიდიულად სავალდებულო ჩარჩოს წარმოადგენს  .

უნდა ითქვას, რომ კულტურული მემკვიდრეობის დაცვის პრობლემაზე საუბარი, ჯერ კიდევ მეცხრამეტე საუკუნის ბოლოს დაიწყო.  1874 წელს ბრიუსელში შემუშავებული საერთაშორისო დეკლარაციის პროექტი „ომის კანონებისა და წეს-ჩვეულებების შესახებ“ ადგენდა, რომ ომის შემთხვევაში ძეგლების  განადგურება, ან განზრახ დაზიანება სასამართლო განხილვის საგანი უნდა გამხდარიყო. ეს დეკლარაცია ძალაში არ შესულა, მაგრამ საფუძვლად დაედო 1899 წლის ჰააგის სამშვიდობო კონფერენციაზე მიღებულ „ომის კანონებისა და წეს-ჩვეულებების შესახებ ხელშეკრულებას“. მოგვიანებით, მეორე მსოფლიო ომის შედეგად გამოწვეული ნგრევის საფუძველზე, UNESCO-ს შექმნის პარალელურად, 1954 წელს, ჰააგაში მიღებული იქნა „შეიარაღებული კონფლიქტის დროს კულტურულ ფასეულობათა დაცვის კონვენცია“ (UNESCO, 1954). ეს კონვენცია დღემდე ომის პირობებში კულტურის დაცვის საერთაშორისო პოლიტიკის დასაყრდენს წარმოადგენს.  ამ აქტმა საერთაშორისო საზოგადოების დიდი ინტერესი გამოიწვია, თუმცა ის ჯერ არ არის რატიფიცირებული გარკვეული ქვეყნების მიერ.

აქედან გამომდინარე,  კულტურული მემკვიდრეობის უსაფრთხოების საკითხი ახალი არ არის და მასზე ფიქრი საერთაშორისო საზოგადობამ საუკუნით ადრე დაიწყო.  მიუხედავად ამისა, გაეროს უშიშროების საბჭოს N 2347 რეზოლუცია ნამდვილად წარმოადგენს ისტორიულ ეტაპს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის გლობალური უსაფრთხოების პროცესში.  ის გაეროს

---

- არაბული აკრონიმი რომელსაც ასევე უწოდებენ ისლამურ სახელმწიფოს ერაყსა და სირიაში,

უშიშროების საბჭოს პირველი გლობალური ინიციატივაა, რომელიც აერთიანებს საერთაშორისო სამართლისა და პოლიტიკის სხვადასხვა ელემენტებს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საკითხში. როგორც პავიას უნივერსიტეტის მკვლევარი მ.ქრისტენსენი (Christensen, 2022) აღნიშნავს, ეს რეზოლუცია გაეროს უშიშროების საბჭოს პირველი გლობალური ინიციატივაა, რომელიც აერთიანებს საერთაშორისო სამართლისა და პოლიტიკის სხვადასხვა ელემენტებს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საკითხში. ამ პოზიციის მხარდაჭერის მიზნით, გვინდა ავღნიშნოთ, რომ მართალია, სახელმწიფოები უკვე ძლიერ ინტერესს იჩენენ კულტურული მემკვიდრეობის უსაფრთხოების პრობლემის მიმართ, მაგრამ ამ ინტერესის რეალიზაცია, UNESCO-ს მართვის სისტემის თეორიული და პრაქტიკული მიდგომების ანალიზის გარეშე შეუძლებელია.

ამ აქტის შინაარსი საშუალებას გვაძლევს პასუხი გავცეთ კითხვას: თუ როგორ და რამდენად შეუძლია გაეროს უშიშროების საბჭოს, რეალურად შეუწყოს ხელი კულტურული მემკვიდრეობის უკეთ დაცვას შეიარაღებულ კონფლიქტებში. ამ ინსტრუმენტის მნიშვნელობაზე მეტყველებს რეზოლუციის ფარგლები და შინაარსი, იგი მოიცავს გლობალური მემკვიდრეობის პოლიტიკასა და მმართველობაში განვითარებული ხარვეზების დაძლევის გზებს, დოკუმენტის მეშვეობით შესაძლებელი ხდება საერთაშორისო დაცვის მთავარი გამოწვევების შეფასება და, რაც მთავარია, შემოდის კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სფეროში საერთაშორისო ვალდებულებების საკითხი, რომელიც ოპერატიული ზომების გატარების საშუალებას იძლევა.

მმართველობის კუთხით ეს არის თანამშრომლობის პრინციპის პრაქტიკული განხორციელება, რომელიც ეყრდნობა საერთაშორისო სამართლის ინსტრუმენტებს, ასევე გლობალური მმართველობის დაცვის ახალ მეთოდებს, და მოიცავს როგორც სახელმწიფოების, ასევე არასახელმწიფო ორგანიზაციების (ვგულისხმობ იუნესკოს) ქმედებების კოორდინაციის შესაძლებლობას.

რა ეფექტს ვხედავთ პრობლემის წინ წამოწევით? კულტურული ფასეულობების განადგურება ხელს უშლის ადამიანებს შორის შერიგებას, აფერხებს განვითარებას და ანგრევს კულტურულ მრავალფეროვნებას. ხოლო ისტორიული ფესვებისა და კულტურული მრავალფეროვნების უარყოფის მცდელობამ, შეიძლება გააძლიეროს კონფლიქტი და შეაფერხოს შერიგება. ამით ფერხდება დაზარალებული სახელმწიფოების სტაბილურობა ზოგადად, და სოციალურ ეკონომიკური და კულტურული განვითარების სფეროს მმართველობა, კონკრეტულად.

ჩვენი პოზიცია ამ თვალსაზრისით, კონსტრუქტივიზმისა და უსაფრთხოების თეორიას ეფუძნება.

## 2.3. გლობალური გამოწვევების პირობებში კულტურული მემკვიდრეობის დაცვის მიდგომები და მეთოდები (კონსტრუქტივიზმი და უსაფრთხოების თეორია)

პრობლემის განხილვის პროცესში ყურადღება გვინდა შევაჩეროთ კონსტრუქტივისტულ მიდგომაზე.

UNESCO-ს დევიზია გლობალური კულტურის მეშვეობით მშვიდობის დამყარება ადამიანთა გონებაში. მშვიდობა ფსიქოლოგ-მკვლევრების მიერ განიხილება, როგორც ადამიანთა გონების შედეგი. ასეთი მიდგომა ყურადღებას იმსახურებს, რადგან მას მივყავართ დასკვნამდე: მშვიდობა და გლობალური კულტურა წინასწარ არ არსებობს ხალხის გონებაში, ეს არის სოციალური კონსტრუქტების შედეგი.

კონსტრუქტები ამ შემთხვევაში არის ბუნებრივი ენა და დისკურსი. მიდგომა საინტერესოა იმდენად, რამდენადაც მისი მეშვეობით შესაძლებელია დისკურსის გზით უსაფრთხოების დღის წესრიგში შესატანი საკითხის მნიშვნელობის ხარისხის გაზომვა და ანალიზი. კონსტრუქტივიზმის მეთოდების ერთობლიობა კოპენჰაგენის სკოლის უსაფრთხოების თეორიის ნაწილია.

ცივი ომის დასრულების შემდეგ, საერთაშორისო ურთიერთობებში, ბევრი რამ შეიცვალა. მათ შორის უსაფრთხოების კვლევების სფეროც, გასული საუკუნის 70-იან წლებში უსაფრთხოება აკადემიურ წრეებში განიხილებოდა, როგორც მკაცრად სამხედრო პრობლემა. 70-იანი წლებიდან კვლევის ეს ობიექტი გაფართოვდა გარემოსდაცვითი, ეკონომიკური, ეროვნული უსაფრთხოების ახალი მიმართულებებით. სწორედ ამ პერიოდიდან მეცნიერები იწყებენ უსაფრთხოების ფორმატის გადახედვას და დაინტერესებულ წრეებს სთავაზობენ კონცეფციის გაფართოებას. კერძოდ: კოპენჰაგენის სკოლის მიერ შემუშავებული კონცეფცია, კონსტრუქტივისტული მიდგომის საფუძველზე, მოცემულია ბუზანისა და სხვათა (Buzan & others, 1998) ავტორობით გამოცეემულ წიგნში „უსაფრთხოება: ახალი სტრუქტურა“.

ავტორები მიიჩნევენ, რომ მოცემული საკითხები თავისი შინაარსით უსაფრთხოების პრობლემას არ წარმოადგენს, მაგრამ ისინი სოციალური კონსტრუქციის ნაწილიებია და ამიტომ პოლიტიკური აქტორების მიერ დისკურსის მეშვეობით უსაფრთხოების კონტექსტში განიხილებიან.

ავტორთა მსჯელობა საკითხთა პოლიტიზაციის სამ დონეს ეხება: „არაპოლიტიზებული“, „პოლიტიზირებული“ და „უსაფრთხოებითი“. ამ თეორიის მიხედვით, მოვლენა შეიძლება ჩაითვალოს უსაფრთხოების ნაწილად, თუ იგი განიხილება როგორც გადარჩენის საშუალება და

მასთან მიმართებაში გამოიყენებაისეთი ღონისძიებები, რომლებიც სცილდება  პოლიტიკურ საშუალებებს. შესაბამისად, „უსაფრთხოების ნაბიჯი“ არის ამ ტიპის ღონისძიებების მომხრე აქტიორთა დისკურსის შედეგი.

პრობლემის გადაჭრას საფრთხის დაძლევის გადაუდებლობისა და ეგზისტენციალურ ბუნებაზე ხაზგასმით, არაპოლიტიზებული ან პოლიტიზებული დონიდან, საკითხი უსაფრთხოების დონეზე გადაჰყავს.

ამგვარად, კოპენჰაგენის სკოლის წარმომადგენლები უსაფრთხოების პროცესს განიხილავენ, როგორც „მეტყველების აქტს“ (Buzan, B., & Waever, O. 2003)), რომელიც ორი განზომილებისგან შედგება: 1. საგანგებო დისკურსი - მიზნად ისახავს არსებით საფრთხეზე ზოგადი ცნობიერების ამაღლებას და 2. ზეპოლიტიზირებული დისკურსი - მიზნად ისახავს საფრთხის პრიორიტეტულობის პოლიტიკურ დღის წესრიგში და პრობლემის მოსაგვარებლად სპეციალური ღონისძიებების გატარებას.

ამ თეორიის მთავარ ღერძს წარმოადგენს საფრთხის ცნება. მართლაც, საკითხის უსაფრთხოების კონტექსტში განხილვისათვის წარმატების მიღწევის შანსი მნიშვნელოვანი მიზეზების მობილიზებაზე გადის.  ამისათვის საკმარისია, რომ საზოგადოებამ მიიღოს ის საგანგებო ზომები, რომლებიც სცილდება ტრადიციული  პოლიტიკის ჩარჩოებს.

კოპენჰაგენის სკოლის საფრთხის შესახებ განმარტების რეზიუმირება შესაძლებელია, როგორც „ გარკვეულ საგანზე პოტენციური საფრთხის მუქარა“ (Buzan & others, 2003), ამ  "გარკვეულ სგანს" უწოდებენ "რეფერენტულ ობიექტს"  (Floyd, 2007)და ის ცენტრალური მნიშვნელობის მქონეა საფრთხის  შეფასების პროცესში, რადგან განსაზღვრავს მოცემული საფრთხის შედეგებს და ზემოქმედების შესაძლებლობებს.

ამრიგად, კოპენჰაგენის სკოლის უსაფრთხოების თეორია, კონსტრუქტივისტული პარადიგმის საფუძვლების გამო, კარგი საშუალებაა ნებისმიერი სახის დისკურსის გასახსნელად. დისკურსის შედეგად შესაძლებელია დადგინდეს: საერთაშორისო აქტორები მხარს უჭერენ თუ არა გლობალური კულტურის უსაფრთხოების ლეგიტიმურობას. ამასთან, სწორედ ეს თეორია და მასთან დაკავშირებული მიდგომები წარმოადგენს  კულტურული მემკვიდრეობის დაცვის შესახებ საერთაშორისო დისკურსის  ინსტრუმენტს.

უფრო ფართო პერსპექტივით, უსაფრთხოების  ეს ახალი თეორია განსაკუთრებით აქტუალურია იმის დასანახად, რომ "უსაფრთხოება" გარეგანი იარლიყი კი არ არის, არამედ დამოკიდებულია აქტიორთა ნებაზე.

გლობალური მასშტაბით, კულტურის დაცვას, საერთაშორისო უსაფრთხოების დღის წესრიგის მიხედვით, ჰქონდა თავისი აღმავლობისა და ვარდნის პერიოდები, რაც ასევე გულისხმობს ცვლილებებს უსაფრთხოების აქტების ინტენსივობასა და სიხშირეში. უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, ამ მიდგომით UNESCO-ს განსაკუთრებული როლი ენიჭება კულტურული მემკვიდრეობის უსაფრთხოების მექანიზმებით მართვაში, რადგანაც ეს ინსტიტუტი ერთდროულად გულისხმობს როგორც გარემოს და, როგორც აქტიორს. როგორც გარემო, UNESCO წარმოადგენს ადგილს, სადაც წევრი ქვეყნები, გლობალური კულტურის პოლიტიკასთან დაკავშირებით უპირისპირდებიასნ ერთმანეთს. როგორც აქტიორი, UNESCO ჩართულია კულტურული მემკვიდრეობის დაცის პროცესში და ადგენს თამაშის გარკვეულ წესებს.

### 2.4.კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ტრანსფორმაცია და უსაფრთხოების კონტექსტის მნიშვნელობა საქართველოსთვის

გაეროს უშიშროების საბჭოს N 2347 რეზოლუციამ აჩვენა, რომ საერთაშორისო აქტიორებს დიდი ინტერესი გაუჩნდათ მემკვიდრეობის დაცვის პრობლემის მიმართ. 2017 წლის 24 მარტის ეს რეზოლუცია უახლესი და, ამავე დროს, ყველაზე ფართო სამართლებრივი ბაზაა კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სფეროში. ეს დოკუმენტი მეცნიერული და პრაქტიკული განხილვის ცენტრში მოექცა, რადგან მან, კულტურული მემკვიდრეობის დაცვას, ტერორიზმთან ბრძოლის კონტექსტში დისკურსით შეუწყო ხელი. ისლამისტების მიერ ზემოთ ნახსენები პალმირას ისტორიული ძეგლების, მათ შორის, ტიმბუქტუს მავზოლეუმების განადგურება, რომლებიც შეტანილია UNESCO-ს მსოფლიო მემკვიდრეობის სიაში, მემკვიდრეობის დაცვის მთავარი საფუძველი გახდა. ამ მოვლენამ, როგორც ფ.კაპონე (Capone, 2018) აღწერს, მსოფლიო ყურადღება ფაქტზე რეაგირების გამო მიიპყრო. 2016 წელს აჰმად ალ-ფაქი ალ მაჰდი, ალ-ქაიდას მოკავშირე ჯგუფის წევრი, პირველი ადამიანია, რომელიც საერთაშორისო სისხლის სამართლის სასამართლოს მიერ, კულტურული მემკვიდრეობის წინააღმდეგ ჩადენილი ომის დანაშაულისთვის იყო გასამართლებული. მან დანაშაული აღიარა და 9 წლით თავისუფლების აღკვეთა მიესაჯა.

ამ და სხვა ფაქტებიდან გამომდინარე ნიშანდობლივია, რომ, საბოლოო ანგარიშით, ევროპა ნამდვილად მეტადაა ჩართული კულტურული მემკვიდრეობის უსაფრთხოების კონტექსტში განხილვით, ვიდრე დანარჩენი მსოფლიოს სხვა ქვეყნები.

ამაზე მეტყველებს რეზოლუციის მიღების მთელი პროცესი. საფრანგეთი და იტალია აღიარებულნი არიან დოკუმენტის ინიციატორებად, თუმცა რამდენიმე ევროპული ქვეყანა

რეზოლოციის პროექტის მონაწილე არ გამხდარა. უფრო მეტიც, მსოფლიოს დანარჩენი ნაწილი ნაკლებად არის წარმოდგენილი რეზოლუციის მხარდაჭერაში. მაგალითად: იაპონია, მაროკო, სამხრეთ კორეა, ყაზახეთი, ტუნისი, კოტ დ'ივუარი, მალი, სენეგალი და ეთიოპია, ავსტრალია, ახალი ზელანდია, კანადა, ვენესუელა, ჩილე. ახლო აღმოსავლეთში: ისრაელი, ლიბანი, არაბთა გაერთიანებულ საემიროები, თურქეთჰი.

არაევროპული „დიდი ძალები“, როგორიცაა შეერთებული შტატები, ჩინეთი და რუსეთის ფედერაცია არ არიან წარმოდგენილნი რეზოლუციის მხარდამჭერთა შორის, მიუხედავად იმისა, რომ უშიშროების საბჭოში ისინი ვეტოს უფლებით სარგებლობენ. მართალია, რეზოლუციასთან დაკავშირებულ დისკურსში, არაოფიციალურად მათ მონაწილეობა მიიღეს, მაგრამ, როგორც ც. ლიუზა (Liuzza, 2021) ამბობს: ოფიციალურ ჩართულობას სხვა „ადმინისტრაციული ენერგია“ გააჩნია. არც BRICS (ბრაზილია, რუსეთი, ინდოეთი, ჩინეთი და სამხრეთ აფრიკა) ქვეყნებს მიუღიათ მსოფლიო კულტურული მემკვიდრეობის დაცვის დოკუმენტის პროექტში მონაწილეობა, მიუხედავად იმისა, რომ ისინი უშიშროების საბჭოში არიან წარმოდგენილნი.

ამ ფაქტების გამო ჩნდება მეცნიერთა და პროფესიონალთა ინტერესი: მსოფლიო კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სფერო, როგორც ახალი პარადიგმის ქვაკუთხედი, როგორ გახდეს უსაფრთხოების ელემენტი. პრობლემის გასაანალიზებლად ჩვენ მიზანშეწონილად მიგვაჩნია დავსვათ კითხვა: რა არის ინტერესთა შეუსაბამობის მიზეზი სხვადასხვა აქტორებს შორის და რა დგას მათი ქმედების უკან?

მიუხედვად იმისა, რომ სახელმწიფოები ერთნაირ როლს არ თამაშობენ მსოფლიო მემკვიდრეობის დაცვის პროცესში, მოცემული რეზოლუცია ისტორიული ნაბიჯია კულტურული მემკვიდრეობის საერთაშორისო უსაფრთხოების დღის წესრიგში განსახილველად.

ჩვენ ვეთანხმებით გერსტენბლიტის (Gerstenblith, 2016) მიერ გამოთქმულ მოსაზრებას, რომ კულტურული მემკვიდრეობის განადგურება განხილულ უნდა იქნეს მოსახლეობის მოსპობის, ადამიანებით ვაჭრობის, მასობრივი განადგურების იარაღის გავრცელების დონეზე. ამასთან, N2347 რეზოლუცია, რომელიც გაეროს უშიშროების საბჭოს მიერ დარეგისტრირებულია, როგორც „რეზოლუცია მშვიდობისა და საერთაშორისო უსაფრთხოების შესახებ“, მხოლოდ სახელწოდება არ არის. ეს არის კონსესუსის შეთავაზება კულტურული მემკვიდრეობის უსაფრთხოების კონტექსტში განხილვის მიზნით, რომელიც დისკურსის საგანი ხდება. დისკურსის პროცესში კი ნამდვილად გაეცემა კითხვას პასუხი: - რატომ უნდა განიხილებოდეს კულტურული მემკვიდრეობა, როგორც უსაფრთხოების პრობლემა.

ჩვენი მხრიდან ამ დისკურსის აუცილებლობითვის გვაქვს შემდეგი არგუმენტები: მიღებული რეზულიცია არის ფაქტი, რომლის შინაარსი ზეპოლიტიკურია; სადისკუსიო მოდალურობის მიხედვით, არც ერთი კონტრარგუმენტი არ არის, რომელიც კულტურული მემკვიდრეობის უსაფრთხოების ფორმალურ კატეგორიზაციას შეაჩერებს. უფრო მეტიც, მართებულად მიგვაჩნია ც. სეაბრას, ო. პავიასა და სხვათა (Seabra, & Paiva, 2020) პოზიცია, რომ კულტურული მემკვიდრეობის საერთაშორისო უსაფრთხოების ჩარჩოებში აღიარებას ბიძგს აძლევს ტერორიზმსა და კულტურას შორის კავშირი. ამასთან, ისიც ფაქტია, რომ ამ ფენომენის არსი დაკავშირებულია როგორც სამშვიდობო ასპექტებთან, ასევე ტერორიზმთან. ამიტომ, როგორც ჯ. ჩალქრაფტი (Chalcraft, 2021) იტყოდა მთავარი ისაა, რომ ორივე ეს პირობა განსხვავებული ხარისხით, მაგრამ, საბოლოო ანგარიშით, მაინც მიუთითებს ადამიანის სიცოცხლეზე.

სადაო აღარაა, რომ დღეს კულტურულ მემკვიდრეობას შეიძლება ვუწოდოთ UNESCO-ს იდეოლოგია. ეს იდეოლოგიურად გულისხმობს რწმენას იმისა, რომ კულტურა თავისთავად ფუნდამენტური ღირებულებაა ადამიანთა მშვიდობიანი თანაცხოვრებისთვის. კულტურულ მემკვიდრეობას აქვს ძალა გავლენა მოახდინოს „კონფლიქტზე“ და „შერიგებაზე“. კულტურის „იდეოლოგიური ღირებულება“ რეზოლუციის მე-4 მუხლშია მოცემული. ეს ჩანაწერი კ. შმალენბახის (Schmalenbach, 2018) თქმით: სამართლებრივი საფუძველი ხდება სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოსათვის (ICC) მემკვიდრეობის განადგურების შესახებ გადაწყვეტილებები მიიღოს, როგორც ომის დანაშაულზე.

დოკუმენტის ანალიზი იმასაც გვიჩვენებს, რომ კულტურული მემკვიდრეობის იდეოლოგიური ნაწილი, რეზოლუციის მთავარი მიმართულება არ არის. უშიშროების საბჭოს მიერ მოთხოვნილი ღონისძიებები ძირითადად მემკვიდრეობის განადგურების თავიდან აცილებისკენ კი არა, არამედ მემკვიდრეობის გამანადგურებელი სუბიექტების მიერ, რაიმე სარგებლის მიღების პროფილაქტიკისკენაა მიმართული.

საბოლოო ჯამში, შეიძლება ითქვას, რომ კავშირი კულტურის განადგურებასა და ტერორიზმს შორის არ შემოიფარგლება იდეოლოგიაზე დაფუძნებული ხატმებრძოლობით, რომელმაც მთელი მსოფლიოს საზოგადოება ჩააგდო შოკში; ასეთი განადგურების „რაციონალური“ მიზეზი უფრო მეტია და იგი ეკონომიკურ ხასიათსაც ატარებს, რადგან კულტურული ობიექტების ძარცვა და კონტრაბანდა ტერორისტული ჯგუფების საქმიანობის დაფინანსების საფუძველია. კ. ჰუფნერის (Hüfner, 2017) ეს პოზიცია დასტურდება იმით, რომ რეზოლუცია (მე-9 მუხლი) მოუწოდებს წევრ სახელმწიფოებს, ეროვნულ დონეზე გაატარონ საკანონმდებლო და ორგანიზაციული ზომები, რათა

საჭიროების შემთხვევაში  თავიდან იქნას აცილებული კულტურული ფასეულობებით ვაჭრობა და მასთან დაკავშირებული სამართალდარღვევები.  ეს არის ძირითადი ელემენტი, რომელიც საშუალებას აძლევს აქტორებს დააკავშირონ კულტურის მნიშვნელობა ტერორიზმის საფრთხესთან.

ამრიგად, კულტურული მემკვიდრეობის უსაფრთხოების დინამიკას ორი კონვერგენციული წერტილი გააჩნია: ერთი ეყრდნობა კულტურის იდეოლოგიური ღირებულების შენარჩუნების ლოგიკას  და, მეორე, ტერორიზმის შედეგად მემკვიდრეობის განადგურების ლოგიკას. ამ თვალსაზრისით, კულტურული მემკვიდრეობა აღარ წარმოადგენს თავდაპირველ, მხოლოდ კულტურული ღირებულების  ობიექტს, არამედ, მას ემატება ფასიც და შესაბამისად,  ტერორიზმის პრევენციის მოდელში, უსაფრთხოების დღის წესრიგის პრიორიტეტული მიმართულება ხდება.

ამ პრობლემის გადასაჭრელად მნიშვნელოვანია, UNESCO-ს მონაცემებზე დაყრდნობით, შემუშავდეს კონტინენტის ყველა ქვეყნის კულტურული მემკვიდრეობის მდგრადობის ინდექსი. ინდექსის ასაგებად,  მეთოდებისა და ინდიკატორთა დადაგენა ცალკე კვლევის საგანს წარმოადგენს. თუმცა, შეიძლება ითქვას, რომ ასეთი მიდგომა, კონფლიქტის გამო, კულტურული მემკვიდრეობის მდგრადობის კონცეფციის მოდელირების შესაძლებლობას იძლევა. გეოპოლიტიკური აქტორები იბრძვიან საზოგადოებაზე სხვადასხვა თავდასხმების შესაჩერებლად, რის გამოც კულტურული მემკვიდრეობის დაცვის პრობლემას შედარებით ნაკლები მნიშვნელობა ენიჭება. ამიტომ, უსაფრთხოების კონტესტში, კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საკითხზე დისკურსის დაწყება და მდგრადობის ინდქესის შემუშავება, UNESCO-ს, როგორც საერთაშორისო ორგანიზაციას, ახალ ფუნქციას შესძენს. კერძოდ:  მას შესაძლებლობა ექნება უზრუნველყოს მართვის ისეთი ელემენტების მობილიზება, რომელთა მეშვეობით, კულტურული მემკვიდრეობა, როგორც არაგანახლებადი რესურსი, რომელიც  მთელ კაცობრიობას ეკუთვნის, განიხილებოდეს როგორც სახელმწიფოთა ერთობლივი  პასუხისმგებლობა მომავალი თაობების წინაშე.

დაზუსტების მიზნით შეიძლება ითქვას, რომ მართალია კულტურული მემკვიდრეობა მდგრადი განვითარების ნაკლებად აღიარებული რესურსია,  მაგრამ მდგრადი განვითარების მიზნების  მე-11[4] მუხლი მოუწოდებს სახელმწიფოებს მსოფლიო კულტურული და ბუნებრივი მემკვიდრეობის დასაცავად ძალისხმევა გააძლიერონ.  როგორ და რა მიმართულებით უნდა გაძლიერდეს ეს ძალისმევა? ამ კითხვაზე პასუხობს შემოთავაზებული ინდექსის ინსტრუმენტი, რომელიც სოციალური კაპიტალის გაძლიერების, საერთასორისო ურთიერთობებში ტურიზმის განვთარებიის და  ეკონომიკური ზრდის სტიმულირების საშუალება შეიძლება გახდეს.

როცა ინდექსზე ვლაპარაკობთ ისმება კითხვა: შეიძლება თუ არა არამატერიალური მემკვიდრეობის ციფრებში გამოხატვა? თუ საერთასორისო პრაქტიკას გადავხედავთ, სურათი ასეთია: არსებობს აშშ-ს ეროვნული ხელოვნების ინდექსი, ევროპის კულტურული ინდექსი; ინტერკულტურული ქალაქების ინდექსი და სხვა. ეს პრაქტიკა აჩვენებს, რომ კულტურული მეკვიდრეობის მდგრადობის ინდექსის შემუშავება შესაძლებელია. თუ შესაძლებელია, მაშინ რას მოგვცემს ინდექსი? ინდექსი აჩვენებს, რომელი სოციალურ-ეკონომიკური ცვლილება იმოქმედებს ნეგატიურად კულტურულ მემკვიდრეობაზე. რომელი ქვეყნები დაზარალდებიან უფრო მეტად ომიანობის შემთხვევაში და რომელი ნაკლებად. საბოლოო ანგარიშით, ინდექსი აჩვენებს ძეგლის მდგომარეობას დროში. მაშასადამე, ციფრებში გამოხატვა შესაძლებელია, მიზანშეწონილია, მაგრამ რა ინდიკატორებს უნდა დაეყრდნოს აკმ-ს მდგრადობის ინდექსი? ასეთ ინდიკატორებად შეიძლება გამოდგეს: სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა; კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის კონკრეტული შინაარსი და მისი მატარებლები; ძეგლების დაცულობის შესახებ ანგარიშვალდებულები; კულტურული ერთობისა და ადგილობრივი საზოგადოების ინტეგრაციის განზომილებები; ტურისტული აქტივობის სეზონურობის განზომილებები; ტურისტების კმაყოფილება, ბუნებრივი ეკოსისტემის დაცვის მდგომარეობა; განათლება და ცოდნის გადაცემის მაჩვენებლები.

არსებობს ამდაგვარი ინდექსის აგების მრავალი მეთოდი: სხვადასხვა ინდიკატორის, მიზეზთა მოდელის, ცვლადების ფორმირების და მათემატიკური მოდელირების სხვა ელემენტების გამოყენებით.

დასახელებულ რეზოლუციას მნიშვნელობა აქვს საქართველოს კონფლიქტური რეგიონებისთვის. ისტორიულ და სამეცნიერო წყაროების მიხედვით, აფხაზეთში დასტურდება ბრინჯაოს ხანის სამარხების, სავადასხვა პერიოდის ქალაქების, ციხესიმაგრეების, ხიდების, სასახლეების, ეკლესიების და მონასტრების არსებობა. ფიქსირდება ქრისტიანული ხელოვნების ნიმუშები. ვ.ფიჩულინა და ა. არგუნი (Pishchulina, & Argun, 2018) ბოლოდროინდელ ნაშრომში ბრინჯაოს ხანის მეგალითური არქიტექტურის ნამუშევრებსა და ეშერის III ათასწ დოლმენებს აღწერენ. ამასთან, ქრისტიანული პერიოდიდან შემორჩენილია არქიტექტურული და მხატვრული მემკვიდრეობა, რომელიც ეკლესია-მონასტრების, სასახლეების კედლებზეა შემორჩენილი.

საქართველოში ეთნოპოლიტიკური კონფლიქტის პერიოდში, სხვა მძიმე შედეგებთან ერთად, დაზიანდა კულტურული მემკვიდრეობა. გარდა ამისა, დრანდა, წმინდა სვიმონ კანანელის სახელობის ახალი ათონის ტაძარი, ბედია, ლიხნი (ღვთისმშობლის მიძინების ტაძარი) - ის

კულტურული ძეგლებია, რომლებმაც, უკანასკნელ წლებში, განხორციელებული რესტავრაციის საფუძვლით  მთლიანად დაკარგეს პირვანდელი სახე.  უფრო დაწვრილებით ჩატარებული სამუშაოების შედეგები კი ჩვენთვის უცნობია.

როგორია UNESCO-ს პოლიტიკა ამ შემთხვევაში?  ეს ორგანიზაცია არ განიხილავს კულტურული ობიექტების მსოფლიო კულტურულ მემკვიდრეობათა ნუსხაში ჩართვის საკითხს, თუკი ისინი არაღიარებული სახელმწიფოების ტერიტორიებზე მდებარეობენ.  კონფლიქტურ რეგიონში ასზე მეტი კულტურული ობიექტია, რომელსაც ეროვნული სტატუსი ან საერთასორისო კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსი შეიძლება მიენიჭოს.   ეს საკითხი ჟენევის დისკუსიების დროსაც, 2008 წლის შემდეგ განიხილებოდა, თუმცა დასახელებული მიზეზის გამო პროცესი არ გაგრძელებულა.

აღსანიშნავია, რომ ბოლო პერიოდში  ენდოლოცევას (Endoltseva, E & others, 2019) და სხვათა ნაშრომების მიხედვით, მატერიალურ ოობიექტებთან ერთად, არამატერიალურ კულტურულ მემკციდრეობად განხილულია აფხაზური ცეკვა.

აფხაზი ხალხის კულტურასა და ტრადიციებზე საუბრისას,  ადგილობრივ მკვლევართა შეფასებით, აფხაზური ცეკვა ახლოს დგას  კავკასიელი ხალხების: ადიღეელების, ყაბარდოელების და ჩერქეზების კულტურასთან. აფხაზური კულტურა ძლიერი იყო და არ იგრძნობა ბერძნული, რომაული, ბიზანტიური, თურქული და რუსული კულტურების გავლენა. როგორც კუპრავა (Куправа, 2008) ამბობს: დღევანდელი აფხაზეთის კულტურა  ქრისტიანული და მუსლიმური კულტურული ტრადიციების ერთობლიობაა.  "აკუაშარა", რაც ნიშნავს "ცეკვას" და სიტყვა "აიკუაშარა" ითარგმნება როგორც "თითოეულის გარშემო ტრიალებს". სტუმარმასპინძლობის ადათზე, როგორც მემკვიდრეობაზე საუბარია ანქვაბის Анкваб, 2016) სტატიაში:  „თუ არაფერი არ იცი შენი ქვეყნის შესახებ, მაშინ ჰგავხარ ადამიანს, რომელმაც მეხსიერება დაკარგა." წარსულის შეცნობის გარეშე შეუძლებელია აწმყოს გაგება და მომავლის აშენება. აფხაზური ენა, ასევე სახელდება კულტურულ მემკვიდრეობად.

რამდენად მზად არის საქართველო ამ დისკურსში ჩასართველად?

საქართველოს უსაფრთხოების კონცეფცია ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრები მოქალაქეების ეთნიკურ ნიადაგზე სისტემატურ დევნასთან  და დემოგრაფიული ბალანსის ხელოვნურად შეცვლის ცდებთან ერთად, საფრთხეს წარმოადგენს  კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების განადგურება, მათი მიზანმიმართული დაზიანება.

ამ მხრივ საინტერესოა ინფორმაციას ავრცელებს აპსნპრესი (Апсадгьыл-инфо, 2022): შპს ღვინის ქარხანაში "აფხაზეთის ღვინოები და წყლების" გამოფენა გაიხსნა. „არ აქვს მნიშვნელობა ვინ გამოგონა ქვევრი, მაგრამ მნიშვნელოვანია ქვევრში ღვინის გემო". გასაგებია, რომ ქართული ქვევრის ღვინის  ნარატივის მიხედვითაა აგებული.

თავის მხრივ, აფხაზეთის ღვინისა და წყლების მთავარმა ექსპერტმა ვალერი ავიძბამ განაცხადა, რომ ღვინოს ფაზილ ისკანდერის პატივსაცემად, პირადად, მისი თანხმობით, ღვინო „ჩეგემი“ დაარქვეს და  ისტორიულ-კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების რეესტრის შექმნაზე მუშაობენ.

ვფიქრობთ, ამ ფონზე, N2347 რეზოლუცია საკმაოდ კარგი მექანიზმია, აფხაზეთში კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საკითხებზე, საქართველოს მხრიდან დისკურსის გასახსნელად, რადგან წინა პლანზე იწევს მემკვიდრეობის დაცვის იდეოლოგია (პოლიტიკური ნიშნების გარეშე) და ძეგლების განადგურების პროფილაქტიკა.  UNESCO-ს წინაშე ძეგლთა დაცვის უსაფრთხოების კონტექსტში, რიტორიკის გაძლიერება საქართველოს მხრიდან, შესაძლოა, კონფლიქტის რეგიონში კულტურული დიპლომატიის კარგი საშუალებაც გახდეს.

მაშასადამე, გლობალურ-ლოკალური პროცესების დინამიკა  აჩვენებს, რომ კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საერთაშორისო სიტემა ჩიხში შევიდა, რაც მართვის სისტემის ტრანსფორმაციას ითხოვს. კვლევის შედეგად გამოიკვეთა, რომ  ტრანსფორმაცია გულისხმობს მიდგომების შეცვლას ორი მიმართულებით: ა) იდეოლოგიური ღირებულების ლოგიკიდან კულტურული მემკვიდრეობის  საერთაშორისო უსაფრთხოების  დღის წესრიგში განხილვის ლოგიკაზე გადასვლა; ბ) „ცივილიზაციათა შეჯახების“ თეორიის საპირწონედ  კოპენჰაგენის სკოლის თეორიის კონსტრუქტივიზმის  მეთოდების გამოყენება. კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საერთაშორისო პოლიტიკის ტრანსფორმაცია, საქართველოს UNESCO-ს წინაშე ძეგლთა დაცვის უსაფრთხოების რიტორიკის გაძლიერების საშუალებასა და  კონფლიქტის რეგიონში კულტურული დიპლომატიის განვითარების შესაძლებლობებს აძლევს.

## თავი 3
## იშვიათი ტექნოლოგიების ქართული ტრადიციები - სამი ევრაზიული სტრატეგიის კონტექსტში

### 3.1. ევრაზიული სტრატეგიების თეორია და დაბალანსების სცენარები საქართველოში

#### 3.1.1. ევრაზიული სტრატეგიების თეორიები

იშვიათი ტექნოლოგიების სარგებლიანობა ისეთ რისკებს შეიცავს, როგორიცაა ფალსიფიცირება, გაყალბება და სხვა. აქედან გამომდინარე, იშვიათი ტექნოლოგიების გამოყენება დაცვის სპეციალურ რეჟიმებს ითხოვს (ქვევრის ღვინის დაყენების ტექნოლოგია, ქართული აბრეშუმის რეწვის ტექნოლოგია).

ტერმინი „იშვიათი ტექნოლოგია" გამოარჩევს ობიექტს ახალი ტექნოლოგიების, ხელოვნური ინტელექტის ტექნოლოგიებისგან და სხვა. ობიექტის გვარეობითი მახასიათებელი იშვიათობაა და სწორედ ეს ხდება კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საფუძველი. ამ გვარეობითი ნიშნის ქვეშ გაერთიანებულ ობიექტებს აქვთ ზოგადი ისეთი მახასიათებლები , როგორიცაა კავშირი ტერიტორიასთან, დროსთან და სხვა.

საქართველოს იშვიათი ტექნოლოგიებით სარგებლიანობა დაცვის სპეციალურ რეჟიმთან ერთად, გლობალურ პროექტებში ქვეყნის მონაწილეობას უკავშირდება. ბოლო პერიოდში აქტუალობა შეიძინა ისეთმა სტრატეგიულმა პროექტებმა, როგორიცაა: ჩინეთის „ახალი აბრეშუმის გზა", აშშ-იაპონიის ალიანსი, რუსეთის ევრაზიული კავშირი. ამ პოლიტიკურ რეალობაში აუცილებელია რეგიონში ძალთა ბალანსისთვის შექმნილი ევრაზიული სტრატეგიების შეფასება და საქართველოს მონაწილეობის ეფექტური მოდელის შერჩევა.

აბრეშუმის გზის ქვეყნებთან საქართველოს საერთაშორისო ურთიერთობების კულტურული დიპლომატიის მოდელისთვის შერჩეულია არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის დაცვის, გავრცელებისა და სარგებლიანობის იდეა, რომლის შესახებ ევროპულ კონვენციებს საქართველო 1996-2007 წლებში შეუერთდა და რომლის მიზანი „არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის პატივისცემა, მათი მნიშვნელობის შესახებ „ცნობიერების ამაღლება" და დაცვის უზრუნველსაყოფად საერთაშორისო თანამშრომლობა წარმოადგენს. ამასთან, ამ კონვენციებში აქცენტი კეთდება "კულტურული გამოხატულებების" მრავალფეროვნებაზე, კულტურული საქმიანობის, კულტურის ობიექტის და მომსახურების ეკონომიკურ - კულტურულ ხასიათზე. ამ

კონვენციების ერთ-ერთი მიზანი ძირძველ მოსახლეობასთან გრძელვადიანი დიალოგის შენარჩუნებაა.

საერთაშორისო ურთიერთობებში იშვიათი ტექნოლოგიების სარგებლიანობის თეორიული საფუძვლები კარგად ჩანს ნაშრომებში:

გ. სლოანი (Sloan, 1999) ჯ. მაკინდერისა და ნ. სპაიკმანის თეორიებისადმი მიძღვნილ სპეციალურ კვლევაში ისტორიული ნარატივის ხშირად შეუმჩნეველ საკითხებს აანალიზებს. მაკინდერი „ჰართლენდის" (Heartland) „მსოფლიო კუნძულის" კონცეფციაში განასხვავებს გეოპოლიტიკას და გეოსტრატეგიას. ჯ. მაკინდერის (Mackinder,1943, pp.134-135) მიხედვით„გეოპოლიტიკა" „არის ადამიანური ფაქტორი გეოგრაფიაში", ეს არის ობიექტური მდგომარეობა, რომელიც აღწერს რესურსების, ცენტრების განაწილებას და საკომუნიკაციო (ვაჭრობის) ხაზებს. გ. სლოანის შეფასებით (Sloan, 1999, p.32), სწორედ მაკინდერმა განსაზღვრა ევრაზია, როგორც მსოფლიოს ცენტრი, სადაც თავმოყრილია: ბუნებრივი აირის მსოფლიო რეზერვების 31%, ნავთობის 17%, რკინის მადნის 23%, ოქროს 14%, სპილენძის 7%.

რეალიზმის სკოლის წარმომადგენლის, ნიკოლას სპაიკმანის შეხედულებები დამუშავებულია ც. გრეის ნაშრომებში (Gray, 2015). გრეის შეფასებით, სპაიკმანი ერთმანეთისგან განასხვავებს გეოპოლიტიკური, სტრატეგიული და გეოსტრატეგიული ცნებების შინაარსს: გეოპოლიტიკური - გულისხმობს გეოგრაფიულ და პოლიტიკურ ფაქტორებს, რომლებიც განსაზღვრავენ სახელმწიფოს ან რეგიონის მდგომარეობას და ხაზს უსვამს გეოგრაფიის გავლენას პოლიტიკაზე; სტრატეგიული - გულისხმობს ყოვლისმომცველ და დაგეგმილი ღონისძიებების გამოყენებას; გეოსტრატეგიული - სტრატეგიულისა და გეოგრაფიულის შერწყმის კონტექსტს. როგორც ც.გრეი (Gray, 2015, p.45) მაზობს: სპაიკმანმა ზუსტად დაინახა, რომ იაპონია შეერთებულ შტატებთან საომარი მოქმედებების მიუხედავად, მის ბუნებრივ, გეოპოლიტიკურ პარტნიორს წარმოადგენდა. მანვე დაასაბუთა ჩინეთის, როგორც მთავარი ძალის, აღორძინება საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ.

გეოპოლიტიკა და გეოსტრატეგია რეალისტური ონტოლოგიური ჩარჩოა, რომლის შესახებ კვლევების მიხედვით, გეოპოლიტიკა დამოკიდებულია ბუნებრივი გარემოს გავლენაზე, რომელიც შეიძლება შეიცვალოს ტექნოგლოგიზაციის გავლენის საფუძველზე (Schmidt, 1999, p.76). ამიტომ, ბუნებრივი სამყაროს პერსპექტივა, ობიექტური გეოგრაფიული თავისებურებები, გავლენას ახდენენ ადამიანის ქცევებზე. გეოგრაფიული რეალობა, ტექნოლოგიური ცვლილებები ზემოქმედებენ საერთაშორისო ურთიერთობებსა და გეოპოლიტიკაზე.

ი. ბრემერის (Bremmer, 2015, p.187) შეფასებით: დიდი სახელმწიფოების ძალების რეალპოლიტიკა ე.წ.„ტრაგიკული“ ბუნების მატარებელია, სადაც არ არის კონფლიქტის პოტენციალი, იქ გეოსტრატეგია „თითქმის უსარგებლოა“. ამასთან, მომავალში, ომი და დიდი ძალების გეოპოლიტიკა სასაცილოდ და მოძველებულად ჩაითვლება.

რამდენად მოძველებულია ომის პრაქტიკა, ამაზე მეტყველებს უკანასკნელ პერიოდში უკრაინაში განვითარებული მოვლენები. საერთაშორისო კონფლიქტის პოტენციალი, რომელიმე სახელმწიფოს ჰეგემონობის სურვილია. ხოლო ერთი სახელმწიფოს ძალაუფლების უპირატესობით სხვა სახელმწიფოების შეშფოთება გულისხმობს, რომ კონფლიქტი დამახასიათებელია საერთაშორისო სისტემისთვის.

აქედან გამომდინარე, საქართველოს არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის სამი ალიანსის კონტექსტში განხილვა, ეყრდნობა გეოპოლიტიკურ თეორიულ ჩარჩოს. ეს არ ნიშნავს იმას, რომ ჩვენ უარს ვამბობთ ლიბერალიზმისა და კონსტრუქტივიზმის თეორიებზე, რომელთაც, შესაძლოა, უკეთესად ახსნან ახლის განხორციელების მოტივები. მაგალითად: კონსტრუქტივისტული პერსპექტივა შეიძლება ამტკიცებდეს, რომ „ახალი აბრეშუმის გზა“ ჩინეთისთვის არის საშუალება, გააფართოვოს თავისი კულტურული თუ ეკონომიკური სფეროების გავლენა, ხოლო მ. მიშელის (Mitchell, 2016, p.65) მიხედვით, ლიბერალურმა მიმართულებამ, შეიძლება შეისწავლოს ჩინეთის რეჟიმის ტიპის გავლენა საერთაშორისო პოლიტიკაზე.

გეოპოლიტიკის თეორიული ჩარჩოს მიხედვით, შესაძლებელია სამი ალიანსის ძალაუფლებათა გადანაწილების პროცესში, პატარა სახელმწიფოს კულტურული მემკვიდრეობის ინსტრუმენტის გამოყენება. ეს პროცესი კი კულტურულ დიპლომატიას უკავშირდება.

გეოპოლიტიკური ინტერესებიდან გამომდინარე, საქართველოს კულტურული დიპლომატიის ერთ-ერთი ამოცანა, იშვიათი ტექნოლოგიების სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სფეროში თანამშრომლობის გზების ძიება უნდა იყოს. ამიტომ, ობიექტის არსიდან დაწყებული, მისი სარგებლიანობით დამთავრებული, ყველა მოვლენა დაზუსტებასა და შესწავლას ითხოვს. არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის იშვიათი ტქნოლოგიების ცნებაში იგულისხმება არამატერიალური ეროვნული სიმდიდრე, ანუ ცოდნა რაიმეს დამზადების, შექმნის შესახებ, რომლიც იძლევა მატერიალურ სარგებელს, ამასთან, თვითონვე წარმოადგენს კულტურულ მემკვიდრეობას და იგი სახელმწიფოს არამატერიალური საკუთრებაა. შინაარსიდან გამომდინარე, სხვა არამატერიალური მემკვიდრეობისგან განსხვავებით, (ზეპირი გადმოცემები, მუსიკა, ცეკვა, ფესტივალიდასხვა) იშვიათი ტექნოლოგიები დაცვის სპეციალურ რეჟიმს საჭიროებენ.

საქართველოს დღევანდელი რეალობა ევრაზიის სამი გეოპოლიტიკური მოთამაშის ეკონომიკურ-პოლიტიკური პროექტების პერსპექტივაა. ესაა: ჩინეთი-ევროპა (ახალი აბრეშუმის გზა); რუსეთი (ევრაზიული კავშირი), აშშ-იაპონიის ალიანსი (თავისუფალი და ღია ინდო-წყნარი ოკეანე), ამას ემატება სხვა, უფრო პატარა, გეოპოლიტიკური ინტერესებიც ამ ინტერესებში, კულტურული მემკვიდრეობით ლავირება, პოლიტიკური საფრთხეების აცილების და ეკონომიკური მდგრადობის ერთ-ერთი გარანტიაა.

### 3.1.2 ევრაზიული გეოპოლიტიკური სტერატეგიები (ჩინეთის „ახალი აბრეშუმის გზია", აშშ-იაპონიის ალიანსი, რუსეთის ევრაზიული კავშირი)

ჩინეთის „ახალი აბრეშუმის გზის" სტრატეგია

„აბრეშუმის გზის" გლობალური პროექტი, ჩინეთის ახალი პოლიტიკის გეოსტრატეგიული კონცეფციაა („ერთი სარტყელი, ერთი გზა"), რომელიც ინფრასტრუქტურულ პროექტებს გულისხმობს. ბიუჯეტი ერთ ტრილიონ დოლარზე მეტია, და, მასში 60-ზე მეტი ქვეყანაა ჩართული(გლობალური მთლიანი შიდა პროდუქტის დაახლოებით 40%).

ჩინეთის „ახალი აბრეშუმის გზის" პოლიტიკა ცხადყოფს, რომ ჩინეთი სულ უფრო და უფრო ყალიბდება, როგორც გლობალური ძალა. მისი ინტერესებია „ხმელთაშუა ზღვა", საზღვაო ხაზები, რომლებიც აკავშირებს ინდოეთსა და ჩინეთს წყნარ ოკეანეში.

„ერთი სარტყელი" - გულისხმობს მარშრუტს, ჩქაროსნული სარკინიგზო გზებისა და მილსადენების ქსელის ჩათვლით, ხოლო „გზა" - საზღვაო ხაზებს და ქსელურ პორტებს ევროპიდან აფრიკის და აფრიკიდან აზიის მიმართულებით. ჩინეთის გეოსტრატეგიული უპირატესობა „ერთი სარტყლის" პრინციპში გულისხმობს, ევრაზიის ეგიდით, ჰეგემონიას როგორც ხმელეთზე, ასევე ზღვების პოლიტიკაშიც. პ. კორნეტის (Cornett, 2016) მიხედვით: „ახალი აბრეშუმის გზის" პროექტი არის გეოსტრატეგიული საშუალება პეკინისთვის, უზრუნველყოს იაპონია-აშშ-ის უპირატესობათა ბალანსირება აზიის ქვეყნებში. ამასთან, ეს პროექტი ალტერნატივაა აშშ-ს და რუსეთის მიერ მსგავსი ინიციატივებისთვის ევრაზიაში. ჩინელი ავტორის - ტ. შის (Shi., 2016) მიერ „აბრეშუმის გზის" სტრატეგია განიხილება, როგორც ეკონომიკური ძალისხმევა, რომელიც აშშ-ს სავაჭრო გზის ვერსიისგან განსხვავებით, კონკრეტული პოლიტიკაა და არ არის ფოკუსირებული ერთ რომელიმე სახელმწიფოზე. ფაქტია, რომ „ახალი აბრეშუმის გზა" წარმოადგენს სტრატეგიულ გამოწვევას

რუსეთისთვის, ვინაიდან მარშრუტი გარს უვლის რუსეთის ტერიტორიას და აერთიანებს რამდენიმე ყოფილ საბჭოთა სახელმწიფოს.

სამეცნიერო ლიტერატურაში რ. ბუჩერის (Boucher, 2019) მიერ გამოთქმულია მოსაზრება, რომ ორივე ევრაზიულ ინფრასტრუქტურულ პროექტს შეიძლება არ მიეცეს ერთდროულად არსებობის შესაძლებლობა. როგორც ც. ბაჯპაე (Bajpaee, 2016, pp.78-79) სხვებთან ერთად ამტკიცებს,, ახალი აბრეშუმის გზა სავარაუდოდ, "შთანთქავს" რუსეთის მცდელობას, განავითაროს მსგავსი ევრაზიული სავაჭრო კავშირები. არსებობს რისკებიც: რკინიგზისა და გზების დაუცველობა ტერორისტული თავდასხმების, სეპარატისტული დივერსიების, გარემოსდაცვითი კატასტროფებისა და სხვადასხვა სახის სამხედრო მოქმედებებისაგან. ჩინეთი ამ რისკების დაძლევის შესაძლებლობას საკუთარი სამხედრო ძალების მეშვეობით, აბრეშუმის გზის მარშრუტების დაცვის უზრუნველყოფაში ხედავს. ამ მიზნით, იგი აძლიერებს სამხედრო დახმარებას ცენტრალური აზიის ქვეყნებთან და აფართოებს სპეცოპერაციებს ნარკოტიკების, ტერორიზმის უსაფრთხოების კუთხით. ამ მოვლენების ფონზე ც. კოკერი (Coker, 2019, pp.87-89) და სხვები აღნიშნავენ, რომ ჩინეთი შეიძლება აღმოჩნდეს პოლიტიკურად, ეკონომიკურად ან სამხედრო თვალსაზრისით ჰეგემონი ცენტრალურ აზიაში, რომელიც საჭიროებს დაბალანსებას. დაბალანსება იმიტომაა საჭირო, რომ აბრეშუმის გზის გასწვრივ, ჩინეთის ეკონომიკური და სამხედრო ძალაუფლების კონსოლიდაციის პარალელურად. ტრადიციული რეგიონები შესაძლოა ბლოკადაში აღმოჩნდნენ.

<u>აშშ- იაპონიის ალიანსი</u>

აღნიშნული რისკების პარალელურად, აშშ-იაპონიის ალიანსი ცდილობს მიიღოს გლობალური დაბალანსების გეოსტრატეგია, სამხედრო და დიპლომატიური ურთიერთობების გონივრული გამოყენების გზით.

ს. ესენბელი (Esenbel, 2019) გლობალურ- პოლიტიკური და ეკონომიკური მოვლენების ფონზე, იაპონური წყაროების მიხედვით, აფასებს აშშ-იაპონიის ალიანსის მიმართულებთ გადადგმულ ნაბიჯებს. ესენია: 1997 წლის სახელმძღვანელო პრინციპების გადახედვა უსაფრთხოებისა და თავდაცვითი თანამშრომლობის გაფართოებისთვის აზია-წყნარი ოკეანის რეგიონში და მის ფარგლებს გარეთ. აგრეთვე, ახალი ზომების გატარება ისეთ სფეროებში, როგორიცა: სარაკეტო თავდაცვა; კიბერსივრცე; ერთობლივი დაზვერვა; ინფორმაციის დაცვა; თავდაცვის აღჭურვილობისა და ტექნოლოგიების/აღჭურვილობის შეძენაში თანამშრომლობა

რუსეთის ევრაზიული კავშირი

რუსეთისა და ევროპის ევრაზიულ ძალთა ბალანსის იდეა, პირველად, 1994 წ. გაჟღერდა რუსეთის მიერ, რომლის მიხედვით ალიანსში გაწევრიანდნენ რუსეთი, ბელორუსია, ყაზახეთი, ყირგიზეთი, ტაჯიკეთი. 2001 წ. ხელი მოეწერა ევრაზიული ეკონომიკური თანამეგობრობის დოკუმენტს. ამ ინტეგრაციის პირველი შედეგი 2010 წ. ერთიანი საბაჟო კავშირის შექმნა იყო. 2015 წელს კავშირს შეუერთდა სომხეთი და ყირგიზეთი. კავშირის ერთ-ერთი მიზანია ჩინეთთან „აბრეშუმის გზის" პროექტში მონაწილეობის კორდინაცია.

ამ სამი ალიანსიდან, გეოპოლიტიკურად, რუსეთს და ჩინეთს აქვთ სასიცოცხლო განვითარების ინტერესები - ამერიკის გავლენის განდევნა კონტინენტიდან. ბოლო დროინდელი მოვლენების გამო (უკრაინა და სირია), რუსეთს უჭირს კონკურენცია გაუწიოს ჩინეთის ჰეგემონიას რეგიონში, აღარ შეუძლია ეფექტურად ეწინააღმდეგებოდეს ჩინეთის ეკონომიკურ კავშირებს ცენტრალურ აზიაში. მაგრამ არის კიდევ ერთი ინტერესი: რუსეთი და ჩინეთი ერთიანდება აშშ-იაპონიის ალიანსის წინააღმდეგ. აზიასთან გეოგრაფიული სიახლოვის და ჩინეთის ძალაუფლების დასავლური გაფართოების გამო, ცენტრალურ აზიაში. აშშ-იაპონიის ალიანსის გავლენის დაკარგვის რისკი დიდია. როგორც ექსპერტები ფიქრობენ (Esenbel, 2019,p.p499-500) ასეთ პირობებში დამოუკიდებლად კონკურენციის მიღწევა არარეალურია. ამიტომ, ვარაუდი იმისა, რომ ალიანსი რუსეთთან და ჩინეთთან დაბალანსებისა და ზომიერი შერიგების მცდელობას დაიწყებს, დიდია. რეალურია, ალიანსის მხრიდან დიპლომატიური მიდგომებით, კონკურენციული კოალიციების შექმნის იდეაც. თუ რუსეთ-ჩინეთის ერთობლივი ვექტორი ვერ იმუშავებს, ალიანსმა იგნორირება არ უნდა გაუკეთოს ევროპის ურთიერთობებს ჩინეთთან, როგორც ჩინეთისადმი ევროპის „უჩუმარ" მხარდაჭერას.

### 3.1.3. დაბალანსების სცენარები და ინსტრუმენტები

ევროპის გეოპოლიტიკური პროექტები ეკონომიკურ საკითხებზეა ორიენტირებული. ამასთან, ევროპელი სტრატეგიები, ხშირად, უპირველეს საფრთხედ რუსეთს მიიჩნევენ, ამან ევროპა მიიყვანა ჩინეთთან, როგორც რუსეთის გავლენის დამბალასებელთან. რუსულ ენერგიაზე დამოკიდებულების გამო, ევროპას აქვს საშუალება მონაწილეობა მიიღოს მაღალსიჩქარიანი სარკინიგზო სავაჭრო მარშრუტსა და (ჩინეთის ახალი აბრეშუმის გზა) და „ვირტუალური აბრეშუმის გზის" პროექტებში, რომელიც გააუმჯობესებს ციფრულ კავშირს შუა აზიაში. რუსეთთან ერთი სარტყლის კონცეფციის დაპირისპირების არარსებობის პირობებში, ჩინეთის ეკონომიკური კავშირები ევროპასთან კიდევ უფრო შეასუსტებს რუსეთის, როგორც საპირწონის პოზიციას,

რომელიც მას პოლიტიკურად იზოლირებულს და ნატოსადმი დაუცველს ტოვებს. ეს დინამიკა აისახება ჩინურ და რუსულ სტრატეგიულ ნარატივებში. რუსული ნარატივია - ეროვნული იდენტობა ევროპასთან ოპოზიციაში; ჩინური ნარატივია - „ცივილიზაციის პარტნიორობა“ ევროკავშირთან.

ასე, რომ, ახალი აბრეშუმის გზა ასუსტებს ჩინეთის სტრატეგიულ მეტოქეს (რუსეთი), ხოლო ევროპასთან დაახლოების გზით ძლიერდება ეკონომიკური ურთიერთდამოკიდებულება. ამ სცენარის პირობებში, აშშ-იაპონიის ალიანსის ჩინეთთან დაბალანსების პოლიტიკა რთულია. ევროპა და რუსეთი, ორი სავარაუდო დამბალანსებელი, ჩინეთის რეგიონალური ჰეგემონიის წინააღმდეგ მზარდი ურთიერთთანამშრომლობის პოლიტიკას ატარებენ.

ამავდროულად, შეერთებულ შტატებს, პოლიტიკის „შერბილების“ გზით, შეუძლია შეამციროს დაძაბულობა ახლო აღმოსავლეთში. „შერბილება“ გულისხმობს: რიტორიკა რუსეთის ავანტიურიზმზე სირიაში, რომელიც, სავარაუდოდ, ნაკლებად სასიცოცხლო ინტერესია, ვიდრე რუსეთის რევანშიზმთან დაპირისპირება აღმოსავლეთ ევროპაში. ფაქტია, რომ ეკონომიკური ინსტრუმენტები არ უნდა იყოს უგულვებელყოფილი, რადგან ისინი ხელს უწყობენ გეოპოლიტიკურ მოთამაშეებს შორის კონკურენციას და იმის უზრუნველსაყოფას, რომ არცერთ ქვეყანას არ შეეძლება მონოპოლიზება, ან კონტროლის დაწესება აღმოსავლეთ-დასავლეთის სატრანსპორტო დერეფნების განვითარებაში.

რუსეთთან ურთიერთობების გაუმჯობესებით ალიანსის საბოლოო მიზანია ხელი შეუწყოს რუსეთის გააქტიურებას და ამით დააბალანსოს ცენტრალურ აზიაში ჩინეთის გავლენა, რამაც შესაძლოა უზრუნველყოს ბარიერების შექმნა ჩინეთის დასავლური ექსპანსიისთვის. როგორც ამერიკელი დიპლომატი, ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის (OECD) გენერალური მდივნის მოადგილე, რიჩარდ ბუჩერი (Boucher, 2019) ამტკიცებს „თუ რომელიმე ქვეყანა არ დომინირებს ცენტრალურ აზიაში“..... მაშინ "ეს არის შეერთებული შტატების გამარჯვება." ამ სცენარის შემდგომი ხელშეწყობის მიზნით, შეერთებული შტატები და იაპონია სავარაუდოდ გამოიყენებენ მათ ხელთ არსებულ სტრატეგიულ საკომუნიკაციო საშუალებებს რუსეთისთვის ჩინეთის ძალაუფლების შიშის გასაღვივებლად. რუსეთს აქვს საფუძველი ეშინოდეს ჩინეთის დასავლეთის მიმართულებით გაფართოების. თავის მხრივ, ჩინეთი აქტიურად ცდილობს შეამსუბუქოს რუსეთის შიშით გამოწვეული საფრთხეების რისკი, შეახსენოს მას ჩინეთის საფრთხეების შესახებ – მოსაზღვრე ქვეყანების სამხედრო ბიუჯეტი, საზღვრებთან არსებული ჯუჯა სახელმწიფოების ალიანსები და სხვა.

რუსეთთან აშშ-იაპონიის ალიანსის მოქმედების კურსი, როგორც პ. კორნეტი (Cornett, 2017) ამბობს: გადაინაცვლებს რუსეთის დასავლური პერიფერებზე, ზეწოლის შემსუბუქების და რუსეთის ბალანსირების როლის აღდგენის მიმართულებით.

მ. საეედეს (Saeed, 2017) კვლევებში მოცემულია სცენარი, რომლის მიხედვით: ალიანსის პარტნიორების საკომუნიკაციო მექანიზმი, ჩინეთში ადამიანის უფლებების დარღვევის რაოდენობისა და საერთაშორისო ნორმების შეუსრულებლობის მოტივით, ევროპის შეშფოთების გამოწვევისკენაა მიმართული. ასეთი სცენარის მიზანი, ჩინეთის წინააღმდეგ, ალიანსის რუსეთთან გაერთიანება არ არის, არამედ დაბალანსებული ურთიერთობების აღდგენაა.

აშშ-იაპონიის ალიანსს, აბრეშუმის გზის სტრატეგიის ბალანსირების პროცესში, აქვს შესაძლებლობა შეცვალოს თავისი გეოსტრატეგია და უფრო აქტიური გახადოს ის.

პირველ რიგში, ალიანსის პარტნიორებმა ყველაფერი უნდა გააკეთონ, რომ ევრაზიის სამ დიდი მოთამაშეს (ჩინეთი, რუსეთი და ევროკავშირი) შორის გაყოფილი ინტერესების მდგრადობა უზრუნველყონ;

მეორე, ცენტრალური აზია, როგორც ახალი აბრეშუმის გზის გასწვრივ ჩინეთის ვაჭრობის მთავარი რეგიონი, ღია უნდა დარჩეს ურთიერთობებისთვის. ამისათვის, ალიანსმა უნდა იმუშაოს ინდოეთთან (რომელსაც აქვს მსგავსი ინტერესები); რეგიონის ღიაობით ჩინური ეკონომიკური ინტერესები არ ხდება მონოპოლიური. საბოლოოდ, ალიანსი უნდა ეცადოს გააფართოოს და გააძლიეროს თავისი საზღვაო დომინირება ინდოეთის ოკეანეში, სადაც ჩინეთი სულ უფრო მეტად ცდილობს საზღვაო ძალების გამოყენებას აბრეშუმის გზის საზღვაო ზოლების გასწვრივ.

ასე, რომ თუ ჩინეთის ევრაზიული ჰეგემონიის დაბალანსება გახდება აშშ-იაპონიის ალიანსის გეოსტრატეგიული დღის წესრიგის ნაწილი, მაშინ რეგიონში გამოირიცხება ჰეგემონია. როგორც ნ. სპაიკმანი (Spykman, 2018) ამბობს: თუ ძალაუფლება დაუბალანსებელია, ეს ხელს უწყობს ნებისმიერ ამბიციურ სახელმწიფოს მეზობლების შთანთქმაში. ამის გათვალისწინებით, შეერთებულმა შტატებმა და იაპონიამ უნდა გამოიყენონ შესაძლებლობა, დაუპირისპირდნენ დისბალანსს, რომელიც შეიქმნება ახალი აბრეშუმის გზის პირობებში, მათ შორის საზღვაო უპირატესობების კონტექსტშიც.

რუსეთ-ჩინეთი ან ჩინეთი-ევროკავშირის პარტნიორობა უსაფრთხოების სფეროში, ხელს უწყობს ეკონომიკურ თანამშრომლობას. ახალი აბრეშუმის გზის ინიციატივით, აქმნება რეალური საფრთხე ევრაზიის ძალთა ბალანსში. აშშ-იაპონიის ალიანსი ბარიერია ჩინეთის ძალაუფლების პროექციისთვის აღმოსავლეთში, ჩინეთს სურს გააძლიეროს თავისი ეკონომიკური პოზიციები მანამ,

ვიდრე ალიანსს ჩინეთის მიმდებარედ, ზღვების კონტროლის პრობლემას არ შეუქმნის. ჩინეთი ეკონომიკურ განვითარებას აგრძელებს და მიიწევს ევროპის ბაზრებისკენ, ხოლო საკუთარი დაბალგანვითარებული რეგიონების ყურადღებას ცენტრალური აზიისა და ახლო აღმოსავლეთისაკენ მიმართავს.

ასეთ გეოპოლიტიკურ რეალობაში რა პერსპექტივა აქვთ აბრეშუმის გზის სარტყელში მდებარე პატარა სახელმიწოფოებს, კერძოდ საქართველოს?

საქართველომ ეკონომიკური პროექტების პარალელურად, სამივე ალიანსის მიმართულებით, კულტურული დიპლომატიის შესაძლებლობების გამოყენებით, ინიცირება უნდა გაუკეთოს არამატერიალური მემკვიდრეობის დაცვის ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებს. ხელშეკრულებათა მოდელის საფუძველი უნდა იყოს UNESCO-ს კონვენციები კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სფეროში ადამიანის უფლებათა პრინციპების გათვალისწინებით. კერძოდ, ხელშეკრულებების დონეზე განისაზღვროს მხარეთა ვალდებულებები, რომ ევრაზიული პროექტების განხორციელების ფარგლებში იზრუნებენ კულტურული მრავალფეროვნების შენარჩუნებისა და მემკვიდრეობის გლობალიზაციისაგან დაცვის სფეროში; არ დაუშვებენ კულტურული პრაქტიკის „გაყინვას" ან სხვა გაუგებრობას, რამაც შესაძლოა ქვეყნის ინტერესების, მსოფლმხედველობის და ღირებულებების შეურაცხყოფა გამოიწვიოს; იზრუნებენ კულტურული მემკვიდრეობის დაცვის, სოცალ-ეკონომიკური სარგებლიანობის მექანიზმების შემუშავებისთვის; ადამიანის უფლებათა საერთასორისო კონვენციების გათვალისწინებით მხარდაჭერილი იქნება კულტურული მემკვიდრეობის ორმაგი დანიშნულება (განვითარება და შენარჩუნება).

ამ გეოპოლიტიკურ სიტუაციაში საქართველოს იშვიათი ტექნოლოგიების კულტურული მემკვიდრეობის რესური, აბრეშუმის გასწვრივ მდებარე სახელმწიფოებთან ორმხრივი და მრავალმხრივი შეთანხმების საგანი შეიძლება გახდეს. განვიხილოთ იშვიათი ტექნოლოგიების ორი მაგალითი: ღვინის დაყენების ტრადიციული მეთოდი და აბრეშუმის წარმოების ქართული ტექნოლოგია.

### 3.2. ღვინის დაყენების ტრადიციული მეთოდის, როგორც კულტურული მემკვიდრეობის თავისებუებები საქართველო-აპონიის მაგალითზე

#### 3.2.1. ღვინის დაყენების ტრადიციული მეთოდის დაცვის სტრატეგიის გაფართოების დასაბუთება

2013 წელს ღვინის დაყენების უძველესი ტრადიციას (unesco.ge,) UNESCO-მ არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსი მიანიჭა. ნომინაცია გულისხმობს ქვევრის ღვინის დაყენების ქართულ ტრადიციულ მეთოდს, არის უნიკალური, რვა ათას წლიანი ისტორიით და დღემდე ინარჩუნებს თავის მნიშვნელობას. ამ გარემოებამ კვლევის ახალ მიმართულებებს ჩაუყარა საფუძველი. ეთნოგრაფიული, ტექნოლოგიური, ისტორიული კვლევების პარალელურად, სამეცნიერო კვლევები იწარმოება ობიექტის სოციალურ-ეკონომიკური მნიშვნელობის, პოპულარიზაციის ხერხების და სარგებლიანობის დასაბუთების შესახებ.

თამარ ქობლიანიძისა, ნინო საჩანელის, ნინო იმნაიშვილის, მარინა თაქთაქიშვილის და სხვათა ნაშრომებში. ღვინის არამატერიალური მემკვიდრეობის გამოყენებითი მნიშვნელობა, დასაბუთებულია ღვინის გასტრონომიული ტურიზმის კონტექსტში, რომელსაც შეუძლია ხელი შეუწყოს მდგრადი ტურიზმის განვითარებას.

მეღვინეობის ტურუზმზეა გამახვილებული ყურადღება რუსუდან ქუთათელაძის, თამარ ქობლიანიძის ლელა კოჭლამაზაშვილის ნაშრომებში, სადაც დასაბუთებულია, რომ მეღვინეობა და ღვინის ტურიზმი ძირითადად მზარდი მცირე ბიზნესია საქართველოში. ამასთან, ღვინის ტურიზმს გააჩნია დიდი სოციალურ-ეკონომიკური მნიშვნელობა ქვეყნისთვის .

ქართული ღვინის ტექნოლოგიის მნიშვნელობაზე საუბრობენ უცხოელი მეცნიერებიც. მაგ.: ქ. რიკლეტონი (Rickleton, 2018), ე. ბონგი (Borg., 2021) და სხვები თვლიან, რომ კონტენტ მარკეტინგისთვის შერჩეული ისტორიები ხელს უწყობს ქართული იდეის შეფუთვას, რადგან ღვინო, საქართველოს ისტორიაში, მტკიცედ დამკვიდრებული მომავლის სიმბოლოა.

კვლევები ხორციელდება ეთნობოტანიკის მიმართულებითაც. ეს მიმართულება იკვლევს აბრეშუმის გზის მცენარეთა საგანძურს, რომლიდანაც იღებდნენ მედიკამენტებს, მარცვლეულებს, სასმელებს, საღებავებს და სხვა ეგზოტიკურ ნაერთებს, და რომლებიც ადრე უცნობი იყო დანარჩენი სამყაროსთვის.

მიგვაჩნია, რომ დარგობრივი კვლევების მიუხედავად, იშვიათი ტექნოლოგიების დაცვის სფეროს შესწავლა, კომპლექსური მიდგომით უნდა განვითარდეს. ჩვენს მიერ შერჩეული ობიექტის შემთხვევაში, ღვინის დაყენების ტექნოლოგიას უნდა დაემატოს ვაზის განაშენიანების ადგილი, რომელსაც გარემოსდაცვითი, სოციალური, კულტურული და ეკონომიკური მნიშვნელობა აქვს. ნიადაგი წარმოადგენს აგრარულ ლანდშაფტებს, რომელმაც მასზე განაშენიანებული ვენახების სოციალურ და ეკონომიკური პროცესების შედეგად, დინამიური და მრავალფუნქციური ხასიათი შეიძინა. ვენახებსა და ტერიტორიებს შორის კავშირები განაპირობებს იდენტობაზე დაფუძნებულ

კონფიგურაციას, ადგილობრივ თემებში, თავისი რიტუალებითა და სიმბოლოებით, წარმოშობს თვითმყოფადობის გრძნობებს. ეს არის ტერიტორიული განვითარების ფაქტორი, ამიტომ, პროდუქტიულობისა და პოსტპროდუქტიულობის თვალსაზრისით, მოითხოვს სასოფლო-სამეურნეო საქმიანობის ეკონომიკურ დივერსიფიკაციას

ამ მიმართულებით ლიტერატურის ანალიზის საფუძველზე, შეიძლება ჩამოყალიბდეს არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის დაცვისა და გამოყენების კონცეპტუალური მიდგომა: კულტურული მემკვიდრეობა არის ადგილობრივი და რეგიონული ღირებულების მართვისა და განვითარების ძირითადი ელემენტი. ის გადამწყვეტია ტურიზმის განვითარებაში, ითხოვს ეკონომიკური და სოციალური განვითარების ადგილობრივი სტრატეგიების შექმნას, რაც ზრდის ურთიერთობას მოსახლეობასა და ვიზიტორებს შორის, ვითარდება ადგილობრივ მაცხოვრებლებში საკუთრების და თვითკმაყოფილების გრძნობა, მყარდება კავშირი ქალაქსა და სოფელს შორის, წარმოადგენს საზოგადოებებსა და ბუნებას შორის ისტორიულ ურთიერთობას, გროვდება კულტურული ფენები - იდენტობის ელემენტები, რომლებიც, უფრო დიდ კონტექსტში, კულტურულ მრავალფეროვნებას ქმნიან.

იშვიათი ტექნოლოგიების თავისებურებების გათვალისწინებით, ამ კონცეფციას ემატება კიდევ ერთი ელემენტი: ტრადიციულ ტექნოლოგიურ პროცესთან ერთად სოფლის ლანდშაფტის კონსერვაცია/შენარჩუნება, როგორც მეკვიდრეობის დაცვის, მისი ღირებულებებისა და გარემოსდაცვითი სტრატეგიების შერწყმის შესაძლებლობა.

იშვიათი ტექნოლოგიების დაცვის კონცეფციას თავისი თეორიული საფუძვლები გააჩნია. ობიექტის პოპულარიზაციის მიმართულებით, ვფიქრობთ, გამოდგება „აღიარების პოლიტიკის“ თეორია (Van den Brink, 2007), რომლის ფუძემდებლად ითვლება გერმანელი ფილოსოფოსი აქსელ ჰონეტი. ჰონეტი ამბობს: ამჟამად, ერთეულების საქმიანობა მიმართულიაა პრესტიჟის მისაღებად (Honneth,1996). რაც შეეხება პროცესის მართვას, ნიშანდობლივია, მიშელ ფუკოს თეორია (Foucault, 1999), რომლის მიხედვით ხელისუფლება „ყველგან იმყოფება“ და არა იმიტომ, რომ ის „ყველაფრის მფლობელია“, არმედ იმიტომ, რომ წარმოქმნას ყველაფერი. ფუკოს ეს თეორია, იშვიათი ტექნოლოგიების დაცვის პროცესთან მიმართებაში, იმ თვალსაზრისითაა გამოსადეგი, რომ დაცვის ღონისძიებების შემუშავების პროცესში ხელისუფლებას სჭირდება ინტერპრეტაცია, ანუ კონცეპტუალური მიდგომა. ეს მიდგომა გულისხმობს არა მარტო ტექნოლოგიის პატენტირებას, არამედ სოციალურ ურთიერთობებს, ადგილებს, სივრცისა და დროის გაგებას. სწორედ ასეთი მიდგომა უზრუნველყოფს ობიექტის პრესტიჟს, გლობალურ დონეზე მის ღირსეულ დაცვას და

პოპულარიზაციას. ვფიქრობთ, ეს არის იშვიათი ტექნოლოგიების დაცვის ის პოლიტიკა, რომელიც თან უნდა ახლდეს UNESCO-ს არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის დაცვის იდეის რეალიზებას.

რაც შეეხება ქვევრის ღვინის, ქართული აბრეშუმის წარმოების და სხვა ტრადიციული ტექნოლოგიებით წარმოებული პროდუქციის ფალსიფიცირების რისკების მართვას, აქ შეიძლება გამოდგეს სხვადასხვა ღონიძიოებათა კომპლექსი: ინტელექტუალური საკუთრების (IP) პერსპექტივა, განსაკუთრებით სასაქონლო ნიშნის დაცვა, აკმ-ს სავაჭრო ნიშნის ლიცენზიის მექანიზმები, ბრენდინგი და კო-ბრენდინგის ინიციატივები, იმ თავისებურებების გათვალისწინებით, რომელიც ახლავს აკმ-ს, როგორც პროდუქციას.

ზოგადად აკმ-სთან დაკავშირებით გაყალბება ნიშნავს მოტყუებას, ან მანიპულირებას. გაყალბება ხდება არა მარტო იმისა - თუ რა არის ესა თუ ის საგანძური, აგრეთვე იმისა, რა ეფექტი შეიძლება ჰქონდეს ამ საგანძურს. რაც შეეხება რისკის დაძლევის გზას და ავთენტურობის დადგენის მექანიზმების შემუშავებას, უნდა ითქვას, რომ აქამდე ცნობილ წესებთან ერთად, დიგიტალიზაციაში არის ამ რისკების შემცირების დიდი შანსი. ვგულისხმობთ დიდ მონაცემთა ბაზებს, ბლოკჩეინ ტექნოლოგიას და კულტურის სფეროში სამთავრობო საიტების დაწინაურების ტექნოლოგიას.

### 3.2.2.. ღვინის იშვიათი ტექნოლოგია აბრეშუმის გზის ტურიზმის ახალ საერთაშორისო პროგრამებში

ქვევრის ღვისნის ტექნოლოგიის დაცვისა არსებული სტრატეგია ითხოვს გაფართოებას. კერძოდ, მის პოპულარიზაცია „აბრეშუმის გზის კულტურული მემკვიდრეობის" კონტექსტში უნდა იქნეს განხილული. ობიექტის ასეთი გააზრების მნიშვნელობა განპირობებულია UNESCO-ს არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის სოციალურ-ეკონომიკური და ახალი პოლიტიკური ტენდენციებით.

1994 წელს გაერომ და მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციამ წამოიწყეს "პროგრამა აბრეშუმის გზის ტურიზმისთვის". ეს არის ცნობილი გლობალური ტურისტული პროგრამა, რომელიც ხელს უწყობს ტურიზმის პოპულარიზაციას ცენტრალურ აზიაში. 2014 წელს ის გაფართოვდა ახალი აბრეშუმის გზის ტურიზმით. როგორც ცენტრალური ფლორიდის უნივერსიტეტის მკვლევარები, ფ. ხიოხაიო და სხვები (Xiaoxiao & others 2020), ჰონგ კონგის მაგალითის შესწავლის საფუძველზე,

ამბობენ: ტურისტული პროგრამის უპირველესი მიზანია ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესება. ამის მიღწევა, აბრეშუმის გზის ქვეყნებთან ერთად, მდგრადი ტურიზმის კონცეფციითაა შესაძლებელი. მდგრადი ტურიზმი არის დანიშნულების კრეატიული ქსელი, რომელიც დაკავშირებულია საერთო კულტურულ მემკვიდრეობასთან.

ახალი აბრეშუმის გზის ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს ტრანსსასაზღვრო ტურიზმსა და სავაჭრო სარგებელს წევრ ქვეყნებსა და რეგიონებს შორის. თუმცა, იქნება თუ არა ახალი აბრეშუმის გზის ტურისტული ინფრასტრუქტურის აპლიკაციები სინქრონიზებული იმასთან, რასაც გაერთიანებული ერების ორგანიზაცია და WTO ცდილობენ, კითხვის ნიშნის ქვეშ დგას.

სამეცნიერო კვლევები ჭარბადაა ტურიზმის განვითარებაში კოოპერატიული ძალისხმევისა ინფრასტრუქტურის მნიშვნელობის შესახებ (Mamirkulova, 2020). მაგრამ, ძალზედ იშვიათია კვლევები ლანდშაფტების და კულტურული მემკვიდრეობის გავრცელების მიმართულებით, რაც ტურისტული ინფრასტრუქტურის განვითარებაში და ტურიზმის მდგრადობის პოლიტიკის განხორციელებაში, უფრო მეტ ყურადღებას მოითხოვს, როგორც მთავრობის წარმომადგენლებისგან, ასევე საერთაშორისო ორგანიზაციებისგან.

ახალი აბრეშუმის გზის ტურისტული ინფრასტრუქტურის განვითარებას ისეთი რისკებიც ახლავს თან, როგორიცაა ნარკოტიკებით ვაჭრობა, მონური შრომა, ტრეფიკინგი და ადამიანებით ვაჭრობა. მიუხედავად ამისა, მთავრობათა ძალისხმევა და სიფხიზლე გადამწყვეტ როლს თამაშობს ამგვარი რისკების თავიდან აცილებაში. ამ შემთხვევაში, ვგულისხმობთ ტურიზმის მდგრადი განვითარების მისაღწევად საჭირო ზუსტი პოლიტიკის კონტროლსა და ერთობლივ გადაწყვეტილებებს. ფ. სტევენსის (Stevens, 2021) ბოლოდროინდელი პუბლიკაციის მიხედვით: ახალი აბრეშუმის გზის მომავალი ტურისტული ინფრასტრუქტურის ფრთხილად ადმინისტრირებაზე, სამეცნიერო მეთოდებით მართვის აუცილებელობასა და ამ შესაძლებლობების გამოყენებაზე გადის.

აბრეშუმის გზის პროექტში საქართველოს რეგიონული და საერთაშორისო თანამშრომლობის პოტენციალი იმით საბუთდება, რომ იგი მსხვილი სატრანზიტო სტატუსის მატარებელი სახელმწიფოა. საქართველოს ტერიტორიაზე გადის ბაქო--თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენი, ბაქო-სუფსის ნავთობსადენი, ბაქო-თბილისი-ერზერუმის გაზსადენი. სწორედ მილსადენი ტრანსპორტის მშენებლობასთანაა დაკავშირებული საქართველოს სატრანზიტო პოტენციალი, რომლის წინადადებები XX საუკუნის 90-იანიწლების შუაპერიოდიდან მომდინარეობს. საქართველო-ჩინეთს შორის ურთიერთობის პერსპექტივა კი, იმით საბუთდება, რომ ჩინეთმა - ერთი სარტყელი, ერთი

გზის[8], მშენებლობის პროცესში საქართველოსთან თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმებას მოაწერა ხელი. გარდა ამისა, ჩინეთსა და საქართველოს შორის გაფორმებულია მემორანდუმი - აბრეშუმის გზის ეკონომიკური სარტყელის განვითარებისთვის თანამშრომლობის შესახებ[9], რომლის საფუძველზე პირდაპირი სატვირთო სარკინიგზო გადზიდვები ამოქმედა, აგრეთვე, პირდაპირი რეისები დაინიშნა პეკინსა და თბილისს შორის,[10] ერთობლივი ორგანიზებით ჩატარდა თბილისის აბრეშუმის გზის ფორუმი. მნიშვნელოვანია ისიც, რომ საქართველო აზიის ინფრასტრუქტურის საინვესტიციო ბანკის დამფუძნებელი წევრი ქვეყანაა. მრავალი ჩინური კომპანია ფუნქციონირებს საქართველოში ისეთი მიმართულებებით, როგორიცაა: ინფრასტრუქტურა, ენერგეტიკა, ფინანსები, სოფლის მეურნეობა, ინდუსტრიული ზონები, ლოჯისტიკა და სხვა. ისიც ფაქტია, რომ ჩინეთს თავისუფალი ვაჭრობის შესახებ შეთანხმება, მსოფლიოს 24-ზე მეტ სახელმწიფოსთან აქვს გაფორმებული. სწორედ ამ ჩამონათვალში შედის საქართველო.

საქართველოს თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმებები გაფორმებული აქვს აგრეთვე ევროკავშირთან, თურქეთთან, დსთ-ს ქვეყნებთან, ევროპის თავისუფალი ვაჭრობის ასოციაციასთან. ეს უმნიშვნელოვანესი ფაქტორია აბრეშუმის გზის გასწვრივ განლაგებული სახელმწიფოებთან სავაჭრო და ტრანზიტული ურთიერთობებისთვის.

კულტურული მემკვიდრეობის სფეროში თანამშრომლობის თვალსაზრისით, დიდი აბრეშუმის გზის პროექტში, საქართველოს მონაწილეობის მნიშვნელობა საბუთდება სხვა იშვიათი ტექნოლოგიების ისტორიულად არსებობით. მაგალითისთვის შეიძლება დავასახელოთ: ქართული აბრეშუმის წარმოების ტექნოლოგია. ეს ტექნოლოგია აღორძინების ეტაპზეა და აბრეშუმის გზის საერთო მემკვიდრეობისა და მრავლობითი იდენტობის მაჩვენებელია.

რაც შეეხება ქვევრის ღვინის ტექნოლოგიით დამზადებული პროდუქტით ვაჭრობას ჩინეთსა და ახალი აბრეშუმის გზის გასწვრივ განლაგებულ ქვეყნებში, იგი საქართველოში ღვინის ისტორიაზე დაფუძნებულ მარკეტინგულ სტრატეგიაზე აიგება. კერძოდ: მევენახეობა-მეღვინეობის დარგის განვითარებისათის ხელსაყრელი ბუნებრივი პოტენციალი, ყურძნის ენდემური ჯიშების

---

[8] იხ.: ვლადიმერ პაპავა - ერთი სარტყელი, ერთი გზის ინიციატივა - საქართველო, ექსპერტთა აზრი, 2017, https://gfsis.org.ge/files/library/opinion-papers/93-expert-opinion-geo.pdf (უკანასკნელად გადამოწმებულია 15.09. 2022 წ._; ბიზნეს მედია - აბრეშუმის გზის საინფორმაციო ცენტრის გახსნა https://bm.ge/ka/article/tbilisshi-quotabreshumis-gzis-sainformacio-centriquot-gaixsneba/8045

[9] ჩინეთის საელჩო საქართველოში - http://ge.china embassy.gov.cn/eng/xwdt/201701/t20170126_1056505.htm

[10] Europetaim - მევლუთ ჩავუშოღლუს ისნტერვიუ - https://europetime.eu/ka/article/36349-%E1%83%A9ven-vaxorcielebt-tanamedrove-abreshumis-ggis-rekonstruqcias---mevlut-%E1%83%A9avusho%E1%83%A6lu

მრავალფეროვნება, ნედლეულის მაღალი ხარისხი, ღვინის წარმოების ისტორია, ტრადიციები და სხვა.

გეოპოლიტიკური თვალსაზრისით, სამხრეთ კავკასიის მარშრუტებს და ეკონომიკური ინიციატივების მოლოდინებს, , მნიშვნელობა აქვს ტრანსკავაკსიაში დიდი აბრეშუმის გზის ჯაჭვში. ამასთან, გასათვალისწინებელია აბრეშუმის გზის ისტორიული და თანამედროვე არეალები. აგრეთვე, საქართველოს იშვიათი ტექნოლოგიის - ქვევრის ღვინის რეგიონალური კონკურენტობა და მიმზიდველობა. ამიტომ, აბრეშუმის გზის ცოდნის კონტექსტში მისი წარმოჩენა ხელს შეუწყობს საქართველოს სოციალურ-კულტურულ განვითარებას.

საქართველოსა და ჩინეთს შორის, საქართველოსა და იაპონიას შორის აგრეთვე, ახალი აბრეშუმის გზის გასწვრივ განლაგებულ ქვეყნებთან, ქვევრის ღვინით ვაჭრობის სარგებლის დასაბუთება, შესაძლებელია თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმების და ეკონომიკური დახმარებისა და კულტურის სფეროში ურთიერთობების შესახებ სხვა შეთანხმებების საფუძველზე.

საქართველოში, 2007 წლიდან, ღია ეკონომიკის პრინციპებზე აგებული ურთიერთობების რეალიზაცია დაიწყო. ჩატარდა საბაჟო და საგადასახადო რეფორმა, გაუქმდა ტექნიკური ბარიერების დიდი ნაწილი, ხოლო საბაჟო გადასახადის საშუალო განაკვეთი 7%-დან 1.4%-მდე შემცირდა.[11] სწორედ, ეს უწყობს ხელს საქართველოს თავისუფალი ვაჭრობის შესახებ ორმხრივი შეთანხმებების მიმზიდველობას ისეთ ქვეყნებთან, როგორიცაა: რუსეთი, აზერბაიჯანი, სომხეთი, უკრაინა, მოლდოვა, ყაზახეთი, უზბეკეთი, თურქმენეთი, თურქეთი და ჩინეთი. ხოლო, მრავალმხრივი საერთაშორისო ვაჭრობის შეთანხმება საქართველოს გაფორმებული აქვს დსთ-ს, სუამის, ევროკავშირის ქვეყნებთან.

UNESCO-ს ფარგლებში არსებული აბრეშუმის გზის მემკვიდრეობის მენეჯმენტში მნიშვნელოვანია ინტერესები. ბ. სკრაბიკის, ზ.სიმინდიკის, ვ.მუსტრას, მ.ვუგდელიჯას (Skrabicc, Simundicc., Mustra, & Vugdelija, 2021) პოზიციას, რომ ისტორიული აბრეშუმის გზის მემკვიდრეობის „გაცოცხლებით“ სოციალური და ეკონომიკური გავლენებით, სარგებელს იღებს ხალხი, რეგიონული და ადგილობრივი ეკონომიკა, საერთაშორისო ურთიერთობები.

აღსანიშნავია ისიც, რომ ბოლო პერიოდში, ქართული ღვინის სტრატეგიული ბაზრებია: აშშ, ჩინეთი, პოლონეთი, იაპონია, გერმანია და ბალტიისპირეთის ქვეყნები. ექსპორტი ასევე მზარდია: კანადაში, ყაზახეთში, ისრაელში, აზერბაიჯანში, თურქეთში. ასეთ ვითარებაში, ქვევრის ღვინის

[11] საქართველო და თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულებები - მიმოხილვა - https://bm.ge/ka/article/saqartvelo-da-tavisufali-vachrobis-xelshekrulebebi---mimoxilva/51105

დაყენების უძველესი ქართული ტრადიციული მეთოდის კომპლექსური დაცვა, საჯარო მართვის მიდგომის საფუძველზეა შესაძლებელი.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, ახალი აბრეშუმის გზის გასწვრივ განლაგებულ ქვეყნებთან ურთიერთობების გაღრმავებისთვის, იშვიათი ტექნოლოგიების, როგორც კულტურული მემკვიდრეობის დაცვისა და გავრცელების უზრუნველყოფის მიზნით, მიზანშეწონილია საქართველოს ხელისუფლებამ შეიმუშაოს ღვინის ისტორიაზე დაფუძნებული მარკეტინგული სტრატეგია - „ღვინის გზა" - მშვიდობიანი თანაარსებობა. სტრატეგია უნდა ეყრდნობოდეს ისეთ ელემენტებს, როგორიცაა: კულტურული ტურიზმი, ინვესტიციების მნიშვნელობა, სიმბოლოების შექმნა, ბრენდირება, ადგილის განცდა/შეგრძნება, იდენტობა, ადგილორივი თემების ჩართულობა, სოციალური ერთიანობა, ეკონომიკის მდგრადობა და რესურსები, და ა.შ.

### 3.2.3. იაპონიის ღვინის კულტურის ერთობლივი ქსელით მართვის პრაქტიკა

მართალია, იაპონია ღვინის წარმოების დიდი კულტურით არ გამოირჩევა, მაგრამ საინტერესოა გასტრონომიული კულტურის დაცვის პრაქტიკა, რომელიც აგებულია აქტორთა ერთობლივი ქსელით მართვის პრინციპზე: მთავრობები, კერძო კომპანიების, ინდივიდუალური მეღვინეები, კვლევითი ინსტიტუტები და მომხმარებლები. როგორც ც. ვანგი(Wang, 2021) აღწერს, ყველა ამ აქტორს შორის, ეროვნული და რეგიონული მთავრობები, მთავარ როლს ასრულებენ იაპონიის ღვინის კულტურის პოპულარიზაციის პროექტების ინიცირებასა და ორგანიზებაში. ღვინის კულტურა გამოიყენება, როგორც მნიშვნელოვანი ადგილობრივი რესურსი, რეგიონული გასტრონომიული კულტურის პოპულარიზაციისთვის, რომელმაც, საბოლოოდ, ხელი უნდა შეეწყოს ადგილობრივი ეკონომიკური და სოფლის მეურნეობის აღორძინებას.

ამგვარად, ღვინის იაშვიათი ტექნოლოგიის, როგორც არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის დაცვის კონცეფციის გადაფასება აბრეშუმის გზის კონტექსტში, საშუალებას იძლევა სახელმწიფომ იმუშაოს სოფლის მეურნეობის მდგრადი განვითარების ახალ ფორმებზე. სახელმწიფო მართვის მოდელის თვალსაზრისით ეს არის მუნიციპალური კოოპერაცია, რეგიონული კორპორაცია, საჯარო-კერძო პარტნიორობა,[12] სამეცნიერო დაწესებულებები. ასეთი კომპლექსური მიდგომა ხელს უწყობს ორი მნიშვნელოვანი საკითხის გადაწყვეტას:

---

[12] საჯარო-კერძო პარტნიორობას აკმ-ს დაცვაში სპეციფიკაციები გააჩნია: ის არის, როგორც დამატებითი ინსტრუმენტი ადეკვატური ფინანსური რესურსების შესაქმნელად ისეთ საქმიანობაში, როგორიცაა: აკმ-ს ტურისტული სერვისების დიზაინი, აკმ-ს ახალი ობიექტების მოძიების საკითხთა დაგეგმვა და მართვა;

- კომპლექსურად გამართული ღონისძიებები არის მოქალაქეთა კულტურული ფესვების გამოხატულება და ამასთან ტერიტორიულობის განცდა, რომლის საფუძველზე დგინდება მოსახლეობის იდენტურობა, ანუ ტერიტორიული წარმონაქნი კულტურული მემკვიდრეობის ირგვლივ - „თვითგადარჩენის გარემო“;
- ერთობლივი ღონისძიებები ხელს უწყობს მეღვინეობის მრავალფუნქციური ხასიათის ურთიერთობათა მართვის კულტურის განვითარებას, რომელიც დაკავშირებულია მატერიალური და არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ერთობლივ ღირებულებასთან. სწორედ ასეთი მიდგომა ზრდის ახალ ინტერესს და ახდენს ეკონომიკის დივერსიფიკაციას აგრარული კულტურული ლანდშაპტისათვის.

### 3.3. .ქართული აბრეშუმის ტექნოლოგია და წარმოების სარგებლიანობა გეოსტრატეგიულ პროექტებში

#### 3.3.1. ქართული აბრეშუმის ტექნოლოგიის კულტურულ-ისტორიული წანამძღვრები და წარმოების მართვის პრაქტიკა

2018 წლის 11 ივნისს „ქართული აბრეშუმს“არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსის მინიჭა. (ბრძანება №02/31, 2018) ამ დოკუმენტს საფუძვლად დაედო საქართველოში მეაბრეშუმეობის დარგის ისტორია.

უძველესი დროიდან აბრეშუმი, მატყლთან და სელთან ერთად, ძირითადი ბუნებრივი მასალა იყო, რომელიც ტექსტილის ინდუსტრიაში გამოიყენებოდა. აბრეშუმის ნართი, თავისი სპეციფიური თვისებებით (ელასტიურობა, გამძლეობა, სისწორე, ბრწყინვალება და დელიკატურობა), წარმოების მასშტაბებითა, ყველაზე ღირებული ნედლეული იყო ტექსტილის მრეწველობაში (გუგუშვილი 1959, 652).

აბრეშუმის წარმოებები წვრილი მეურნეობის სახით შეიქმნა, მაგრამ ისტორიამ აჩვენა, რომ მსგავსი ტიპის დიდმასშტაბიანი წარმოებები დაიხურა. ეს მხოლოდ საქართველოში არ მომხდარა,

---

სპეციალური ობიექტების მშენებლობა (მუზეუმი, რესტავრაცია- კონსერვაცია და სხვა). ეს არის ტრანზაქცია საჯარო და კერძო პარტნიორებსს შორის, რათა თავიდან იქნას აცილებული ფრაგმენტულ და არაკეთილსინდისიერ პროექტებში ჩართვა და სხვა. კერძო სუბიექტები შეიძლება იყვნენ ფიზიკური პირები, იურიდიული პირები, რომელთაც აქვთ მომგებიანი მიზნები (მაგ. კერძო უნივერსიტეტები), ეკონომიკური ოპერატორები (მაგ. სამშენებლო კომპანიები) ან ფინანსური ინსტიტუტები (მაგ. საინვესტიციო ბანკები, საპენსიო ფონდები, სადაზღვევო კომპანიები).

აღმოსავლეთშიც (იაპონია) და დასავლეთშიც (იტალია და საფრანგეთი) მსგავსი ჩავარდნების მიზეზები მეცნიერთა კვლევის ობიექტი გახდა.

კვლევის პროცესში გამოვლინდა, რომ ქართული აბრეშუმის წარმოება მხოლოდ ეროვნული კატეგორიის ობიექტი არ არის. მას უდაოდ აქვს საერთაშორისო მნიშვნელობა, რის გამოც იგი იუნესკოს არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ობიექტთა სიის ნომინანტი შეიძლება გახდეს.

ამ პროცესის სწორად წარმართვის მიზნით, უნდა დადგინდეს რამდენად დასტურდება ტექნოლოგიის უნიკალურობა; რა მექანიზმები არსებობს მისი შენარჩუნებისა და განვითარებისთვის; რა მექანიზმებითა და ინსტრუმენტებით უნდა უზრუნველყოს სახელმწიფომ ქართული აბრეშუმის ტექნოლოგიის გამოყენება, გავრცელება, პოპულარიზაცია საერთაშორისო გეოსტრატეგიულ პროექტში. ამ კითხვებზე პასუხის გაცემა აუცილებელია, რადგან აბრეშუმის წარმოება ისტორიულად მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში იყო გავრცელებეული და შესაბამისად საჭიროა ობიექტის უნიკალურობის დადგენა, ხოლო შემდეგ საერთაშორისო ურთიერთობებში მისი ჩართვისა და გამოყენების მოდელის შემუშავება.

აბრეშუმის ბოჭკოს წარმოების საიდუმლო საქართველოში ადრიდანვე იყო ცნობილი. ამას მოწმობს მრავალი ისტორიული/ლიტერატურული ძეგლი. აბრეშუმის შესახებ წერდნენ ცნობილი მოგზაურები: ფუჯეზი (Fu Jiezy. I ძვ.წ.), ბენჩაო (Ban Chao, I s, ახ.წ.), ბენ იანგ (Ban Yong, II ს. ახ.წ.), ჯენჩ ქიან (Zhang Qian. II ძვ.წ.), ხუანზენგ (Xuanzang, VII ს.), მარკო პოლო (Marco polo, XII ს.) და სხვები. სიმონ ყაუხჩიშვილის (ყაუხჩიშვილი, 1959) ცნობით: მათ თავიან ჩანაწერებში აღწერილი აქვთ ქართული აბრეშუმის თავისებურებები და ქსოვილებით ვაჭრობის ფაქტები. დასტურდება ისიც, რომ აბრეშუმის ჭიის საკვებად გამოყენებული თუთის ხის ფოთლები საქართველოსთვის ენდემურია. აბრეშუმის ჭიის მწარმოებლები ამჯობინებდნენ დაუმყნობ თეთრ თუთას, რომელსაც კახეთში „ქართულს"ეძახდნენ, ხოლო დასავლეთ საქართველოში - დაძველებული (ძველი დრო), ჩვენებური (თავისებური). აქ მიღებული ძაფი გაცილებით კარგად იღებებოდა. აბრეშუმის ძაფის ამოხვევა, დაწნვა და ქსოვა ხელით ხდებოდა. შემდეგ მათ ნაწილ-ნაწილ ადუღებდნენ და ძაფებს ახვევდნენ სპეციალური იარაღებით: ელართაშე, ოგი-დაშე - სამეგრელოში, ოგვარო - გურიაში, სამხელი, სამუხველი - იმერეთში, სპეციალური დაწნული ბორბალი -კახეთში.

როგორც მეცამეტე საუკუნის მოგზაური, მარკო პოლო, წერდა: საქართველოში აბრეშუმს მრავლად აწარმოებენ, ქმნიან აგრეთვე აბრეშუმის და ოქროს შერეულ ქსოვილებს, რაც ძალიან ლამაზია და სხვაგან ვერ ნახავთ.

მომდევნო საუკუნეებში, საქართველოში განუწყვეტელი შემოსევების გამო დამპყრობლებს აბრეშუმი, როგორც ხარკი, ისე მიჰქონდათ ან ქვეყნის ეკონომიკურად დასუსტების მიზნით, ცდილობდნენ მეაბრეშუმეობის წარმოების განადგურებას.

შუა საუკუნეებში ქართული აბრეშუმი ექსპორტზე გადიოდა სირიაში, სპარსეთში, და იტალიაში. უცხოელი მოგზაურები ხაზს უსვამდნენ ქართული აბრეშუმის სილამაზესა და ღირებულებას. ფრანგი მოგზაური შარდენი (Chardin 2002, 181) წერდა: „სპარსეთი, იმ დროს დიდი სავაჭრო პუნქტი, აბრეშუმს იღებდა საქართველოდან, ხორასანიდან და სხვა პროვინციებიდან. რუსეთის ელჩი ტოლჩანოვი, მეთხუთმეტე საუკუნეში წერდა, რომ იმერთსა და სამეგრელოში აბრეშუმის ჭია ყველა გლეხის ოჯახში იყო გაშენებული. იგივეს ამბობდა რუსეთის აკადემიის წევრი იოჰან ანტონ გულდენშტედტი მეჩვიდმეტე სა,უკუნეში[13].

საქართველოსა და კავკასიის რუსეთთან შეერთების შემდეგ, ქართული აბრეშუმი ცარისტული რეჟიმის სასოფლო-სამეურნეო პოლიტიკისთვის შესამჩნევი ობიექტი გახდა. აქცენტი გაკეთდა ნედლეულზე, რომელიც საჭირო იყო რუსეთში შიდა ტექსტილის ინდუსტრიისთვის (Gugushvili 1959, 665). რუსეთის კოლონიური რეჟიმის პირობებში, საქართველო რუსული ტექსტილის ქარხნებს ამარაგდა ნედლეულით, მხოლოდ მცირე რაოდენობის აბრეშუმის ქსოვილები იწარმოებოდა ადგილობრივად.

XIX საუკუნეში ნედლი აბრეშუმის ძაფები და ქსოვილები იყო შემოსავლის ძირითადი წყარო ქართველი გლეხებისთვის. საქართველოს ფაქტობრივი ანექსიის შემდეგ, კავკასიის მეურნეობის პოლიტიკა, ძირითადად რუსეთის იმპერიამ განსაზღვრა და საქართველოს ნედლეულის წყაროდ იყებდა.

საქართველო თავიდანვე აწარმოებდა მაღალი ხარისხის აბრეშუმის ქსოვილს, სახელწოდებით - დარაია. როგორც აღვნიშნეთ, იმ დროს რუსეთის მთავარი მოთხოვნა აბრეშუმის ნედლეული იყო. ამის გამო გლეხებმა უარი თქვეს აბრეშუმის ქსოვილის ტრადიციულ წარმოებაზე და ამის ნაცვლად დაიწყო იაფი იმპორტირებული პროდუქტების შემოტანა. დროთა განმავლობაში, ტრადიციული ქართული აბრეშუმის დამზადების მეთოდები და ტექნიკა დავიწყებას მიეცა. ქართული აბრეშუმის წარმოების აღორძინების მცდელობებიც იყო, თუმცა წარმოებისა და ქართული აბრეშუმის იდენტურობა თითქმის დაიკარგა.

---

[13] მონაცემები აღებულია ნამი ჩხაიძის, ნელი მახვილაძის, ლია ლურსმანაშვილის, თენგიზ ჩუბინიშვილის ნაშრომიდან: Chkhaidze, Nani. Makhviladze, Neli. Lursmanashvili, Lia. Chubinishvili, Tengiz. Silk Production Development History in Georgia. Science and Technologies N1(715). 120–126.

ამას ისიც დაემატა, რომ მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევარში, აბრეშუმის ჭიის საშინელი დაავადება - pèbrine - გაჩნდა. დაავადება გავრცელდა საფრანგეთსა და იტალიაში, აღმოსავლეთ ევროპაში, კავკასიაში, მცირე აზიასა და შუა აზიაში. როგორც ნ. შავროვი (Shavrov, 1907, 835) აღწერს, აბრეშუმის წარმოებას საფრთხე შეექმნა.. მომდევნო წლებში დაავადება თანდათან შემცირდა, რასაც დაეხმარა ჯანსაღი აბრეშუმის ჭიის კვერცხების იმპორტი, დაიწყო დაავადების მიმართ რეზისტენტული სახეობების მოშენება (ლუი პასტერის ფიჭური მეთოდით).

1980-იანი წლების დასაწყისში, საქართველოში ხუთი აბრეშუმის ქარხანა არსებობდა. ფუნქციონირებდა თბილისისა და ქუთაისის აბრეშუმის ტექსტილის სამკერვალო გაერთიანებები. ამ პერიოდში, ქართული აბრეშუმის მრეწველობა თვითკმარი იყო ნედლეულის კუთხით. საქართველო აწარმოებდა კლასიკური აბრეშუმის ქსოვილებს (ძირითადად ქსოვილებს კრეპისგან).

.ქსოვის სირთულის გამო, სერიოზული ყურადღება იყო საჭირო მქსოველთა მიმართ, რაზეც ხელისუფლებას სტრატეგიული ხედვა არ ჰქონია. მით უმეტეს, რომ ქართველი მხატვრებისა და დიზაინერების მიერ მოხატულმა ქსოვილმა მოწონება დაიმსახურა გამოფენებსა და ჩვენებებზე (Chkhaidze, Makhviladze, 2014, p.121).

საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის შემდეგ, ბევრი დაიწერა აბრეშუმის წარმოების აღორძინების პრობლემებზე, მაგრამ კონკრეტული შედეგი არ დამდგარა. დღეს საერთაშორისო ორგანიზაციების USAID და IFC შეფასებით, საქართველოს დიდი პოტენციალი აქვს ტექსტილის სექტორში საერთაშორისო ბაზარზე ამ ობიექტის პოზიციონირების თვალსაზრისით. არსებობს რამდენიმე მიზეზი, რის გამოც ქართული წარმოების სექტორი მიმზიდველია უცხოური ინვესტიციებისთვის. ქვეყანას აქვს ხელსაყრელი გეოგრაფიული მდებარეობა ექსპორტისთვის, განვითარებულია სატრანსპორტო ინფრასტრუქტურა, გზები და სხვა, რომელთა შესახებ ჩვენ გეოპოლოტიკური პროექტების ანალიზის თავში გვქონდა საუბარი.

საქართველოში აბრეშუმის წარმოების ხანგრძლივი ისტორია აჩვენებს, რომ ქართული მეურნეობა ადგილობრივი სოფლის მეურნეობის განუყოფელი ნაწილია და ეს დარგი საჭიროებს აღდგენას. რა თქმა უნდა, ეს ადვილი არაა მაგრამ კომპლესური მიდგომითა და ისტორიულ-გეოპოლიტიკური სიტუაციების გამოყენებისთ, ეს ნამდვილად შესაძლებელია.

### 3.3.2. ქართული აბრეშუმის ტექნოლოგიის შენარჩუნებისა და განვითარების ტენდენციები

ქართული აბრეშუმის ტექნოლოგიის შენარჩუნებისა და განვითარების პროცესის ეფექტური მართვისთვის აუცილებელია კომპლექსური მიდგომა (ღირებულებითი ჯაჭვი), რომლის საჭიროება ისტორიული წყაროებისა და ადმინისტრაციული აქტების ანალიზით დგინდება. კერძოდ: საწყისი რესურსების შექმნა და მართვა, ნედლი პარკის წარმოების უზრუნველყოფა, აბრეშუმის პარკისაგან ძაფის ამოხვევა და რეალიზაცია.

დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ, საქართველოს ხელისუფლებამ გარკვეული ნაბიჯები გადადგა დარგის ასაღორძინებლად: 1996 წელს საქართველოში მეაბრეშუმეობის შენარჩუნებისა და განვითარების ღონისძიებათა შესახებ საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულება გამოვიდა. ამ დოკუმენტის მიხედვით, გაერთიანდა მეაბრეშუმეობის საწარმო, დარგობრივი მუზეუმი და ბიბლიოთეკა, რომელსაც ეწოდა "აბრეშუმის სახლი", ხოლო ცაბაძის ქუჩაზე მდებარე შენობა, გამოცხადდა ისტორიული მნიშვნელობის კულტურის ძეგლად. მუზეუმს თავდაპირველად საგანმანათლებლო ფუნქცია ჰქონდა, დღეისათვის მასში დაცულია 40 000-მდე ობიექტი, 20 000 წიგნი 50 სხვადასხვა ქვეყნიდან. აბრეშუმის მუზეუმი ერთ-ერთი ყველაზე ძველია მსოფლიოს აბრეშუმის მუზეუმებს შორის და ერთადერთია კავკასიის რეგიონში.

„აბრეშუმის სახლის“ ბიზნესმოდელის რეალიზება შესაძლებელია სახელმწიფოს მხრიდან სტრატეგიული და ფინანსური მხარდაჭერის, საჯარო-კერძო პარტნიოტობის, საერთაშორისო ეკონომიკური და კულტურული პროექტების განხორციელების პირობებში. რატომ ვამბობთ ამას. სააქციო საზოგადოება - საქაბრეშუმი - გაკოტრების პროცესშია. საჭიროა ინვესტიციების მოზიდვა მეაბრეშუმეობის ინდუსტრიის განახლებისთვის.

საქართველოს მთავრობის №2346 განკარგულებით დამტკიცდა „თბილისის აბრეშუმის გზის ფორუმის“ ორგანიზების სამოქმედო გეგმა. (განკარგულება, 2017), ჩატარდა მრავალი ღონისძიება.

მიუხედავად დიდი ძალისხმევისა, უნდა ითქვას, რომ სახელმწიფოს მხრიდან, ქართული აბრეშუმის დაცვისა და ინდუსტრიის მიმართულებით, გაწეული ღონისძიებები ფრაგმენტულ ხასიათს ატარებს.

საქართველოში უამრავი რეკომენდაცია არსებობს მეაბრეშუმეობის დარგის განვითარებისთვის. თუმცა, ვვარაუდობთ, რომ შიდამექნიზმები დარგის განვითარებისთვის არასკმარისია. ეს კარგად ჩანს იაპონიის მაგალითზე. ამიტომ, როცა „აბრეშუმის სახლის“ ბიზნეს მოდელზე ვსაუბრობთ, იგი ორ ნაწილად უნდა გავყოთ: 1. აბრეშუმის ხელით წარმოება, როგორც

კულტურული მემკვიდრეობის შენარჩუნება - აბრეშუმის მუზეუმის ფარგლებში; 2. აბრეშუმის წარმოების თანამედროვე საწარმოს შექმნა, როგორც დარგის აღორძინება თანამედროვე ტექნოლოგიებით.

ქართული აბრეშუმის უნიკალურობიდან გამომდინარე და იმის გათვალისწინებით, რომ ქართულ აბრეშუმს 1850 წ. ტურინში, 1862 წ. ლონდონის საერთაშორისო გამოფენებზე მიღებული აქვს მედლები, არსებობს საფუძველი, რომ ეს ობიექტი ნომინირებული იქნეს იუნესკოს არამატერიალური მემკვიდრეობის სიაში. ობიექტის პოპულარიზაციის ეს მეთოდი ნამდვილად წაადგება დარგის აღორძიებისთვის ინვესტიციების მოზიდვის პროცესს.

ამ წინადადების პარალელურად ისმება კითხვა: ხომ არ იქნება ეს - „ჩინური აბრეშუმის" - ერთგვარი გადაფასების მაპროვოცირებელი მცდელობა? ვფიქრობთ რომ ეს ასე არ იქნება. მაშინ, როცა აბრეშუმის გზა ჩინეთის გეოპოლიტიკური პროექტია, ჩინეთის უპირატესობა ამ მიმართულებით უკვე ჩანს. პირიქთ, თუ ასე არ მოვიქცევით, მაშინ ქართული აბრეშუმის უნიკალურობა და თვითმყოფადობა იკარგება. რა არის გამოსავალი? ჩვენი ვერსიით, ეს არის იუნესკოს ნომინაციების ნუსხაში დამატებითი ქვემიმართულების შექმნა. მაგ: ნომინაცია ჩინური აბრეშუმი, ქვენომინაცია: მსგავსი ობიექტების განხსხვავებებისა და უნიკალურობების აღწერა. და ეს შეიძლება მხოლოდ ქართული აბრეშუმი არ იყოს.

### 3.3.3. აბრეშუმის ტრადიციული ტექნოლოგიის შენარჩუნებისა და განვითარების იაპონური მოდელი.

იაპონური აბრეშუმის „ნიშიჯინ-ორი"(西陣織) წარმოებას, ჩინურისაგან განსხვავებით, ნაკლები, 500 წლიანი ისტორია აქვს. მაგრამ, აბრეშუმის ექსპორტში იაპონიამ, მე-20 საუკუნის დასაწყისში, ჩინეთის გასწრებაც კი მოახერხა. 1905 წლისთვის იაპონური ნედლი აბრეშუმის ექსპორტმა გადააჭარბა ჩინურს და რამდენიმე ათწლეულში, დომინირებული გახდა მსოფლიო ბაზარზე. თუმცა, მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, იაპონიის ეკონომიკის მდგომარეობის, ჩინეთიდან სინთეტიკისა და ნეილონის იაფი პროდუქტის იმპორტირების გამო, იაპონიის აბრეშუმის ტრადიციული მრეწველობა მოძველდა და მანქანურ წარმოებაზე გადავიდა.

მომდევნო პერიოდში, სხვადასხვა სახის ინოვაციების დანერგვით იაპონიის პროგრესი დაჩქარდა. გაუმჯობესდა აბრეშუმის გრენას ხარისხი და დუღილის მეთოდი, ავტომატური

აპარატების შექმნის გამო, შეიცვალა შრომის განაწილება, და სხვა (Hashino, Tomoko & Otsuka, Keijiro, 2020).

1870-იანი წლების ბოლოდან აბრეშუმის, როგორც ყველაზე მნიშვნელოვანი საექსპორტო ინდუსტრიის, განვითარებამ შეშის დეფიციტი გამოიწვია; 1880-იანი წლების შუა პერდისთვის ტრადიციულ წყაროებს ავსებდა რამდენიმე სოფლის მეაბრეშუმეობის მრეწველობაზე გადასვლა. 1880-იანი წლების შუა პერიოდიდან დაიწყო სახელმწიფო მიწაზე არსებული ხეების გადაცემა აბრეშუმის მწარმოებლებისთვის. რაც შეეხება პრეფექტების მთავრობების მცდელობას, წაეხალისებინათ თუთის ხეების დარგვა, წარუმატებელი აღმოჩნდა და 1890-იანი წლების დასაწყისში საჭირო გახდა მეზობელი რაიონებიდან მათი ტრანსპორტირება.

აბრეშუმის ტექნოლოგია იაპონიის კულტურულ მემკვიდრეობას დაუკავშირდა იმით, რომ მატერიალურად განასახიერებს „ყველაზე მეტს“ (გამოიყენება კიმონონებისათვის). მისი თავისებურებებია: ქსოვის დახვეწილი ტექნოლოგია, რომელიც წარმოადგენს უნიკალურს, იაპონური ესთეტიკა - დელიკატური სეზონური მგრძნობელობა, ფერისა და დიზაინის ცნებები, კულტურული გრძნობები დაკავშირებული რელიგიურ დღესასწაულებთან, რწმენასთან და ა.შ. (Liao, 2013)

იაპონელებს მიაჩნიათ, რომ ერთ-ერთი ყველაზე მომგებიანი ადგილობრივი ინდუსტრიის განვითარება ნაკლებად სავარაუდოა. ამაზე მეტყველებს სტატისტიკა: მცირდება კორპორაციები, მქსოველების რიცხვი. მაგალითად: მთლიანი გაყიდვები 2008 წელს 20%ით ნაკლები იყო 1990 წელთან შედარებით. ამ ვითარების გათვალისწინებით, კულტურული მემკვიდრეობის გადასარჩენად იაპონიაში დაიწყეს ე.წ. წოდებული "კოტეჯის ინუსტრია" (家内工業), ამას დაემატა ღონისძიებები ინდუსტრიის გაძლიერებისთვის: გამოფენები, ფესტივალები, ღია კარის დღეები, სასწავლო სკოლები, ქსოვის კონკურსები და სხვა ინიციატივები, რომლებიც სპეციალურად შექმნილი ასოციაციის - Nishijin Textile Industrial-ის მიერ იყო ორგანიზებული. თუმცა ამან, როგორც დ. ნაგატომო (Nagatomo, 2018) ამბობს: საქმეს ვერ უშველა.

ჩნდება კითხვა: რამ გამოიწვია ტრადიციული აბრეშუმის კულტურის გავრცელების კრიზისი იაპონიაში? სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმული მოსაზრებებისა და იაპონელ ექსპერტებთან ინტერვიუს საფუძველზე გამოვლინდა ეს მიზეზები:

ტრადიციული წარმოებისა და საცალო ვაჭრობის შეუთავსებლობა; თანამედროვე მსოფლიოში ცვალებადი გემოვნება და ახალი ტენდენციები.

დღეს არსებული იაპონური სისტემა აბრეშუმის დახვეწილი ოსტატობის შემდეგია, ამასთან, განვითარდა მცირე მასშტაბის საოჯახო ბიზნესი და გრძელვადიანი შეგირდობის სისტემა. ზოგიერთმა მწარმოებელმა და საცალო მოვაჭრემ, აბრეშუმის კულტურული მემკვიდრეობის მეთოდის გადარჩენა, არახელსაყრელ პირობებში ვაჭრობითა და ქვეკონტრაქტორი ხელოსნების ხარჯზე შეძლო. ფაქტია, რომ მუდმივად იხურება სპეციალიზირებული ბიზნესები, რაც ნიშნავს კონკრეტული ხელობის, უნარებისა და გამოცდილების, ასევე მათი მომავალი თაობისათვის სწავლების მეთოდების დაკარგვას; მეორეს მხრივ აშკარაა, რომ არ ხდება "ტრადიციული ხელოსნობის ოსტატების" ოფიციალური აღიარება, როგორც სახელმწიფო დაცვის ქვეშ მყოფი პირების, რომელთაც ხელოსნებისთვის საკმარისი საარსებო წყარო სჭირდებათ.

ამრიგად, მხოლოდ სახელმწიფოს ძალისხმევა აბრეშუმის იშვიათი ტექნოლოგიისა და მისი სარგებლიანობის პროცესის დაგეგმვაში, შესაძლოა არ აღმოჩნდეს ეფექტური.

მიუხედავად იმისა, რომ საგარეო პოლიტიკაში აბრეშუმის გზა წარმოდგენილია როგორც სტატიკური კონცეფცია, მტკიცდება, რომ აბრეშუმის გზა, როგორც ტერმინი წარმოადგენს მრავალი ძლიერი სახელმწიფოს ჩართულობის მრავალფეროვან კონცეფციას. აბრეშუმის გზა არ არის საგარეო პოლიტიკის დოქტრინა სახელმწიფოებისთვის, არამედ ჩართულობის დისკურსიული სტრატეგიაა. პარალელურად ჩნდება ახალი ნარატივები, რომლებიც „საკუთარი თავის“ და „სხვის“ შესახებ აღიარებაში ეჯიბრებიან ერთმანეთს.

ბოლო პერიოდში ევრაზიული სტრატეგიების აღქმები იცვლება. გაჩნდა დისკურსული კატეგორიების თემები, როგორიცაა „იდენტობები“, „ღირებულებები“, და „შესაძლებლობები“. ასეთი მიდგომა დიდი სახელმწიფოებისთვის რეგიონში ჩართულობის სტრატეგიული ხედვაა და მისი საქმიანი იმიჯია. ამასთან, აბრეშუმის გზა ძალაუფლების ბალანსირების საშუალებაცაა და მისი ისტორიული მნიშვნელობა სასარგებლოა ისტორიული ღირებულებების და მემკვიდრეობის სფეროში  მშვიდობიანი და სტაბილური საგარეო ურთიერთობების წარმოებითვის.

იაპონიის მიერ განხორციელებულ დიპლომატიას ბევრი მსგავსება აქვს ჩინეთის აბრეშუმის გზის პროექტში ჩართულობის პრინციპებთან. კერძოდ, ესაა სამი პრინციპი: ნდობის დამყარება, „ორმხრივი სარგებლობის“რეჟიმის დამკვიდრება და „გრძელვადიანი პერსპექტივის შენარჩუნება“, რაც კულტურული მემკვიდრეობის  შემდგომი თაობებისთვის გადაცემის შესაძლებლობებს ზრდის.

ევრაზიული გეოპოლიტიკური მიდგომების განსხვავების მიუხედავად, დიპლომატიის პლატფორმის მეშვეობით, ორმხრივი სარგებლის პრინციპის გათვალისწინებით, შეიძლება მოიძებნოს თანამშრომლობის სფეროები ეკონომიკურ ურთიერთობებში: იმპორტისა და ექსპორტის

ბალანსის შენარჩუნება, ტრანსპორტირება და ლოჯისტიკა, კორპორაციების ლიდერობა ეკონომიკური პროექტების ხელშეწყობაში.

დიპლომატია აბრეშუმის გზის არეალში ხაზს უსვამს სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებას და ღია რეგიონალიზმის პრინციპზე დაფუძნებული პარტნიორობის გაღრმავებას. ამ თვალსაზრისით, საქართველოს იშვიათი ტექნოლოგიების დაცვის მოდელი სამი ევრაზიული სტრატეგიის კონტექსტში, არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის სარგებლიანობის შესაძლებლობას ზრდის.

ქართული იშვიათი ტექნოლოგიები: ქვევრის ღვინო და ქართული აბრეშუმი ევრაზიულ პროექტებში კულტურული დიპლომატიის ის ელემენტებია, რომელთა მეშვეობით შესაძლებელი ხდება გეოპოლიტიკური მშვიდობიანი თანაარსებობა, კულტურული მემკვიდრეობის დაცვის, გავრცელების და მისი სარგებლიანობის ეფექტური მექანიზმების მიღწევ

## თავი 4
## არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ახალი ობიეეტები საქართველოში

### 4.1. „გელათური აზროვნება“, როგორც განათლების მეცნიერებისა და პრაქტიკის ჰინტერდიციპლინური მართვის ტრადიცია

კულტურული მემკვიდრეობის ახალი ობიექტების წარმოშობა გარემოს კრიტიკული თვალით შეფასების შედეგია, რომელიც კულტურის სფეროში ახალ აქტივებს ბადებს. აღსანიშნავია, რომ 21-ე საუკუნის მიდგომა ძეგლთა დაცვისა და კულტურული მემკვიდრეობის სფეროში ზოგადად, რადიკალურად განსხვავდება მეოთხედი საუკუნის წინ განხორციელებული მიდგომებისაგან. დღეისათვის, ის სულ უფრო მეტად წარმოადგენს ინტერდისციპლინურ კონცეფციას, რომელსაც მნიშვნელობა ენიჭება მდგრადი განვითარების პროცესში.

„პოსტმოდერნიზმი“ და „გლობალიზაცია“ ის ვექტორებია, რომლებიც ყველაზე ხშირად აღწერენ თანამედროვე ტრანსფორმაციის პროცესების დინამიკას.

ისტორიულ-ეთნოგრაფიული ლიტერატურის შესწავლის დროს ყურადღება გავამახვილეთ განათლებისა და მეცნიერების მართვის უნიკალურ ისტორიულ სისტემაზე, რომელიც გელათის მეცნიერებათა აკადემიის სახით არსებობდა საქართველოში.

გელათის მეცნიერებათა აკადემიის ტრადიცია - სასულიერო-საერო განათლების, სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის, გამოყენებითი ხელოვნების (მხატვრობა, ფერწერის ოსტატობა, ოქრომჭედლობა) სფეროში ცოდნის გადაცემის მეთოდთა სისტემაა, რომელმაც ჰუმანისტურ პარადიგმაზე დაფუძნებულ „გელათურ აზროვნებას“ ჩაუყარა საფუძველი. ამ სისტემამ ხელი შეუწყო ადრეული რენესანსის იდეოლოგიის დამკვიდრებას და საფუძვლად დაედო საქართველოში XII-XIII საუკუნეებში მომხდარ სოციალურ-პოლიტიკურ ძვრებს. [14]

---

[14] გელათის მეცნიერეაზათა აკადემიის მნიშვნელობა, მართვის სისტემა და თავისებურებები შესწავლილია შემდეგი ნაშრომების მიხედვით: 1.ლომინაძე, ზ. გელათი: გზამკვლევი /საქ. სსრ კულტურის სამინისტროს კულტ.-საგანმ. დაწესებულებების საქმეთა სამმართველო, ქუთაისის სახელმწ. ისტ.-ეთნოგრ. მუზეუმი. - ქუთაისი, 1958 (მთავარპოლიგრაფგამომც. ქუთაისის სტ.). - 52გვ; მელიქიშვილი, დამანა - გელათი-"სხუა ათინა და მეორე იერუსალიმი" : გელათი-900 / დამანა მელიქიშვილი ; [გელათის მეცნ. აკად.]. - თბ., 2006. - 46გვ. 5. მჭედლიძე, გიორგი გელათის აკადემია - რენესანსულ-ჰუმანისტური კულტურის სათავეებთან / გიორგი მჭედლიძე // მწიგნობარი '06 : [ალმანახი] / საქართველოს ილია ჭავჭავაძის სახელობის მწიგნობართა ასოციაცია. - თბილისი, 2006. - გვ.3-1; 6. ნიკოლეიშვილი, მიხეილ გელათის სახალხო აკადემია-30: ქრონიკები /[რედ.: ი. კუჭუხიძე]; საქ. მეცნ. აკად., ქუთაისის ისტ.-ეთნოგრ. მუზეუმი. - ქუთაისი : მეცნიერება, 2000: 8. ქუთაის-გელათის მუზეუმ-ნაკრძალი / [რევაზ ჯავახაძე]. - თბ. : ხელოვნება, 1987; 12. ღამბაშიძე, დავით გელათის მონასტერი და ცხოვრების აღწერილობა მეფის დავით III აღმაშენებელისა / შედგენილი დეკანოზის დავით ღამბაშიძისაგან. - მე-2 გამოცემა. - Кутаисъ, 1893 (тип. журн. "Мцкемси"). - 64 გვ.13. ყაუხჩიშვილი, სიმონგელათის აკადემია /საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული კულტ.-საგანმანათლებლო დაწესებულებების საქმ. კომ-ტი. ქუთაისის სახელმწიფო ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმი. - თბ.: საქ. სახელმწ. წიგნის პალატის გამ-ბა, 1948 (სტალინის სახ. თბილისის სახელმწიფო უნ-ტის სტ.); 15. Mchedlidze, GiorgiGelati Academy of sciences - history and the present day / Giorgi Mchedlidze ; [ed. Magali Todua] ; Gelati Academy of Sciences. - Kutaisi, 2006. - 43 p. : il16. ჩაკვეტაძე, ვ. გელათის აკადემია : [არქიტექტურული ძეგლი] / საქ. სსრ პოლიტ. და მეცნ. ცოდნის გამავრც. საზ-ბა. - თბ., 1958 (მთავარპოლიგრაფგამომც. ქუთაისის სტ). - 52გვ.21. ტყეშელაშვილი, გ. (გივი) - გელათის საგანძური / გივი ტყეშელაშვილი ; რედ. მირიან სტეფანია ; დიზაინი სერგო წურწუმია ; ქუთაისის მუზეუმის განვითარების ასოციაცია "საგანძური". - ქუთაისი : შპს "თეთნულდი", 2000; 24. თავაძე, გიორგი- რუკების ძალა. გელათი და "კავკასიური ფილოსოფიის" ცნება ინტერკულტურული ფილოსოფიის ჭრილში = The power of maps, Gelati and the concept of caucasian philosophy in the context of intercultural philosophy / გიორგი თავაძე ; [რედ.-გამომც.: თენგიზ ირემაძე, ჰელმუტ შნაიდერი ; გრ. რობაქიძის სახ. უნ-ტი, ფილოს. და სოციალ. მეცნ. კვლევითი ინ-ტი. - I-ლი გამოცემა. - თბ. : ნეკერი, 2013. - 52 ; 25.გელათის მეცნიერებათა აკადემია დოკუმენტები და ფაქტები : [აკადემიის დაარსების ბრძანებები, წესდება, პერსონავლური შემადგენლობა, საქართველოს ეკლესიის წმინდა სინოდის განჩინება] // გელათის მეცნიერებათა აკადემიის უწყებანი. - 1996. - N1. - გვ.5-94; რაფავა მაია, „გარემოვლითი სწავლულების“ გაგებისათვის ძველ ქართულ მწერლობაში, საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიასთან არსებული ქრისტიანული კვლევის საერთაშორისო ცენტრის სამეცნ. ჟურნალი „ლოგოსი“, 2008, 17-24.

1106 წელს გელათის სამონასტრო კომპლექსის მშენებლობის პარალელურად დაფუძნდა გელათის აკადემია, როგორც საგანმანათლებლო, სამეცნიერო და სახელოვნებო ინსტიტუცია. დავით აღმაშენებლის ისტორიკოსის თხზულებებიდან, გელათის სიგელებიდან, იოანე პეტრიწის ნაშრომებიდან ჩანს, რომ: დავით აღმაშენებელმა შემოიკრიბა სწავლული ხალხი არამარტო საქართველოდან, არამედ უცხოეთიდანაც და მათ სამეცნიერო საქმიანობის სათანადო პირობები შეუქმნა. აკადემია გელათის სამონასტრო კომპლექსის ნაწილი იყო და მას არამარტო სასულიერო დანიშნულება ჰქონდა, არამედ სასწავლო-სამეცნიერო, გამოყენებითი და პრაქტიკული უნარ-ჩვევების გადაცემა. მონასტერში მოწვეული პირები როგორც სულიერი, ისე ხორციელი სათნოებით აღსავსენი ყოფილან, ამას მოწმობს აღმაშენებლის ისტორიკოსის სიტყვები: „ყოვლისა აღმოსავალისა, მეორედ იერუსალიმად, სასწავლოდ ყოვლისა კეთილისად, მოძღუარად სწავლულობისად, სხუად ათინა“ (ყაუხჩიშვილი, 1948). აკადემიაში სხვადასხვა დროს მოღვაწეობდნენ: იოანე პეტრიწი, არსენ იყალთოელი, პეტრე გელათელი, იოანე ტარიჭისძე, იოანე ჭიმჭიმელი, პეტრე გელათელი, არსენ ბულმაისისძე, ნიკოლოზ გულაბერიძე, იეზეკიელი, ევდემონ ჩხეტიძე (1557-1578 წწ), ექვთიმე საყვარელიძე (1578-1616 წწ), გედეონ ლორთქიფანიძე (XVII ს.), ანტონ პირველი, ზაქარია გაბაშვილი და სხვა.

გელათის მეცნიერებათა აკადემიის ტრადიციის ელემენტებია:

- საგანმანათლებლო საქმიანობა, რომელიც ეფუძნებოდა სასულიერო განათლებისა და საერო ცოდნის მეთოდებს. ამ მეთოდების ერთობლიობა ქმნის ფილოსოფიურ-მსოფლმხედველობრივი აზროვნების, მეცნიერული, განმანათლებლური იდეების, საენციკლოპედიო-კომენტატორული საქმიანობის ათვისების სისტემას. სასულიერო და საერო განათლების აუცილებელი კავშირის ტრადიციას ქართულ სინამდვილეში, ჯერ კიდევ, წმ.იოანე დამასკელის მიერ „დიალექტიკისა“ და ნეოპლატონიკოსის - ამონიოს ერმისის თარგმნის პროცესში ჩაეყარა საფუძველი. ეს ტრადიცია გულისხმობს: ტრივიუმისა და კვადრიუმის სისტემას, ტრივიუმის დისციპლინებია: მათემატიკა, ფიზიკა, ღვთისმეტყველება; მათემატიკა თავის მხრივ მოიცავს: ქვეყნისმზომელობას (გეომეტრია), ვარსკვლავთმრიცხველობას (ასტრონომია), მუსიკას და არითმეტიკას. ეს სისტემა კი კვადრიუმის სახელითაა ცნობილი. ტრივიუმისა და კვადრიუმის სისტემა ბერძნულ გარემოშიც არსებობდა, მაგრამ ქართულ სინამდვილეში მათი თავისებურებები ეფრემ მცირეს მიხედვით „გარემოვლითი სწავლულების“ სახით დამკვიდრდა და მას განათლების 12 დარგი დაემატა: გრამატიკოსობა, ფილოსოფოსობა, რიტორება, მკურნალობა,

ქვეყნისმზომელობა, ვარსკვლავთმრიცხველობა, რიცხუთმოქმედება, ბუნებათმეტყველება, ნივთმეტყველება, ხელოვნებათა საქმე, წესი ბრძოლისა. „გარემოვლითი სწავლულება“ გახდა საფუძველი გელათის აკადემიის საგანამანათლებლო ტრადიციისა, რომელიც შემდგომ თბილისისა თუ თელავის სემინარიებსა და სკოლებში განვითარდა. გელათის აკადემიის საგანმანათლებლო ტრადიციის მთავარი ნომინაციაა: „მეორე იერუსალიმი“(სარწმუნოებრივი აღზრდა) - და „სხვა ათინა“(საერო განათლება).

- პროფესიული განათლება - მევენახეობა, მეღვინეობა, ლითონის დამუშავება, კერამიკული წარმოება, ფარმაკოლოგია და სხვა, რომლებმაც მომავალში ხელი შეუწყო ტრადიციული ოსტატ-შეგირდობის და სახელობო-სამეურნეო სასწავლებლების ფორმირება;
- მთარგმნელობითი საქმიანობა - ელინოფილური ლიტერატურული მთარგმნელობითი მიმართულება. გელათის სკოლა, ბულგარეთის პეტრიწონის მონასტერში იოანე პეტრიწის მოღვაწეობის ასოციაციით, „პეტრიწონულ სკოლად“ იხსენიებოდა. შეიქმნა ღვთისმეტყველთა და ფილოსიფოსთა გამორჩეული ღირსების თარგმანები. მაგალითად: „გელათური ბიბლიის პატენტები“. აღსანიშნავია იოანე ქსიფილინოსის მეტაფრაზები, რომლებიც ბერძნულ ენაზე არ შემონახულა და ქართული თარგმანი ავსებს სასულიერო მწერლობის ისტორიაში ამ უდიდეს ხარვეზს. ითარგმნა მრავალი ისტორიული, ფილოსოფიური და ლიტერატურული ნაშრომი: არისტოტელეს, ი. ფლავიუსის, პ. დიადოხოსის, ნ. ემესელის და სხვათა თხზულებანი, “დიდი სჯულის კანონი“, ნემესიოს ემესელის თხზულება „ბუნებისათჳს კაცისა“; შეიქმნა „გელათური ქორონიკონი“, რომელიც სახელდებული აქვს ვახუშტი ბატონიშვილს თავის ერთ-ერთ წყაროდ. გელათური ხელნაწერები დაცულია ქუთაისის სახელმწიფო მუზეუმსა და სხვა მუზეუმებში და საპატიო ადგილს იკავებენ მსოფლიოს ლიტერატურულ ძეგლებს შორის. მთარგმნელობითი საქმიანობის გელათური წესი ორიგინალურ ტექსტთან ერთად დეტალურ კომენტარებს გულისხმობდა, რაც თავისთავად ამ საქმიანობის ორიგინალურობაზე მეტყველებს.

ობიექტის ორიგინალურობაზე მეტყველებს ისიც, რომ გელათის სკოლის მოღვაწეების მიერ შეიქმნა ფილოსოფიურ-მეცნიერული ენა, როგორც ცნებითი და განმარტებითი თვალსაზრისით ურთიერთდაკავშირებული კატეგორიების სისტემა. გელათის აკადემიაში ინდივიდუალური მეცნიერული ენა, გარკვეულ ჯგუფში, ქართული ენის მეშვეობით ვრცელდებოდა და ამით მყარდებოდა კავშირი .გელათის აკადემიასთან.

გელათის აკადემიათან კავშირი ჰქონდათ მე-12 მე--13 საუკუნეების სომეხ მოღვაწეებს, მთარგმნელებს. ცნობილია დიოფიზიტური აღმსარებლობის ბერის - სიმეონ პღინძაჰანეცის სომხურ ენაზე თარგმნილი, პროკლეს „კავშირნი ღვთისმეტყველებითნი“ და იოანე პეტრიწის განმარტებები. მანვე სომხურად თარგმნა რამდენიმე ტრაქტატი არსენ იყალთოელის „დოგმატიკონიდან“. რაც შეეხება მინას მესვეტეს, მან ქართულიდან სომხურად თარგმნა იოანე სინელის „კლემაქსის“ პირველი ოცი თავი, დანარჩენი თავები დაასრულა სიმეონ მეჯვარემ. „კლემაქსის“ სომხური თარგმანი მათ შეუსრულებიათ პეტრე გელათელის თარგმანიდან და სხვა.

- გამოყენებითი ხელოვნება. გელათის აკადემიაში არსებობდა ოქრომჭედლობის სკოლა, სადაც იქმნებოდა ხელოვნების იშვიათი ძეგლები. საქართველო სამართლიანად ითვლება ლითონის დამუშავების ერთ-ერთ უძველეს სამშობლოდ მსოფლიოში. ქართული ოქრომჭედლობა განვითარების ყველა საფეხურზე კანონზომიერად ატარებდა თავისი ეპოქის ნიშნებს, ამავე დროს, მას ჰქონდა ეროვნული თავისებურებებიც. ქართველთა ნახელავი არსებითად განსხვავდებოდა მათი თანადროული უცხოური ნაწარმისაგან და წარმოების მეთოდის საშუალებით ერთმანეთთან აკავშირებდა საქართველოში სხვადასხვა დროს, განვითარების სხვადასხვა საფეხურზე შექმნილ ობიექტებს. გელათის ოქრომჭედლობის სკოლა საოქრომჭედლო ხელოსნობის ტრადიციული მეთოდების თაობიდან თაობაზე გადაცემისა და ახალი საიუველირო ტექნიკის დანერგვის ადგილი იყო. ამ მიმართულებით საკმარისია დავასახელოთ XII საუკუნეში შექმნილი ხახულის ხატი.
- ობსერვატორია -ასტრონომიული, გეოფიზიკური და სხვა დაკვირვებების სპეციალური შენობა. მისი არსებობა დღევანდელი კრიტერიუმებითაც კი მეცნიერების მაღალგანვითარებულობაზე მეტყველებს.
- ქსენონი - სახლი ავადმყოფთათვის, სასნეულოსა და სამკურნალო დანიშნულების ადგილი. ასეთი ადგილის არსებობა აკადემიასთან მხოლოდ სნეულთა და დავრდომილთა თავშესაფარი კი არ იყო, არამედ მას სამედიცინო პრაქტიკისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა.

გელათის მეცნიერებათა აკადემიის ტრადიციაზე როდესაც ვსაუბრობთ, ეს არის წინა ეპოქებიდან დავით აღმაშენებლისა და, მის შემდგომ ხანაში, მემკვიდრეობით გადმოცემული განათლების მეთოდის სამეცნიერო იდეების, აზროვნების წესის, პროფესიული პრაქტიკის ინსტიტუციონალიზაცია, რომელთა არსებობა და მნიშვნელობა დასტურდება ისტორიული წყაროებით.

გელათის აკადემიის მნიშვნელობა საქართველოს განათლების ისტორიაში უდიდესია, რადგან ეს იყო პირველი სისტემატიზირებული საგანმანათლებლო, სამეცნიერო და გამოყენებითი კვლევების ცენტრი. უფრო ადრე, ცოდნის გადაცემა ზეპირმეტყველებით და პრაქტიკული უნარების დაუფლებით მიმდინარეობდა, მაგალითად: IV საუკუნეში ფაზისში არსებული ცოდნის გადაცემის სისტემა. ისტორიული წყაროებიდან ირკვევა, რომ ფაზისში ბერძნები ჩამოდიოდნენ ცოდნის მისაღებად. არის იმის ვარაუდიც, რომ ფაზისში განვიტარებული იყო სასამართლო მოხელეებისა და იურისტ-ორატორთა მომზადების რიტორიკული სკოლის პრაქტიკულ-პედაგოგიური საქმიანობა, საგანმანათლებლო სისტემა მოიცავდა შემდეგ ელემენტებს: გიმნასიონები, კითარისტთა სკოლა, პალესტრა, ეფებია. ფაზისში სწავლების მეთოდებისა და სისტემის საერთაშორისო მნიშვნელობაზე მიუთითებს ის ფაქტი, რომ ბაკურ დიდის შვილიშვილმა, პეტრე იბერმა (ძვ.წ V ს.), ქვეყნის გარეთ, სირიაში, ააშენა ქართველთა მონასტერი და შექმნა სკოლა, რომელმაც ორი უდიდესი სამონასტრო კომპლექსის დაარსებას მოუმზადა საფუძველი: X საუკუნეში, ქვეყნის გარეთ, ათონის ივერთა მონასტერს (საბერძნეთი, ათონის მთა) და პეტრიწონის აკადემიას(ბულგარეთი,).

გელათის აკადემიის პარალელურად ჩამოყალიბდა იყალთოს აკადემია. იყალთოს აკადემიის პირველი რექტორის, არსენ იყალთოელის ინიციატივით, იყალთოს აკადემიაში სწავლება ტრივიუმისა და კვადრიუმის სისტემას ეფუძნებოდა, ითარგმნებოდა მნიშვნელოვანი თხზულებები ბერძნულიდან, მრავლდებოდა ხელნაწერები, იქმნებოდა ძვირფასი ნუსხები. ისწავლებოდა ოქრომჭედლობა, კერამიკა („მეკეცეობა“), მევენახეობა-მეღვინეობა. მკვიდრდებოდა და ვითარდებოდა „გელათური აზროვნების“ პრინციპები.

გელათის აკადემიამ მე-16 საუკ უნემდე იარსება, მაგრამ ტრადიციები შემდეგ საუკუნეებშიც გაგრძელდა. ლიტერატურულ-მთარგმნელობით საქმიანობაში დანერგილმა ნოვაციებმა, სათანადო ტერმინოლოგიისა და სიტყვათწარმოების ბაზაზე სამეცნიერო-ფილოსოფიური ენის ჩამოყალიბებამ, გარკვეული შეფერხებების მიუხედავად, მაინც შესძლო, ქართულ სინამდვილეში, გზა გაეკაფა ახალი სააზროვნო პროცესებისათვის და, შუა საუკუნეების ჰუმანურ-რენესანსული მსოფლმხედველობით გაჯერებულ სულიერ-ინტელექტუალურ ცხოვრებაში ჩართვის საშუალება მიეცა.

ქუთაისის ისტორიული მუზეუმის ხელნაწერთა ფონდში 700-მდე ხელნაწერი წიგნია დაცული, ზოგიერთი მათგანის მნიშვნელობა სცილდება ჩვენი ქვეყნის ფარგლებს. მათი მეცნიერული ღირებულება ფასდაუდებელია არა მარტო საქართველოს ისტორიისა და

კულტურული წარსულის, შესასწავლად, არამედ მეზობელი და მახლობელი ქვეყნების კულტურის ისტორიის შესწავლისათვისაც. აკადემიის არსებობამ საქართველო უფრო მეტად დამოუკიდებელ და განვითარებულ ქვეყნად აქცია.

გელათის მეცნიერებათა აკადემიის ტრადიციის სიცოცხლისუნარიანობას ადასტურებს ის, რომ ერთიანი საქართველოს სამეფო–სამთავროებად საბოლოოდ დაშლის შემდგომაც, იგი ერთხანს ფეხზე იდგა; იმერეთის სამეფოს გაუქმების შემდეგ, გელათი გადაკეთდა საეკლესიო შტატის დაწესებულებად.

რუსეთის მიერ საქართველოს ფაქტობრივი ანექსიის შემდეგ, 1921 წლი-დან 1990 წლამდე, საქართველოში მოქმედებდა საბჭოთა განათლების სისტემა, სამეცნიერო სექტორში დაარსდა მეცნიერების მართვის ადმინისტრაციული სისტემა - მეცნიერებათა აკადემია. თუმცა უნდა ითქვას, რომ, იდეის მნიშვნელობიდან გამომდინარე, 1970 წელს ტრადიცია გელათის სახალხო აკადემიის ფორმით გაგრძელდა, სადაც ლექციებს კითხულობდნენ მსოფლიო მნიშვნელობის ქართველი და უცხოელი მეცნიერები. 1995 წლიდან კი გელათის მეცნიერებათა აკადემია აღდგა საქართველოს პატრიარქისა და სახელმწიფოს მეთაურის ერთობლივი აქტის საფუძველზე.

მემკვიდრეობის ძეგლად აღიარების კრიტერიუმების გათვალისწინებით, გელათის მეცნიერებათა აკადემიის მახასიათებლებია:

1. საზოგადოებრივი გამოცდილება და გარესამყაროსთან დაკავშირებული გამოცდილება;
2. ობიექტის თავდაპირველი ფუნქციები - სასულიერო-საერო განათლება, ტრივიუმისა და კვადრიუმის, ასტრონომიული, გეოფიზიკური და სხვა დაკვირვებათა თუ გამოყენებითი ხელოვნების (მხატვრობა, ფერწერის ოსტატობა, ოქრომჭედლური ხელოვნება) სფეროში ცოდნის გადაცემა; სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობა; ობსერვატორიული კვლევები; სამედიცინო პრაქტიკა; ხოლო ამჟამინდელი ფუნქციაა - სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობა, ცოდნის გადაცემა არაფორმალური გზით.

1995 წლის 5 აპრილს საქართველოს სახელმწიფოს მეთაურისა და საქართველოს პატრიარქის, ილია მეორის, ერთობლივი ბრძანებით აღდგა გელათის მეცნიერებათა აკადემია, რომელიც არის ბიბლიოგრაფიული და ქართველოლოგიური კვლევის სამეცნიერო დაწესებულება, საღვთისმეტყველო და სამეცნიერო (ჰუმანიტარული და საბუნებისმეტყველო) კვლევითი და საგანმანათლებლო ცენტრი. და ამით აღორძინება დაიწყო წმ. მეფე დავით აღმაშენებლის მიერ დაარსებული გელათის აკადემიის ტრადიციამ. აკადემიაში აირჩიეს 21 ქართველი წევრი და

უცხოელი აკადემიკოსები: იან ბრაუნი (პოლონეთი) იუსტ გიპერტი (გერმანია) ბერნარ უტიე (საფრანგეთი). 2003 წლის 7 იანვარს სახელმწიფომ, საქართველოს პრეზიდენტის განკარგულებით, ცნო სახელმწიფოს მეთაურისა და საქართველოს პატრიარქის ერთობლივი ბრძანება და სახელმწიფო დაწესებულებებს, გელათის მეცნიერებათა აკადემიასთან ურთიერთობებში, ამ აქტით ხელმძღვანელობა დაავალათ.

სამართლებრივი ფორმაა - საჯარო სამართლის იურიდიული პირი. მასზე არ ვრცელდება საქართველოს კანონი საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის შესახებ, დაფინანსების წყაროა- ქუთაისის მუნიციპალიტეტისა და საპატრიარქოს ბიუჯეტით.

აკადემიის საქმიანობის მიმართულებებია: ბიბლიოგრაფია, ეგზეტიკა, ღვთისმეტყველება, საეკლესიო სამართალი, ლიტურგიკა, ქრისტიანული ფილოსოფია, ქრისტიანული ანთროპოლოგია, პედაგოგიკა, ეთიკა, ესთეტიკა, ქრისტიანული კულტურა, საერო ლიტერატურა, ქართული ენა, ისტორია,

აკადემია შედგება ნამდვილი წევრების, საპატიო წევრების და უცხოელი წევრებისგან. აკადემიის ეგიდით გამოიცემა მისი წევრების მონოგრაფიები, ბიბლიოგრაფიები და სხვა; სამეცნიერო-კვლევით საქმიანობაში ჩართულნი არიან ახალგაზრდა მკვლევარები. გარდა ამისა, ცოდნის გადაცემა ხდება ისეთი ფორმებით, როგორიცაა: საკვირაო სკოლები, ახალგაზრდა მეცნიერთა კონფერენციები და სხვა. აკადემიის სისტემური გამოცემებია: გელათის მეცნიერებათა აკადემიის შრომები; გელათის მეცნიერებათა აკადემიის ჟურნალი, გელათის მეცნიერებათა აკადემიის უწყებანი (შეწყვეტილია);

გელათის მეცნიერებათა აკადემიის კულტურულ მემკვიდრეობის ძეგლად გამოცხადებას ერთი თავისებურებაც გააჩნია. ეს ისეთი ობიექტია, რომლის დაცვის უზრუნველყოფა მატერიალურ რესურს საჭიროებს. ამიტომ, ობიექტების თავისებურებებიდან გამონდინარე, სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს ფინანსური რესურსის მობილიზაცია მსგავსი ტიპის ძეგლების შესანახად. უფრო მეტიც, ჩამოთვლილი თავისებურებები ობიექტის უნიკალურობას განსაზღვრავს, რაც საშუალებას იძლევა ნომინირებული იქნეს იუნესკოს კულტურული მემკვიდრეობის ნუსხაში.

## 4.2. Terra Rossa (წითელმიწა ნიადაგი) საქართველოში, როგორც კულტურული მემკვიდრეობის ობიექტი მიწის მდგრადი მმართვის სახელმწიფო პოლიტიკაში

ნიადაგი მატერიალური ობიექტია, მაგრამ არამატერიალურ კატეგორიაში, ჩვენ ვგულისხმობთ, ნიადაგთან დაკავშირებულ, ანუ დედამიწაზე ორგანული სიცოცხლის შემნარჩუნებლის“ კონტექსტური ცოდნის ტრადიციას. ნიადაგს აქვს მემკვიდრეობითი მახასიათებლები და შესაძლებელია მათი კლასიფიცირება "კულტურული ღირებულების" მიხედვით, როგორც კონსერვაციის მდგომარეობის, რისკის ტიპის და ინტენსივობის შეფასება, ცოდნის დონის განსაზღვრა, (გეოლოგიური ასაკი, დაცვა, ხელმისაწვდომობის ფარგლები, ხილვადობა, ექსპოზიციურობა). ამ მიმართულებით ჩვენს მიერ შემოთავაზებული ნიადაგის არქივის იდეა ამ სფეროში სახელმწიფო მართვის ერთ-ერთ ინსტრუმენტად მიგვაჩნია. ამასთან, ამ მიდგომის განვითარბის იდეა ნაკარნახევია ევროკავშირის კულტურული მემკვიდრეობის 2018 წლის ევროპული დღის წესრიგიდან, რომელიც ეხება ნიადაგის შესახებ გარემოსდაცვითი, სოციალური და ეკონომიკური ცოდნის მნიშვნელობას.

საქართველო მცირემიწიანი ქვეყანაა, სადაც ნიადაგის დაცვის პრობლემა დიდ მნიშვნელობას იძენს. ეროზიული პროცესების, ნიადაგის დანაგვიანების, მეორადი დაჭაობების და დამლაშების, სასარგებლო წიაღისეულისა და საშენი მასალების ღია წესით მოპოვების, ადამიანის არასწორი სამეურნეო საქმიანობის შედეგად დიდია ნიადაგის დანაკარგები. ამიტომ, ნიადაგის დაცვა სახელმწიფოებრივი პრობლემაა, მისი სწორი და რაციონალური გამოყენება საქართველოს სოფლის მეურნეობისა და საერთოდ ეკონომიკის დინამიკური განვითარების მთავარი რეზერვია.

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს კანონმდებლობა გარკვეულწილად არგეულირებს სახელმწიფოს მოვალეობას და პასუხისმგებლობას ნიადაგის დაცვისა და ეკოლოგიურად სუფთა პროდუქციის წარმოების პირობების შესაქმნელად, მაინც რჩება საკითხთა წრე, რომელიც ამ მიმართულებით მართვას არაეფექტურს ხდის.

თუ ნიადაგებთან დაკავშირებულ თეორიულ მიდგომებს გადავხედავთ, ნათელია: ნიადაგებს უმეტესად აქვთ მემკვიდრეობის მახასიათებლები და შესაძლებელია მათი კლასიფიკაცია "კულტურული ღირებულების" მიხედვით. ეს პროცესი მნიშვნელოვანია მეცნიერებისა და ექსპერტებისთვის, ტურიზმის, დასვენების და მიწათსარგებლობის კვლევის დარგში. ამასთან, განსხვავებული ნიადაგების სიმდიდრე და მრავალფეროვნება ტერიტორიის რესურსია, რომელიც უნდა შეფასდეს და განიხილებოდეს მიწის დაგეგმვის პროცესში. ამ მიმართულებით შეფასებისა და

დაჯგუფების მეთოდოლოგია უკვე არსებობს ევროპის ქვეყნებში, რომელიც გამოიყენება კონკრეტული გეომონაცემთა ბაზის შესაქმნელად.

რ. ბოტელოს (Botelho R, 2002) აზრით, ნიადაგის პროფილების კულტურულ მემკვიდრეობად კლასიფიკაციის ეტალონებია: პალეოზოლები, არქეოლოგიური და პალეონტოლოგიური ადგილების ნიადაგები, ბუნებრივი ან ანთროპული პროცესების შემცველი ნიადაგები, კულტურული ლანდშაფტები; ნიადაგის პეიზაჟები, რომლებიც ხელს უწყობენ კონკრეტული ეკოსისტემების გადარჩენას და სხვა.

აღსანიშნავია, რომ კონკრეტული ნიადაგი შეიძლება იყოს ბუნებრივი ფენომენი, იშვიათი, უნიკალური სტრუქტურითა და მახასიათებლებით, ან უბრალოდ ინარჩუნებდეს ზოგიერთ ბუნებრივ ელემენტს (ბიოლოგიურ ფენომენს) და დაცული იყოს განადგურებისგან. ასეთ ადგილებს „ნიადაგის არქივი" შეიძლება ვუწოდოთ. „ნიადაგის არქივის" ფუნქცია გარკვეულწილად დამოკიდებულია ნიადაგის მცირე პარამეტრებზე. ეს პარამეტრები შეიძლება ერთმანეთისგან განსხვავდებოდეს. მეცნიერთა მიერ აღწერილი ნიადაგის ყველაზე მნიშვნელოვანი თვისებები, რომლებიც იშვიათობის პირობებს ქმნიან, შემდეგია: ნიადაგის სიღრმე, მჟავიანობა, ტექსტურა, წყლის შეკავების უნარი, წყლის გაჯერება, გამტარიანობა, საკვები ნივთიერებები და სხვა (თ. ურუშაძე, 2020). ნიადაგის თვისებებმა შეიძლება ხელი შეუწყოს სტაბილურ პირობებს და დარჩენილი მემკვიდრეობის შენარჩუნებას.

ისმება კითხვა: რატომ უნდა გამოცხადდეს კულტურულ მემკვიდრეობად ნიადაგის რესურსი და რატომ უნდა შეიქმნას ნიადაგის არქივი?

ამ კითხვაზე პასუხი რამდენიმე მიმართულებით შეიძლება ჩამოვაყალიბოთ:

1. ნიადაგის უნარს, განახორციელოს საარქივო ფუნქცია, ხშირად ემუქრება განადგურება ან თუნდაც მიწათსარგებლობით გამოწვეული ცვლილები. მაგალითად, როგორიცაა სამშენებლო ინფრასტრუქტურა და სხვა. (საველე ნიადაგმცოდნეობა, 2016)

2. ზოგადად, კლიმატის ცვლილებამ შეიძლება გავლენა მოახდინოს ნიადაგის არქივის ფუნქციონირებაზე: ეროზია, ორგანული ნივთიერებების ამოწურვა, წყალდიდობა, მეწყერი და ა.შ. (Tengiz F. Urushadze, Winfried E. H. Blum, 2014;)

3. მართალია, არ არსებობს არც რაოდენობრივი და არც ადამიანური (ეკოლოგიური) მოთხოვნა ნიადაგის ე.წ არქივის შექმნაზე, თუმცა, ადამიანები კულტურული არტეფაქტითა და ბუნებრივი ფენომენებით დამატებითი ცოდნასა და სარგებელს იღებენ; ამიტომ, ნიადაგის არქივი მართვის კარგი ინსტრუმენტია;

4. აქტუალურია სასოფლო-სამეურნეო წარმოებისთვის ნიადაგების მნიშვნელობაზე საუბარი, მაგრამ ნაკლებადაა გააზრებული ნიადაგების დაცვის აუცილებლობა - „ინფორმაციის კონტეინერების“ და „დედამიწაზე ორგანული სიცოცხლის შემნარჩუნებლების“ როლის გათვალისწინებით.

აქედან გამომდინარე, იშვიათ ნიადაგებს აქვთ მემკვიდრეობითი მახასიათებლები და შესაძლებელია მათი კლასიფიცირება „კულტურული ღირებულების" მიხედვით. ამ მიმართულების კვლევები შედარებით ნაკლებია. თუმცა გვხვდება წინადადება ნიადაგების მემკვიდრეობად აღიარების კრიტერიუმების შესახებ. ესენია:

1. ნიადაგის პროფილები (Botelho, 2022), როგორც კულტურული მემკვიდრეობა: პალეოსოლები, ვეტუზოლები; თეარქეოლოგიური და პალეონთოლოგიური ადგილების ნიადაგები. ზოგიერთი ნიადაგის პროფილი შეიცავს ინფორმაციას გარემოსდაცვითი ან კულტურული სიტუაციების შესახებ, მაგრამ ეს, როგორც წესი, შეზღუდულია.

2. ნიადაგის პროფილები შეიძლება ემთხვეოდეს მიწა-ლანდშაფტებს (Costantini, 2023). როგორც კულტურული მემკვიდრეობა: ნიადაგ-ლანდშაფტები კულტურული მემკვიდრეობის ნაწილია, სადაც ნიადაგის მახასიათებლები, საწარმოო პოტენციალი და სასოფლო-სამეურნეო ლანდშაფტი ურთიერთდაკავშირებულ ფაქტორებს წარმოადგენენ;

3. ნიადაგები ქმნიან პანორამის ნაწილს, რაც ხელს უწყობს ლანდშაფტის მიმზიდველობას. (De Angeli, Battistin, Serpetti, Di Iorio, & Moresi, 2020).

ამ კონტექსტის გათვალისწინებით, გვინდა საკითხი დავსვათ საქართველოს წითელმიწა ნიადაგის (Terra rossa) კულტურული მემკვიდრეობად აღიარების თაობაზე.

კლასიკური მიდგომა კულტურული მემკვიდრეობის მართვის სფეროში გულისხმობს კონცეფციას, რომ მემკვიდრეობა ქვეყნების მოსახლეობის კულტურული ტრადიციების მატარებელია, დაცვის მიზანს წარმოადგენს მისი თაობიდან თაობაზე გადაცემა, კულტურული თვითმყოფადობისა და „კულტურული მრავალფეროვნების“ უზრუნველყოფა. ევროპის საბჭოს მიერ 2005 წ. მიღებული ე.წ. ფაროსის კონვენცია - „საზოგადოებისათვის კულტურული მემკვიდრეობის მნიშვნელობას“ ეხება.[15] ამ კონვენციით ხელმომწერ სახელმწიფოებს კულტურული მემკვიდრეობისა და ეკონომიკური საქმიანობის ერთობლივი ვალდებულება წარმოეშობათ. სახელმწიფოთა ეს ვალდებულება გულისხმობს კულტურული მემკვიდრეობის, როგორც მდგრადი

[15] საქართველო ამ კონვენციას 2011 წლის ორ აპრილს მიუერთდა,

ეკონომიკური განვითარების ფაქტორის გამოყენებას. ისიც ფაქტია, რომ ეკონომიკური პოლიტიკის განსაზღვრისას გათვალისწინებული უნდა იყოს კულტურული მემკვიდრეობის სპეციფიკური ხასიათი და ინტერესები. ამიტომ, მიწა როგორც ეკონომიკური კატეგორია, იშვიათი ნიადაგები, როგორც ბიომრავალფეროვნების ობიექტი და გარემოზე ზემოქმედების რისკები, ის ელემენტებია, რომლებიც კულტურული მემკვიდრეობის მართვის სფეროში უნდა მოექცეს.

საქართველო ცნობილია ნიადაგის საფარის მრავალფეროვნებით და ნიადაგმცოდნეებს მისი პედოსფეროს შესწავლა მუდამ აინტერესებდათ. წითელმიწა ნიადაგები კინტრიშის ხეობის მაგალითზე პირველად დიმიტრი გედევანიშვილმა (1912) შეისწავლა. მიხეილ საბაშვილის (1936, 1948) შრომებში მოცემულია წითელი მიწების სხვადასხვა ვარიანტის დახასიათება და მათი გეოგრაფიული გავრცელების კანონზომიერებანი. ამ ნიადაგების ფიზიკური თვისებები, ჰიდროთერმული რეჟიმი, ნიადაგური წყლების შედგენილობა შესწავლილი აქვს მიხეილ დარასელიას (1935, 1939, 1949, 1974). საქართველოს წითელმიწებს მონოგრაფიული ნაშრომები უძღვნეს ანა რომაშკევიჩმა (1974) შაქრო ფალავანდიშვილმა (1987) და სხვებმა . [16]

ბოლო წლებში, მეცნიერები განსაკუთრებით დაინტერესდნენ წითელი ფერის ნიადაგების კვლევებით, რომლებიც გვხვდება ნოტიო სუბტროპიკულ ზონაში. როზა ლორთქიფანიძის, თამარ ქვრივიშვილისა და სხვათა (Rosa Lortkipanidze, Tamar Kvrivishvili, and other, 2018) ნაშრომებში ხაზგასმულია, რომ წითელმიწა ნიადაგის ნაირსახეობას წარმოადგენს Terra Rossa, რომლებიც განაწილებულია ფრაგმენტულად და წარმოიქმნება კარბონატულ ძირითად მასალებზე დაყრდნობით. ნიადაგების ეს სახეობა „წითელი წიგნის" იშვიათ ჯგუფს განეკუთვნება, მის ფორმირებაში გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება კლიმატის ფაქტორს და არა ძირითადი მასალის ბუნებას.

Terra Rossa-ს აქვს საოცრად კარგი სადრენაჟი მახასიათებლები. ეს ნიადაგი პოპულარულია ღვინის საწარმოებლად. მაგალითისთვის შეიძლება დავასახელოთ ტერა-როსაზე განვითარებული ღვინის რეგიონი - ლა-მანჩა - ესპანეთში და კუნავარა, ფლერიე და ბაროსის ხეობა - ავსტრალიაში. Terra Rossa გავრცელებულია იტალიაში, ესპანეთში, საფრანგეთში, საბერძნეთში, ჩინეთში, აშშ-ში, ავსტრალიაში და სხვა. (Costantini EA, 2009)

---

[16] იხ.: მ. საბაშვილი. საქართველოს სსრ ნიადაგები : [მონოგრაფია], თბილისი, მეცნიერება, 1965; Ромашкевич А. И. Почвы и коры выветривания влажных субтропиков Западной Грузии, М., 1974; Dmitrievna LA. The ecological study of the soil conditions in the Kislovodsky National Park cultural heritage site, 2015, 213-2014; 7. Rosa Lortkipanidze, Tamar Kvrivishvili, and other - Peculiarities of red color soils introduced in the Red Book of the Soils of Georgia// Annals of Agrarian Science, Vol. 16, 2018, pp 55-59

რას გულისხმობს იშვიათი ნიადაგის Terra Rossa-ს, როგორც კულტურული მემკვიდრეობის დაცვის პროცესის მართვა?[17]

პირველ რიგში ეს არის კონსერვაციის მდგომარეობის, რისკის ტიპის და ინტენსივობის შეფასება, ცოდნის დონის განსაზღვრა, (გეოლოგიური ასაკი, დაცვა, ხელმისაწვდომობის ფარგლები, ხილვადობა, ექსპოზიციურობა), მონაცემთა ბაზის გაკეთება. რომელიც შეიძლება გამოყენებულ იქნას სხვადასხვა მასშტაბით ეროვნულ და ადგილობრივ დონეზე. შემდეგ კი ამ ბაზების მიხედვით სარგებლიანობის მეთოდის შემუშავება და ინტეგრირებული გეოპარკების შექმნა.

შემდეგი ნაბიჯია ნიადაგის მგრძნობელობისა და შესაბამისად დაუცველობის შეფასება. აქ ყურადღება უნდა მიექცეს არასათანადო გამოყენების რისკებს. ამ შემთხვევაში ტერმინი „ნიადაგის კონსერვაცია" დაკავშირებულია „მდგრადი გამოყენების" ტერმინთან. არსებითი განსხვავება არ არის ნიადაგის გამოყენებასა და ნიადაგის კონსერვაციას შორის, რადგან ორივე შემთხვევაში მხედველობაში მიიღება მათი „სარგებლიანობა".

ნიადაგის, როგორც „რესურსის" კონცეფციის მიხედვით, ნიადაგებს გააჩნიათ კულტურული ღირებულება და ცოდნა ნიადაგების მართვის შესახებ, დაცული უნდა იყოს, როგორც „ინფორმაციის კონტეინერი" და როგორც „დედამიწაზე ორგანული სიცოცხლის მხარდამჭერი". სპეციფიური ნიადაგები უკვე არამარტო ნიადაგმცოდნეთა სამეცნიერო ინტერესს წარმოადგენენ, არამედ საჯარო მართვის ობიექტიც გახდა. მაგალითად, იტალიაში ისინი შეიტანეს დაცული ტერიტორიების შესახებ ნორმატიულ აქტებში (კანონი: 394, 6.12.1981), რადგან „საუკეთესო შემთხვევაში აჩვენებენ ბუნებრივ პროცესებს" და პედოგენეტიკურ პროცესებს (Costantini EA, 2009, p.145). ეს იმით იყო გამოწვეული, რომ ათასწლიანმა კულტივაციამ და ტერასირებამ, იტალიაში ნიადაგების ეროზია და შემადგენლობის გადაწყობა გამოიწვია. ასეთი ვითარება ზრდის ნიადაგის კულტურულ ღირებულებას. შეიცავს უფრო დიდ ინფორმაციას და იმსახურებს მისი შენარჩუნების სპეციალური ღონისძიებების შემუშავებას.

კულტურული მემკვიდრეობა მნიშვნელოვანი ეკონომიკური რესურსია ისეთი ქვეყნებისთვის, როგორიც საქართველოა, სადაც ერთ-ერთი მთავარი ღირსშესანიშნაობაა ნიადაგის უნიკალური შემადგენლობა და მისი მრავალფეროვნება. ამ მიმართულებით ნიადაგის როლი ზოგადად არ არის აღიარებული. თუმცა, ბოლო წლებში, გარემოზე ზემოქმედების ანალიზთან

[17] ეს საკითხი პროფესორ მარიამ ცაცანაშვილის მიერ სადისკუსიოდ იქნა გატანილი მეორე საერთაშორისო სამეცნიერო- პრაქტიკულ კონფერენციაზე „ახალი ინიციატივები", რომელიც გაიმართა ქუთაისში აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში, 2022 წლის 12-19 ნოემბერს.

დაკავშირებული პროცედურების შემუშავებამ, აიძულა ლანდშაფტის დამგეგმავები, გაითვალისწინონ ყველა შესაძლო ფაქტორი, რომელიც გავლენას ახდენს ადგილის ღირებულებებზე, მათ შორის არა მხოლოდ წარმოებასთან, არამედ კულტურულ ასპექტებთან მიმართებაში. ვინაიდან ნიადაგი არის ერთ-ერთი გარემოსდაცვითი მახასიათებელი, მისი ეფეტურად მართვის მიზნით, უნდა შეიქმნას „ნიადაგის არქივი“. ეფექტურად მართულ და კარგად დაცულ ნიადაგ-ლანდშაფტებს შეუძლიათ ტერიტორიის ტურისტული ღირებულების გაზრდა. საქართველოში Terra Rossa-ს უნიკალურობა, და ზემოქმედების რისკები საფუძველს იძლევა ამ ნიადაგის ლანდშაფტი გამოცხადდეს კულტურულ მემკვიდრეობად.

# თავი 5
# ახალი გამოწვევები და ციფრული ტექნოლოგიების შესაძლებლობები არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის მართვაში

## 5.1. ციფრული ტექნოლოგიების დანერგვის მეთოდური საფუძვლები არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სფეროში

არამატერიალური ობიექტების ფიქსაციიდან ციფრულ კულტურაზე გადასვლა სერიოზულ გამოწვევას წარმოადგენს კულტურული მემკვიდრეობის დაცვისა და შენარჩუნების მართვის პროცესში. მემკვიდრეობის „დაცვა“ გარდა დოკუმენტგირებისა, მოიცავს არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის (ICH) სიცოცხლისუნარიანობის უზრუნველსაყოფისკენ მიმართულ ისეთ ზომებს, როგორიცაა: იდენტიფიკაცია, კვლევა, შენარჩუნება, ხელშეწყობა, გაუმჯობესება და გადაცემა, განსაკუთრებით ფორმალური და არაფორმალური განათლების გზით, ისევე როგორც ასეთი მემკვიდრეობის სხვადასხვა ასპექტების აღორძინება.

არამატერიალური მემკვიდრეობის დაცვის შესახებ UNESCO-ს კონვენციის მესამე თავი განმარტავს, რომ კონვენციის თითოეულ მონაწილე სახელმწიფოს აქვს საკმარისი მრავალფეროვნება, რომელიც აკმ-ს ინვენტარიზაციის მომზადებას ითხოვს. უფრო მეტიც, ეროვნული მთავრობები პასუხისმგებელნი არიან კულტურული ფასეულობების მომავალი

თაობებისათვის გადაცემაზე. აკმ აქტივების ინვენტარიზაციამ ხელი უნდა შეუწყოს ადეკვატური დაცვის განხორციელების მექანიზმების შემუშავებას.

ეჭვგარეშეა, რომ ციფრულმა ტექნოლოგიებმა რევოლუციიური გარდატეხა მოახდინა მეცნიერებისა და საზოგადოების კულტურული მემკვიდრეობის ხელმისაწვდომობაზე. საერთაშორისო საზოგადოებები და არასამთავრობო ორგანიზაციები, როგორიცაა UNESCO (გაეროს განათლების, მეცნიერების და კულტურის ორგანიზაცია) და ICOM (მუზეუმების საერთაშორისო საბჭო), აღიარებენ არამატერიალური ობიექტების დაცვის მნიშვნელობას (Ferrer, 2020). გასათალისწინებელია ის ფაქტი, რომ "არამატერიალურობის" თანდაყოლილი მახასიათებლისა და გლობალური სოციალური ტრანსფორმაციის გამო, აკმ-ს დაკარგვისა და დეგრადაციის რისკი დიდია. (UNESCO, Text) ფაქტია, რომ არამატერიალური ობიექტის არსებობა არ შეიძლება გაგრძელდეს და თაობიდან თაობაზე გადაეცეს საჯარო მართვის პირდაპირი ჩარევის გარეშე. ამის დადასტურებაა ბოლოდროინდელი სამეცნიერო სტატიები, რომლებშიც ციფრული გამოფენების თუ მუზეუმების კონცეფციები და შემთხვევებია გაანალიზებული.

ციფრული მუზეუმის კონცეფცია და როლი პირველად ჯონ პარკმა (Park, 2014) განსაზღვრა 2014 წელს, ხოლო ჰ. ლიმ (Lee, 2016) 2016 წელს ხაზი გაუსვა თანამედროვე ტექნოლოგიების ადაპტაციის იდეას და ციფრული ტექნოლოგიების მნიშვნელობას არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სფეროში.

პრობლემა ის არის, რომ კულტურული ობიექტების ცნებები დაკავშირებულია დროსა და გეოგრაფიულ მდებარეობასთან. ისინი შეიძლება განვითარდნენ დროში და განსხვავებული მნიშვნელობა შეიძინონ სხვადასხვა ადგილის მიხედვით. ამიტომ, აქამდე შემუშავებულ საკვანძო სიტყვებზე დაფუძნებული და სემანტიკურად ორიენტირებული ძიების მეთოდები, მონაცემების უზუსტობის გამო, ეფექტური აღარ არის.

თუ ამ პრობლემას საქართველოს სინამდვილეში განვიხილავთ, ნიშანდობლივია, რომ ხელისუფლება, ნორმატიულ დონეზე, კულტურული მემკვიდრეობის საერთაშორისოდ აღიარებულ სტანდარტებს ითვალისწინებს. საქართველოს მთავრობის 2016 წლის N 303 დადგენილებით დამტკიცენული „კულტურის სტრატეგია 2025“ მატერიალური და არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის შენარჩუნებისა და საზოგადოებისთვის მისი ხელმისაწვდომობის გაზრდის უზრუნველსაყოფად კულტურის ციფრულ სივრცეში ინტეგრაციას და გაციფრულების პროცესის აქტიურ მხარდაჭერას ითვალისწინებს.

ამ კონცეფციის დანერგვის უზრუნველსაყოფად გასათვალისწინებელია არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ობიექტების თავისებურება, რაც მათი რეპროდუქციულობის გარკვეულ სპეციფიკას გულისხმობს. კერძოდ: „ცოცხალი“ ტრადიციის ბუნების, მისი უწყვეტობის და დინამიკის შენარჩუნება მხოლოდ ახალ სამუზეუმო ფორმატშია შესაძლებელი.[18] სწორედ „ღია ცის ქვეშ“ მოწყობილ მუზეუმებსა და ეკო-მუზეუმებში ხდება გარკვეული ტრადიციების უწყვეტი ბუნებრივი რეპროდუქცია. ხშირად, ეს მუზეუმები ისეთ ადგილებშია განთავსებული, სადაც მოხვედრა რთულია. ამიტომ, მუზეუმების მართვის სისტემაში, დღის წესრიგში დგება არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სფეროში, ახალი ტექნოლოგიების დანერგვისა და ინტერდისციპლინური მეთოდების გამოყენების საჭიროება. ზუსტი მეცნიერებებისა და საინფორმაციო ტექნოლოგიების დანერგვის შესაძლებლობები კულტურის მართვის სფეროში, სამუზეუმო მეცნიერების ისეთი დამოუკიდებელი მიმართულებების განვითარებასთან არის დაკავშირებული, როგორიცაა: სამუზეუმო პედაგოგიკა, მენეჯმენტი, მარკეტინგი, სამუზეუმო ინფორმატიკა.

ბოლო წლებში საქართველოს რამდენიმე მუზეუმში შეიქმნა ინფორმატიკის სპეციალური განყოფილებები, რომლებიც ელექტრონული კატალოგების ფორმირებით, ვირტუალური მონაცემების დამუშავებით, ინფორმაციისა და მულტიმედიური პროდუქტების შექმნით არიან დაკავებულები. ამ პროცესზე დაკვირვებით ვლინდება, რომ თანამედროვე ტექნოლოგიური მიღწევები სრულფასოვნად არ არის ჩართული დაცვის პროცესში და მათი გამოყენება ფრაგმენტული ხასიათისაა.

თუ საერთაშორისო დონეზე ამ მიმართულებით არსებულ კონცეპტუალურ მიდგომებს გავაანალიზებთ, ცხადი ხდება, რომ კულტურული მემკვიდრეობის გაციფრულების იდეა 21-ე საუკუნის დასაწყისიდან მოდის. ციფრული მემკვიდრეობის დაცვის ქარტიის პირველი მუხლი, რომელიც 2003 წელს, UNESCO-ს გენერალური კონფერენციის 32-ე სესიაზეა მიღებული, ელექტრონული რესურსების უნივერსალურობის სასარგებლო აქცენტებს აკეთებს: მუდმივად მზარდი ციფრული მემკვიდრეობა შეიძლება არსებობდეს ნებისმიერ ენაზე. მსოფლიოს ნებისმიერ კუთხეში, რომელიც ეხება ადამიანის ცოდნის ნებისმიერ სფეროს და გამოხატვის საშუალებას. ამ აქტის იმპლიმენტაციის პროცესის სასარგებლოდ უნდა ითქვას, რომ საერთაშორისო დონეზე

---

იხ.: საქართველოს მთავრობის 10.07.2016 წ. დადგენილება 303, კულტურის სტრატეგია 2025 - ის დამტკიცების შესახებ, საკანონმდებლო მაცნე, https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/3328805?publication=0

ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები აღიარებულია, როგორც კულტურული მემკვიდრეობის (CH) მართვის ეფექტური საშუალება, რაც ამ ობიექტის დაცვისა და სარგებლიანობის ახალ შესაძლებლობებს ზრდის.[19] არქივებს გააჩნიათ ციფრული ასლების შექმნისათვის საჭირო ინსტრუმენტები სკანირებით დაწყებული, ფოტოგრაფიითა და 3D ფოტოგრამეტრიით გაგრძელებული.

რაც შეეხება არამატერიალური მემკვიდრეობის გაციფრულების პროცესს, უნდა ითქვას, რომ მსოფლიო პრაქტიკაში წარმატებით ხორციელდება ციფრული პროექტები, რომლებიც მოიცავს ტრადიციულ ცეკვებს, ხალხურ სიმღერას, ოსტატობას, და თანამედროვე მუსიკალური კომპოზიციას.[20]

არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის შესახებ სამეცნიერო ლიტერატურის მიმოხილვა ცხადჰყოფს, რომ კვლევების უმეტესობა ფოკუსირებულია მათ ტრადიციულ ასპექტებზე, კერძოდ, აკმ-ს კონცეფციებზე, შესრულების ფორმებსა და მახასიათებლებზე, მათ შორის ეკონომიკურ, ადამიანურ, ისტორიულ და თანამედროვე სოციალურ ღირებულებებზე.(Schreiber, 2017)

ციფრული ტექნოლოგიების პირობებში, კულტურულ მემკვიდრეობის შენარჩუნება და გადაცემა, სხეულის მოძრაობისა და ჟესტიკულაციის ფიქსაციის პრობლემას უკავშირდება. ამ მიმართულებით ლიტერატურა საკმაოდ მწირია. ტრადიციული ცეკვების შენარჩუნების წარსული მცდელობები ძირითადად ეყრდნობოდა ცეკვის მცოდნეების არაფორმალურ ინტერვიუებს. მოგვიანებით, კომერციული ეფექტის გათვალისწინებით, შეიქმნა საცეკვაო აპლიკაციები (Barakou and others, 2017), როგორიცაა ცეკვის ანიმაცია და ვიზუალიზაცია, ქორეოგრაფიის დაგეგმვა, შესრულების გაძლიერება, და სხვა. ეროვნული ცეკვების ფიქსაციის მიზნით, დაინერგა მოძრაობის ე.წ. „დაჭერის“ ტექნოლოგიები, თუმცა, მათ აკლიათ ძირითადი დეტალები და ინფორმაცია

---

[19] იუნესკოს 2003 წლის კონვენცია არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის დაცვის შესახებ გვთავაზობს ხუთ ფართო „დომენს“, რომელშიც ვლინდება არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობა: ზეპირი ტრადიციები და გამონათქვამები, მათ შორის ენა, როგორც არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის საშუალება;საშემსრულებლო ხელოვნება;სოციალური პრაქტიკები, რიტუალები და სადღესასწაულო ღონისძიებები; ცოდნა და პრაქტიკა ბუნებასა და სამყაროს შესახებ; ტრადიციული ოსტატობა. - https://ich.unesco.org/en/intangible-heritage-domains-00052

[20] იხ.: Matt Delbridge. 2015. Motion capture in performance: an introduction. Springer. Swati Dewan, Shubham Agarwal, and Navjyoti Singh. 2018. Spatio-temporal Laban features for dance style recognition. In 2018 24th international conference on pattern recognition (ICPR). IEEE, 2911ś2916; Kosmas Dimitropoulos, Sotiris Manitsaris, Filareti Tsalakanidou, Spiros Nikolopoulos, Bruce Denby, Samer Al Kork, Lise CrevierBuchman, Claire Pillot-Loiseau, Martine Adda-Decker, Stephane Dupont, et al. 2014. Capturing the intangible an introduction to the i-Treasures project. In 2014 international conference on computer vision theory and applications (VISAPP), Vol. 2. IEEE, 773ś781].

(Georgopoulos, 2018). მ. მულინმა (Mullin, 2014) შეისწავლა 183 იამაიკელი მოცეკვავის მონაცემთა ბაზები. იმ მოტივით, რომ გაერკვიათ, ვლინდება თუ არა ცეკვაში შემსრულებელთა ფენოტიპური ან გენოტიპური მოვლენები. კვლევამ აჩვენა, რომ არსებობს ძლიერი, დადებითი ასოციაციები სიმეტრიასა და ცეკვის ილეთს შორის. ამ კვლევის მიზანი ცეკვის შენარჩუნება კი არ არის, არამედ მისი შესწავლაა. მიუხედავად ამისა, იგი იძლევა ფუნდამენტურ შესაძლებლობებს, ახალი ამოცანის დასმის შემთხვევაში, როგორც რ. რეშმა და ბ.კანანი (Reshma, Kannan, Raj & Shailesh, 2023) ირწმინებიან, შესაძლებელია მოხდეს მოცეკვავეთა მონაცემთა ბაზების გაფართოვება კულტურული მემკვიდრეობის დაცვის კონტექსტით.

ციფრული ტექნოლოგიების გაჩენამ გარდაქმნა ტრადიციული საკომუნიკაციო გარემო და უფრო მნიშვნელოვანი როლი შეასრულა აკმ-ს კომუნიკაციასა და მის დაცვაში. მიუხედავად ამისა, აკმ-ს ციფრული კომუნიკაციის შესახებ კვლევები შედარებით მწირია. მიდგომა ერთია: ესაა ციფრული გამოხატვის, ვირტუალური მუზეუმის გამოფენისა და ციფრული სიუჟეტების მოწყობის სტრატეგია.

რამდენად ეფექტურია ამგვარი მოდგომა? აკმ-ს საკომუნიკაციო ეფექტები გამოკვლეულია ტექნოლოგიების მიღების მოდელის (TAM) საფუძველზე, რომელიც გვთავაზობს აკმ-ს ციფრული გავრცელების მექანიზმის პარადიგმას. (Szmelter, 2019) თუმცა, აკმ-ს საკომუნიკაციო ეფექტების შეფასების სისტემა არ არის ბოლომდე დასრულებული. ვფიქრობთ, რომ ეფქტურობას უზრუნველყოფს ტრადიციული ცეკვების შემსრულებელთა მონაცემთა ბაზების სამუზეუმო სივრცეში გამოყენების ორგანიზება.

ამ თეზისის დასადასტურებლად საინტერესოა საერთაშორისო პრაქტიკა, რომელიც ცხადჰყოფს ციფრული ინოვაციების ორგანიზაციული ლოგიკის ეფექტურობას მუზეუმების სტრატეგიულ მენეჯმენტში. კერძოდ, მონაცემების შეგროვება ხდება მუზეუმების ვებსაიტებიდან, სოციალური მედიიდან, ონლაინ ინსტიტუციონალური კომუნიკაციებიდან და ონლაინ წლიური ანგარიშებიდან. წარმატებულ მაგალითად შეიძლება დასახელდეს ტურინი, რადგან ეს ქალაქი პოსტინდუსტრიული პროცესის მონაწილეა და მთავარ როლს ასრულებს იტალიის კულტურული მემკვიდრეობის ტურიზმის განვითარებაში. როგორც დე ბერნარდი (De Bernardi, 2019,p.123) ამბობს, ორ ათეულ წელიწადში რამდენადმე გაიზარდა მუზეუმების რაოდენობა. ამ მუზეუმებში მოქმედებს ციფრული ინოვაციების ჰოლისტიკური მიდგომა. თუმცა, ორგანიზაციული მართვის სისტემები ჯერ კიდევ სუსტია. ეს გამოწვეულია არა მხოლოდ ფინანსური რესურსების უკმარისობით, არამედ მენეჯერული და ორგანიზაციული წარუმატებლობებით. ამ

მიმართულებით, თანამედროვე მენეჯმენტში, აქტიურად უნდა იყოს ჩართული ინტერნეტი და სოციალური მედიის ბიზნესმოდელები, ეს გააფართოვებს და გარდაქმნის მუზეუმის ტრადიციულ ფუნქციებს. ამ ორგანიზაციული ამოცანის გადაჭრას ხელს შეუწყობს IoT-ის (ე.წ. ნივთების ინტერნეტი) გამოყენება, რომელიც „ჭკვიანი“ სახლის ტექნოლოგიის სინონიმია.

### 5.2. ტექნოლოგიების ტრანსფერი არამატერიალური მემკვიდრეობის დაცვის სფეროში

#### 5..2.1. IoT ტექნოლოგია და "ჭკვიანი სახლის" კონვეფცია.

IoT - ტექნოლოგია არის "ჭკვიანი სახლის" კონცეფციასთან დაკავშირებული პროდუქტი. მ. ალდოსარის (Aldossari, 2020) განმარტებით, „ჭკვიანი სახლი“, ისეთი მოწყობილობების ერთობლიობაა, როგორიცაა განათება, თერმოსტატები, სახლის უსაფრთხოების სისტემები, კამერები და სხვა საყოფაცხოვრებო ტექნიკა. კონტროლი შესაძლებელია ამ სისტემებთან დაკავშირებული სხვა მოწყობილობების საშუალებით, როგორიცაა სმარტფონები და ჭკვიანი დინამიკები. ეს სფერო განვითარდა სხვადასხვა ტექნოლოგიის დაახლოების შედეგად. კერძოდ: ახალი გამოთვლები, სენსორები, სულ უფრო მძლავრი ჩაშენებული სისტემები, ასევე მანქანური სწავლება, რომელიც გავლენას ახდენს ადამიანთა ფსიქოლოგიურ კეთილდღეობაზე (Sequeiros, 2021).

ჩაშენებული სისტემების, უკაბელო სენსორული ქსელების, კონტროლის სისტემების, ავტომატიზაციის (მათ შორის სახლისა და შენობების ავტომატიზაციის) ტრადიციული სფეროები, დამოუკიდებლად და ერთობლივად არის „ნივთების ინტერნეტი“. კოპეტი (Kopetz, 2022) კარგად აღწერს „ნივთების ინტერნეტის“ ტექნიკურ შემადგენლობას: სანავიგაციო სისტემა (GPS), მარკირების ტექნოლოგიები, როგორიცაა სწრაფი რეაგირების კოდი (QR), რადიო სიხშირული იდენტიფიკატორი (RFID) და სხვა.

ტექნოლოგიური განვითარების პარალელურად, მუზეუმის ინოვაციური გამოცდილების გასაუმჯობესებლად, მრავალი კონკრეტული პროგრამაა გამოყენებული. მაგალითად: QR შტრიხკოდი, გამოიყენება სმარტფონისთვის წასაკითხი ინფორმაციის შესანახად API აპლიკაციის ინტერფეისის შენახვის ბრძანებებისა და მონაცემების მიმოცვლის პროცესში. RFID კოდი ასევე საშუალებას აძლევს მუზეუმებს თვალი ადევნონ მნახველის ბილიკებს, რომელიც გვაწვდის

ინფორმაციას საგამოფენო დარბაზების არასაკმარისი ან გადაჭარბებული გამოყენების შესახებ. ამ ტექნოლოგიების წყალობით, მუზეუმებს საშუალება ეძლევათ მართონ ადამიანთა ნაკადი რაციონალურად და უზრუნველყონ მარშრუტების ოპტიმიზაცია.

„ნივთების ინტერნეტში“ საქართველოს ჩართულობა მართვის ეფექტურობის საშუალებას წარმოადგენს. ამიტომ, სამეცნიერო ექსპედიციების დროს მკვლევარებს შესაძლებლობა ეძლევათ თავიდანვე გამოიყენონ ობიექტების სკანირება და მათი შექმნის მეთოდი. ეს მიდგომა აფართოებს ციფრული 3D ტექნოლოგიების აკმ-ს სფეროში გამოყენების დარგთაშორისი კვლევის ინტერესს.

რა საკითხების იდენტიფიცირებაა შესაძლებელი ციფრული მუზეუმის ორგანიზების პროცესში? ესენია: 3D ციფრული ტექნოლოგიების გამოყენების ზოგადი მდგომარეობა, აკმ-ს კვლევითი ცენტრების ლოკაციები მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში, კვლევის შედეგების ტიპები 3D ციფრულ ტექნოლოგიებში.

მ. მილოზის (Milosz, 2020) კვლევებზე დაყრდნობით შეიძლება ითქვას, რომ 3D ციფრული ტექნოლოგიებიდან გამოიყენება: 3D სკანირება, 3D მოდელირება, ვირტუალური რეალობა (VR) და გამლიერებული რეალობა (AR). მოძრაობის გადაღების სისტემები საშუალებას იძლევა ჩაიწეროს აქტივობების შესრულების გზა, მათი კონსოლიდაცია და პრეზენტაცია. ხშირად, 3D ტექნიკასთან კულტურის ელემენტების უკეთ წარმოჩენის მიზნით, ციფრული ტექნოლოგიები, (მაგ.: აუდიოვიზუალური) ერთმანეთთანაა შერწყმული. ამ მეთოდით შესაძლებელია აგრეთვე, ეროვნული ცეკვების რეგისტრაცია (მათი თანმიმდევრობა), ტრადიციული ხელობა, თხრობა, უძველესი მოვლენების შესახებ ცოდნის ფიქსაცია და სხვა.

არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის მართვის სფეროში ახალი ტექნოლოგიების ტრანსფერის უზრუნველყოფა, დაკავშირებულია ხელოვნური ინტელექტის ტექნოლოგიის აკმ-სთან ადპტაციის მოდელის დამუშავებასთან:

- სასწავლო კითხვების (Qs) განვითარება სასწავლო მოტივაციის გასაზრდელად;
- საძიებო მოთხოვნის შემუშავება - მოთხოვნის განსაზღვრა ბიბლიოგრაფიულ მონაცემთა ბაზებში პუბლიკაციების მოსაძებნად, რომლებიც შეიცავს თეორიულ და გამოყენებითი შედეგებს;
- ბიბლიოგრაფიული მონაცემთა ბაზების წყაროების შერჩევა;
- პუბლიკაციების მოძიებისა და შერჩევის განხორციელება. ეს ოპერაცია მოიცავს ტიპურ ნაბიჯებს: პუბლიკაციის ძიება, ძიების შედეგების დუბლირება, ჩართვისა და გამორიცხვის კრიტერიუმების გამოყენება;

- სწავლის უზრუნველყოფა. ეს ეტაპი მოიცავს  წინა ეტაპზე შერჩეული პუბლიკაციების შინაარსის ანალიზს;
- მონაცემთა მოპოვება – შექმნილი მონაცემთა ბაზის ანალიზი.

### 5.2.2. სემანტიკური ძიების TSTS (თემა-სივრცე-დრო ძიება) მეთოდი

კულტურული მემკვიდრეობის (CH) სექტორზე და მასთან დაკავშირებულ ტურისტულ სერვისებზე, განსაკუთრებით იგრძნობა ინტერნეტის, სმარტფონების და  სხვახვადასხვა ელექტრონული  მოწყობილობების როლის ზრდა. ვიზიტორებს უკვე შეუძლიათ  სანდო CH კონტენტზე წვდომა, „ვებ“ და მობილური ინტერფეისების გამოყენებით. თუმცა, ჩვეულებრივი CH სისტემებს ჯერ კიდევ არ გააჩნიათ უნარი უზრუნველყონ  სემანტიკურად მნიშვნელოვანი ისეთი შედეგების მიღწევა, რომლებიც ზუსტად დააკმაყოფილებს მომხმარებლის ინტერესს.  ხშირად, უგულებელყოფილია მომხმარებლის ძიების კონტექსტი და გამოცდილება, რაც ხელს უშლის მათ უნარს, მოერგონ მომხმარებლის მომსახურების ამოცანებს, ინტერესებს და  ზოგადად, კულტუტის სფეროს მართვის ფუნქციებს.

სემანტიკური ძიების მეთოდის მიზანია საქართველოს კულტურულ მემკვიდრეობასთან წვდომის გასაუმჯობესებლად, აჩვენოს სიზუსტეზე ორიენტირებული მრავალენოვანი და მრავალკრიტერიუმზე დაფუძნებული მობილურობის მნიშვნელობა  .

TSTS ძიების მეთოდი  კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სისტემაში ინოვაციური მიდგომაა, რომელიც საშუალებას იძლევა შეფასდეს მანძილი სხვადასხვა ცნებებს შორის სემანტიკურ, სივრცით-დროის მონაცემთა ბაზაში.

დროის საზომის შეფასება, თითოეული კონცეფციისთვის არის წერტილების ბუნდოვანი ნაკრები დრო-სივრცეში, რაც შემდგომში ბუნდოვანი ოპერაციების რისკს წარმოშობს, როგორიცაა გადაკვეთა და კავშირი, შედეგად მიიღება კიდევ ერთი ბუნდოვანი მონაცემი, რომელიც წარმოადგენს რეგიონს სივრცეში და დროში.  ამ მეთოდის გამოყენების მიზნით, კრაუდსორსინგის ფარგლებში, ჩვენ შეკითხვა დავუსვით 200 ვიზტორს (მათ შორის 98 უცხოელს): საქართველოში ქვევრის ღვინის ტექნოლოგიის, როგორც კულტურული მემკვიდრეობის გასაცნობად რომელ საძიებო სიტყვებს გამოიყენებდნენ? მათი პასუხების დამუშავების შემდეგ გამოიკვეთა სამი ცნება "ვაზი", "საქართველო" და "ნეოლითი".

კონცეფცია "ვაზი" იძლევა პუნქტების შემცველ კომპლექტს დრო-სივრცის კონტექსტში, რომელიც შეესაბამება ვაზის შექმნის ყველა ინფორმაციას. კონცეფცია "საქართველო", ქმნის კომპლექტს, სადაც შედის სივრცის ყველა წერტილი, რომელშიც საქართველო ოდესმე არსებობდა. ბოლოს, კონცეფცია, „ნეოლითი“, იძლევა პუნქტების ერთობლიობას რომელიც დადგა გარკვეულ პერიოდში. ამ სამი ბუნდოვანი სიმრავლის კვეთა არის დროის რეგიონის და მომხმარებლის მოთხოვნის შესატყვისი სივრცე. რეგიონი მოიძებნება როგორც შეკითხვის შედეგი: საქართველოში ვაზთან ადამიანის ურთიერთობა მე-6 ათასწლეულიდან (ნეოლითის ხანა) იწყება, უძველესი კვალი აღმოჩენილია ამ პერიოდის ნამოსახლარებში (ხრამის გორა, შულავერის გორა და სხვა). აქ ძიების იდეა მდგომარეობს შემდეგში: რადგან საქართველოს საზღვრები არაერთხელ შეიცვალა. "საქართველოს" ტერიტორია დამოკიდებულია განსახილველ თარიღზე. შედეგად, როდესაც ტერმინი "საქართველო" გამოიყენება, შეკითხვისას ზუსტი პასუხის მისაღებად. დრო უნდა იყოს მითითებული. ანალოგიურად, ტერმინი "ნეოლითი" არ არის დაკავშირებული დროის მხოლოდ ერთ პერიოდთან, მაგრამ ადგილიდან გამომდინარე, შეიძლება ეხებოდეს სხვადასხვა დროს (VI – III ათასწლეული).

აქედან გამომდინარე ვფიქრობთ, TSTS მეთოდი, პასუხობს კულტურულ მემკვიდრეობაში ობიექტების ძიების თანამედროვე პრობლემას. ამ შემთხვევაში, ცნებები დროზე და გეოგრაფიულ მდებარეობაზეა დამოკიდებული. ისტორიული წყაროების მიხედვით, ეს ცნებები განსხვავებულია, ამიტომ, როგორც ცოდნის ბაზაში მემკვიდრეობის ქვედომენები არაზუსტი შეიძლება იყოს. უზუსტობა ეხება ქვეყნებს, პერიოდებს, ასევე მხატვრულ, ლიტერატურულ და ინტელექტუალურ მოძრაობებს და ა.შ. TSTS მეთოდის ეფექტურობა დამოკიდებელია ცოდნის ბაზის სქემაზე. შესაბამისად, ძიების შედეგები შეიძლება იყოს რანჟირებული, რადგან მათ აქვთ რიცხვითი თანდართული TST მსგავსების საზომის მნიშვნელობები.

TSTS ძიების მეთოდი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, როცა ვირტუალურ მუზეუმს მრავალეროვნული და მულტიკულტურული აუდიტორია სტუმრობს. ასეთ შემთხვევაში, შეკითხვები უფრო მეტად არაზუსტია, ვიდრე სხვა შემთხვევაში, რადგან მაძიებლებს არ აქვთ კულტურული მემკვიდრეობის შესახებ ცოდნა. TSTS მეთოდი გვაწვდის ისეთ ინფორმაციას, რომელიც ხელს უწყობს ცოდნის მიღებას, რადგან ის ასახავს დროსა და სივრცეში მოძიებულ ცნებებს. ამის წყალობით, ნაპოვნი ობიექტების მდებარეობა შეიძლება იყოს წარმოდგენილი რუკებზე მკაფიოდ და მიმზიდველად.

TSTS ძიების მეთოდის დანერგვის ეფექტურობა დამოკიდებულია მონაცემთა ბაზების სხვადასხვა ზომებზე. გასათვალისწინებელია ცნებების განზოგადება, სპეციალიზაცია, მუდმივად ანგარიშების შემუშავება TSTS მეთოდის სიზუსტის გასაუმჯობესებლად.

ამრიგად, TSTS ძიების მეთოდი საშუალებას იძლევა ცოდნის ბაზაში შეფასდეს მსგავსების ფაქტორი სხვადასხვა რესურსებს შორის. რანჟირებული ძიების შედეგი გენერირებულია სემანტიკური მანძილის საფუძველზე, მომხმარებლის მოთხოვნით შექმნილ სიმრავლესა და კომპლექტებს შორის, რომელიც აღწერს პოტენციურ შედეგებს დრო-სივრცის კონტექსტში.

### 5..2. 3 სენსორების ქსელი კულტურული მემკვიდრეობის ჩაწერისა და ფიქსაციის პროცესში

სენსორების ქსელები დაკავშირებულია მონაცემთა მოპოვებასთან და ხელოვნურ ინტელექტთან. იგი გადამწყვეტ როლს თამაშობს არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ჩაწერისა და ფიქსაციის პროცესში.

ამ თეზისის დასასაბუთებლად, ჩვენ გამოვყოფთ სენსორის მონაცემებზე ორიენტირებულ მიდგომას. მაგ: ჯ.ფესტა (Festa, 2020), გარემოს ზემოქმედებისა და ფიზიოლოგიური ცვლილებების შესაფასებლად, პირდაპირ და უწყვეტ მონაცემებს ეყდნობა.

ბოლო დროს, „სმარტ სენსორები“ მუდმივად საჭიროა კულტურული მემკვიდრეობის სფეროს აპლიკაციებში (დიაგნოსტიკა და აღდგენის/შენარჩუნების ეტაპები), კონსერვაციის/ვალორიზაციის მართვაში და სხვა. როგორც მ.ზალაფი (Zalaffi, 2020) ამბობს: ხელოვნების ნიმუშების ობიექტების გლობალური დახასიათებისა და არქეოლოგიური ზედაპირების ვალორიზაციის პროცესში ეფექტის მიღწევა, მხოლოდ მრავალდისციპლინური მიდგომითაა შესაძლებელი.

მატერიალური კულტურული მემკვიდრეობის სფეროში ამ ტექნოლოგიას საკმაოდ სასარგებლო ინფორმაციის მიწოდება შეუძლია რესტავრატორებისა და ძეგლთა კონსერვაციაზე მომუშავე მეცნიერებისთვის.

რაც შეეხება არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის სფეროში, სენსორების მეშვეობით ჩაწერის ტექნოლოგიას, მისი არსი მდგომარეობს შემდეგში:

1. სენსორები მაგრდება ცოცხალ სხეულზე შეგრძნებების შესახებ ინფორმაციის მოსაპოვებლად;

2. მიზეზობრივ ძრავს შეუძლია შეინახოს და გააანალიზოს ფიზიკური მონაცემები სოციალური მონაცემებიდან მომდინარე კონტექსტში;

3. სხეულზე ფიზიოლოგიური სიგნალების შერწყმის პოტენციალის აღწერის მოდელი აანალიზებს შეგროვილ მონაცემებს.

ამ მოდელის მახასიათებლებია:

1. „ჭკვიანი" პორტატურული სენსორების ახალი ოჯახი. გამოყენებადია კულტურული მემკვიდრეობის ანალიზისთვის და წარმოადგენს მინიატურულ ხელსაწყოს უაღრესად მგრძნობიარე ნანოსტრუქტურული ფენების შერჩევისთვის;

2. მონიტორის სისტემას აქვს შესაძლებლობა გახდეს კულტურული აქტივების ახალი სხეული, რომელიც კულტურული მემკვიდრეობის ეკოსისტემასთან სრული ინტეგრაციის შესაძლებლობას იძლევა;

3. მიზეზობრივ ძრავს შეუძლია ჰეტეროგენული მონაცემების (ფიზიკური და სოციალური მონაცემები) ინტეგრირება;

4. სენსორების ქსელი განაწილებულია, არსებობს საკომუნიკაციო არხები, მონაცემთა ანალიზის ინსტრუმენტები.

მაღალი ხარისხის სენსორები იძლევა პროფილის მაღალი სიზუსტით რეპროდუქტირების საშუალებას და იმ ტერიტორიის დროებით აღქმას, სადაც ისინი მდებარეობენ. შეგროვებული მონაცემები გადაეცემა საექსპერტო სისტემას, მოვლენების ამოცნობისა და კლასიფიკაციისთვის; მაღალი სიზუსტით და მაღალი ხარისხის სენსორები ასახავენ აგრეგირებული ევოლუციის კონცეფციას, სადაც მრავალი აგენტი ურთიერთქმედებს ერთმანეთზე და განსაზღვრავს მას, როგორც „ნორმალურ" მოვლენას; სენსორები საშუალებას იძლევა გამოითვალოს ობიექტის მნიშვნელობა ადგილმდებარეობისა და დროის მიხედვით. ადგილობრივი სენსორიდან მიღებული მონაცემების მატება გულისხმობს ანომალიურ ქცევას, რომელმაც შეიძლება მოითხოვოს ახალი გადაწყვეტილება. ამ ურთიერთქმედების შედეგად, მონაცემთა ნაკრები ერთგვაროვანი ჩანს და წარმოადგენს პოპულაციისა და სივრცე-დროის ტრაექტორიის მიზეზობრივი ანალიზის შედეგს.

სავარაუდო მოდელი, შემთხვევითი ბიოლოგიური სისტემის წესებიდან დაწყებული, ნაბიჯ-ნაბიჯ მოძრაობს „სამიზნე" ბიოლოგიურ სისტემამდე და პროგნოზირებს მის ქცევებსა და ტრაექტორიების შესახებ სივრცესა და დროში. არსებობს რისკი, რომ ბევრი ელემენტარული

მოვლენა, შეუსაბამო და საპირისპირო ეფექტის მქონე შეიძლება იყოს. ამ რისკის დაძლევა, როგორც ფ. ვალენტინი ამბობს (Valentini, 2019) „გამომწვევი ძრავის მეშვეობითაა" შესაძლებელია. ამ ძრავს შეუძლია იზოლირებული მტკიცებულებების მიზეზ-შედეგობრივი ანალიზი განახორციელოს.

ამ მოდელში ხაზგასმით უნდა აღინიშნოს ორი ასპექტი:

პირველი, შემოთავაზებული წყობა საშუალებას გვაძლევს გადავხედოთ ცვლადის ევოლუციას, ასევე ამ ევოლუციის მიზეზობრივ ურთიერთობებს და შედეგს, რათა წარიმართოს ქმედებები კულტურული აქტივის შესანარჩუნებლად.

მეორე, შესაძლებელი ხდება ევოლუციის პროგნოზირება. ტრაექტორია დისკრეტული, არაწრფივი ცვლადები მართვის საშუალებას იძლევა. ანუ, ეს გულისხმობს იშვიათი მოვლენის ზუსტი განმარტებისა და მისი მართვის შესაძლებლობას.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ტრადიციული სტატისტიკური მოდელები ვერ ახერხებენ ამ იშვიათი მოვლენების მართვას. შემოთავაზებული მოდელი ავსებს ამ ხარვეზებს. ამ მოდელით აგებული აპლიკაციები და IoT პარადიგმა იძლევა საშუალებას მივიღოთ კულტურული მემკვიდრეობის შესახებ სწორი ინფორმაცია: სენსორების გამოყენების პერსპექტივა არის ცოცხალი სხეულიდან (კულტურული აქტივი) მიღებული და გაგზავნილი სიგნალური ინფორმაციით მონაემთა ბაზების შექმნა. ამ პროცესების განვითარებისთვის მნიშვნელოვანია ახალი თაობის სენსორების დანერგვა. მსგავსი ტექნოლოგია გამოიყენება ნანომედიცინაში. შესაბამისად, კულტურული მემკვიდრეობის მართვის სტრუქტურებში დასაქმებული პერსონალი მუდმივად უნდა ეძებდეს ელექტრონიკის, ელექტროქიმიის, ბეჭდვის ახალი ტექნიკის (3D ბეჭდვა), ნახშირბადის ნანოსტრუქტურების (ანუ გრაფენი), მეტალის ნანონაწილაკების, ნანოსტრუქტურული ბიოპოლიმერების, ნანოკომპოზიტური მასალების სფეროში კვლევებს და ზრუნავდეს სხვა დარგებში მიღებული კვლევის შედეგების დანერგვზე არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სისტემაში.

### 5.3. მონაცემთა გაციფრულების პრაქტიკა და არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის შესახებ ცოდნის გადაცემის პროცესის მართვა

გაციფრულების ტექნოლოგია მატერიალური კულტურული მემკვიდრეობისა და არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის დაცვის პროცესში ერთგვაროვანი არ არის. ამ-თან მიმართებაში გასათვალისწინებელია ამ ობიექტის სპეციფიური ხასიათი. სპეციფიკიდან გამომდინარე, ტექნოლოგიამ უნდა უზრუნველყოს არა მხოლოდ სხეულის აღქმა, არამედ ისიც, რაც

სხეულს ამოქმედებს: მოძრაობები, ჟესტიკულაცია და სხვა. აქედან გამომდინარე, ასეთი მონაცემების იდეალური გამოყენება უკავშირდება გამოთვლის ახალ რეჟიმს, რომელიც გადმოსცემს სხეულში არსებულ ინფორმაციას. კრაკოვიც-ფრაიცი (Crnkovic-Friis, 2020) ამ პროცესს უწოდებს „ციფრული არქივირება მოძრაობაში“ არამატერიალური მემკვიდრეობის შესანარჩუნებლად.

მოძრაობების ციფრული არქივირება, ტრადიციული აკმ-ს არქივირებისგან განსხავავრბით, ისეთ მეთოდებს იყენებს, როგორიცაა: საარქივო შიგთავსის შეკრება ერთ განზომილებაში, ანუ გამოსახულებაზე დაფუძნებული, ობიექტზე ორიენტირებული ან ხაზოვანი მონაცემების ერთობლიობა. ხელოვნური იინტელექტის ტექნოლოგიებით დაიწყო დინამიკის დაფიქსირებაც, ადამიანის სხეულს, მოძრაობებთან ერთად, ჟესტიკულაციისა და მანერების ჩაწერა დაემატა. ამ მიმართულებით უნდა დავასახელოთ Motion Capture (MoCap) ტექნოლოგია, რომელმაც მზარდი პოპულარობა მოიპოვა კულტურული მემკვიდრეობის გაციფრულების პროცესში. ეს ტექნოლოგია გამოიენება ვიდეო თამაშებში (Zhang, 2022), სპორტულ ვარჯიშებში (Zago, 2017), ბალეტში (Hou, 2022).

MoCap ტექნოლოგია იყოფა მექანიკურ, მაგნიტურ და ოპტიკურ სისტემებად, რომლებიც ოპტიმალური შედეგის მისაღებად კამერაზე, სენსორზე ან ორივეს ჰიბრიდულ გამოყენებაზეა დაფუძნებული. ბოლო პერიოდში MoCap გახდა პერფორმატიული მოძრაობებისა და მანევრების ძირითადი ჩამწერი ინსტრუმენტი. ამ ტექნოლოგიით ჩაწერილია კვიპროსის ხალხური ცეკვები (Aristidou, 2015), სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის ტრადიციული ცეკვები (Muangmoon, 2017), თანამედროვე ცეკვები, საბრძოლო ხელოვნება,[21] საბრძოლო სპორტი, (Zhang, 2017) ასევე ტრადიციული ხელნაკეთობების საცნობარო ჟესტები (Partarakis, 2020).

აკმ-ს ციფრული არქივირება სულ უფრო მეტად ინტერდისციპლინურ და მულტიმოდალურ მონაცემებზე ორიენტირებული ხდება. აქედან გამომდინარე, არქივირების არსებული მეთოდი აკმ-ს ანალიტიკური, სემანტიკური და ურთიერთკავშირის ციფრული რეპროდუცირების მეთოდით უნდა შეიცვალოს. ვგულისხმობთ ცოცხალი ელემენტების მნიშვნელობების დაშიფვრას, მოძრაობის კოდირებას, მოძრაობის ამოცნობას, კლასიფიკაციას და ანოტაციას, მულტიმედიის დამუშავებას, მეტამონაცემების შექმნას და მანიპულირებას.

---

[21] იხ.: Tsuchida S, Fukayama S, Hamasaki M, Goto M. AIST Dance Video Database: Multi-Genre, Multi-Dancer, and Multi-Camera Database for Dance Information Processing. InISMIR 2019 Nov (Vol. 1, No. 5, p. 6). ; TSUCHIDA S, FUKAYAMA S, HAMASAKI M, GOTO M. AIST Dance Video Database: ダンス情報処理研究のためのストリートダンス動画データベース. 情報処理学会研究報告 (Web). 2020;2020(MUS-126).

**მოძრაობის დაშიფვრა**

მოძრაობის მონაცემების ფიქსაციის ტექნოლოგიები მეტ-ნაკლებად გამოიყენება ცეკვასთან დაკავშირებული ქორეოგრაფიული ცოდნის ვიზუალიზაციის, ანალიზისა და სინთეზისთვის. მახასიათებლებზე დაფუძნებული მოძრაობის დაშიფრვა ეფექტურია, რადგან ინფორმაციის შეგროვება და ავტომატური ანოტაცია ხორციელდება არსებულ სისტემებთან ერთად.

ამ მიმართულებით, საერთაშორისო დონეზე ჩატარებულია ექსპერიმენტული კვლევებია: Aristidou et al (Aristidou, 2017). ამ კვლევის შედეგებით დადგენილია, რომ სხეულის მოძრაობები გადაიქცევა მაღალგანზომილებიან ფუნქციურ სივრცედ; მოკლევადიან სეგმენტში შესაძლებელია ადამიანის სხეულის ფიზიკური გეომეტრიისა და საცეკვაო მოძრაობების სტილისტური მახასიათებლების დაკავშირება.

**სიტყვათა კიდობანი**

სიტყვათა კიდობანი (BoW) გამოიყენება მოძრაობის ინდექსაციისთვის, დროებითი სეგმენტაციისა და ინფორმაციის ამოღებისთვის (HaCohen-Kerner, 2020), პოზის ამოცნობის და საცეკვაო უნარების კონსოლიდირებულ ქსელში მულტიმედიური ანოტაციის შესაქმნელად. ალგორითმულმა წინსვლამ სხვა სფეროებში, განსაკუთრებით, თვალით ამოცნობამ, სივრცე-დროითი ქმედებების კლასიფიკაციამ (Sieni, 2018), ვიდეო კონტენტის ანალიზმა, კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სფეროში ამ მოდელის გამოყენების პერსპექტიულობა აჩვენა. სიტვათა კიდობანის მეშვეობით შეიქმნა ჟესტების ატლასი, რომლის ფორმირება სპეციალურ გამოფენებზე მოპოვებული ინფორმაციის დამუშავებით ხდება. ატლასი ადამიანთა პოზებს შორის ურთიერთკავშირისა და სივრცითი ურთიერთობების ორმხრივი კონტექსტის იდენტიფიცირების საშუალებას იძლევა.

და, ბოლოს, არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ხორცშესხმული ცოდნის ფაქტორებია: არა მხოლოდ პოზები, ჟესტები ან თანმიმდევრული სვლები, არამედ ადგილები, ობიექტები და სხვა. ამიტომ, მულტიმოდალური ერთეულების ურთიერთდაკავშირებული ქსელი მნიშვნელოვან როლს ასრულებს მოქმედებების კონტექსტუალიზაციის პროცესში.

**მოძრაობის მიღმა: მონაცემთა კავშირების სისტემა**

არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ცოდნა სულაც არ თავსდება თითოეულ დამოუკიდებელ მონაცემთა ბაზაში, არამედ, იგი სხვადასხვა მონაცემთა შორის დაახლოების შედეგია. არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის არსებობა ახალი ტექნოლოგიების ეპოქაში, მულტიმოდალური ელემენტების შეკრებით მიიღწევა, რომელიც აყალიბებს „იქ ყოფნის

შეგრძნებას“. ამ შემთხვევაში, მეცნიერულ საფუძველს წარმოადგენს ურთიერთდაკავშირების თეორია, რომელიც ცდილობს კონკრეტული დომენის მნიშვნელობის გარკვევას, წინააღმდეგ შემთხვევაში იმოქმედებს როგორც რგოლი სხვადასხვა დომენებს შორის (Poulopoulos, 2022).

ხელოვნური ინტელექტის ტექნოლოგიების დანერგვის პროექტებს შორის, რომელმაც გააძლიერა კულტურული მემკვიდრეობის ობიექტებზე მონაცემების ხელმისაწვდომობა, არის ArCo ონტოლოგია. ესაა ფორმალური მოდელის პირველი შემთხვევა, რომელიც აშკარად ყოფს კულტურულ მემკვიდრეობას მატერიალური და არამატერიალური მახასიათებლების მიხედვით (Carriero, 2021). პროექტი - Mingei, ქმნის ახალ კრიტერიუმებს  მატერიალური მემკვიდრეობის დასაფიქსირებლად და მათ არამატერიალურ განზომილებებს; LED და READ-IT პროექტების მეშვეობით შესაძლებელი ხდება ფენომენოლოგიური კატალოგების, აგრეთვე, მოსმენისა და კითხვის  გაფართოების ეფექტის უზრუნველყოფა (Baillot, 2018).

მიუხედავად იმისა, რომ ტრადიციები და ფოლკლორი, რთულად მოდელირებადი ICH-ის ელემენტებია, მოცემული პროექტების მიხედვით, შესაძლებელია გარკვეული ცნებების განზოგადება კონცეფციად, შემდეგ კი მოდელირება კატალოგირებადი ელემენტის ფორმატში (Baillot, 2018,p.65).

**დომენის ონტოლოგია**

დომენის ონტოლოგია საშუალებას გვაძლევს სხვადასხვა სფეროებში განხორციელდეს .ელემენტების დეტალური აღრიცხვა: ლიტერატურა, მუსიკა, ფერწერა, ფოლკლორი.  მოძრაობის ან პოზის დოკუმენტირება. დოკუმენტირება ხორციელდება  სამფენიანი ონტოლოგიური კოდირების მეშვეობით:

1. სამოქმედო ფენა, რომელიც ლიტერატურული ქრონოლოგიის შესაბამისად განსაზღვრავს ინციდენტებს;
2. მოტივაციური ფენა, რომელიც ორიენტირებულია  აგენტის განსახიერებულ განზრახვაზე;
3. დრამატული ფენა, რომელიც უპირატესად სტრუქტურირებულია სცენაზე. ეს უკანასკნელი ასევე კარგად მუშაობს  ზღაპრების თხრობის, ხელოსნობის წარმოჩენის  და სხვა ობიექტებთან მიმართებაში.

აქედან გამომდინარე, არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის სპეციფიკა დაარქივების მრავალდონიან პროცესს საჭიროებს. ამ მიმართულებით ეფექტური მართვის

პოლიტიკა დაკავშირებულია მრავალშრიანი ჩარჩოს არსებობასთან: ფორმალური მოძრაობის სიმბოლოები, დომენის სპეციფიკური ლექსიკა და ბუნებრივი ენის აღწერილობები.

ხელნაკეთობების, როგორც აკმ-ს შენარჩუნება, ევროკავშირის მიერ დაფინანსებული პროექტი იყო Horizon 2020-ის ფარგლებში, რომლის საფუძველზე სხვა პროდუქტებთან ერთად შეიქმნა კულტურული ონტოლოგიის საცავი.[22]

საქართველოს სინამდვილეში ამ პროექტებში მონაწილეობა არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის დიგიტალიზაციის ეფექტური მართვის შესაძლებლობას იძლევა.

### 5.4. ხელოვნური ინტელექტი, აკმ-ს დიგიტალიზაცია და „ცოცხალი ცოდნის" ურთიერთქმედების პროცესი

არამატერიალური მემკვიდრეობა არსებითად არის ცოცხალი ცოდნა, კულტურული სივრცე, რომელიც დაკავშირებულია სხვადასხვა აუდიტორიისთვის ზეპირად გაზიარების საჭიროებასთან. ამ თეზისიდან გამომდინარე, დიგიტალიზატორებსა და აკმ-ს მატარებლებს შორის კავშირის პარალელურად, მნიშვნელოვანია, ფართო საზოგადოებასთან კომუნიკაციის, ანუ ინტერაქტიული გადაცემის ფორმის ახლებური მიდგომების შემუშავება.

ამ თვალსაზრისით, ნ. ბარბუთის (Barbuti, 2020) მიერ დამუშავებულია ვიზუალიზაციისა და ვირტუალური განსახიერების მეშვეობით, აკმ-ს სასწავლო გარემოს შექმნის მეთოდები.

ინდივიდუალურ დონეზე, კულტურული მემკვიდრეობის „ცოცხალად" გადაცემის მოდელი, ახალი ტექნოლოგიების პირობებში, გულისხმობს კულტურული მემკვიდრეობის მატარებელთა რეესტრის შექმნას, კროსმოდალურ პრეზენტაციებს მომხმარებლებისთვის, ავთენტური საცხოვრებელი კულტურული სივრცის იმიტირებას. ასეთ პირობებში მომხმარებელთა ჩართვას თამაშებში გადამწყვეტი როლი ენიჭება. ამის პარალელურად, როგორც მ. ბარსზეცი(Barszcz, 2021) ამბობს: ციფრულ მოდელებს შეუძლიათ მნიშვნელოვნად გააუმჯობესონ ცოდნის სფერო.

ასეთი მიდგომა დაკავშირებულია მომხმარებლის კულტურული გამოცდილების ზრდასთან. მომხმარებლის კულტურულმა გამოცდილებამ (CUX), ახალი ტექნოლოგიების გამოყენებით, კულტურული მემკვიდრეობის მართვის სფეროში კვლევების განვითარებას ძლიერი მოტივაცია შეუქმნა.

---

[22] CuCoO, the Cultural Contact Ontology - https://github.com/paulagranados/CuCoO

აკმ-ს კვლევებში ახალი ელემენტია კულტურულ ობიექტებთან ვიზიტორის ურთიერთქმედება. ამ შემთხვევაში კარგი CUX დიზაინი ნიშნავს:

- წყაროები და ინსტრუმენტების ჩვენება;
- გარემო, სადაც ვიზიტორები აქტიურ როლს თამაშობენ კულტურის ობიექტის კვლევაში;
- უნივერსალურ ენა, რომლის საფუძველზე შესაძლებელია აუდიტორიის ჩართვა სხვადასხვა ფონით.

ციფრული მედია და მუდმივად განახლებადი ვირტუალური ტექნოლოგიები ხელს უწყობენ კულტურის საერთო გამოცდილების გაზრდას. CUX კრეატიულობის დანერგვა მოიცავს რეალობას (VR), გაძლიერებულ რეალობას (AR), შერეულ რეალობას (XR) და გაფართოებულ რეალობას (MR), რომელიც, მ. კონსტანტაკის(Konstantakis, 2020) კვლევის მიხედვით, აძლიერებს მოქნილობას ინტერფეისებში.

ვირტუალურმა მუზეუმებმა, ფიზიკური ვიზიტის გარეშე, საზოგადოებას ობიექტების კოლექციების შეფასების საშუალება მისცა. ეს ეხება არამატერიალური კულტურული მასალის გავრცელებასაც. მაგალითად: ვირტუალური ცეკვის მუზეუმი მოქმედებს, როგორც 3D პარადიგმა, ხალხური ცეკვებისთვის საჭირო ჩაცმულობის ვიზუალიზაციის უზრუნველყოფით. ვირტუალური საშუალებების გამოყენება (VR/XR), რომელიც აერთიანებს ფიზიკურ გარემოს, იწვევს განსახიერების გრძნობას. ის მომხმარებლებს მრავალგანზომილებიან გამოცდილებაში ყოფნის საშუალებას აძლევს და ამით ეხმარება ცოდნის გადაცემას.

იმერსიული სწავლის დონის რედაქტორი (iLLE) ერთ-ერთი ასეთი სისტემაა, რომელიც რეალურ დროში განხორციელებული ურთიერთქმედებების გამოყენებით, ვიზუალური და სმენითი მონაცემების გაუმჯობესებით, ქმნის არა მარტო სასწავლო კონტენტს (Poulopoulos, 2022, p.65), არამედ, უზრუნველყოფს აკმ-ს გავრცელებასაც (Carriero, 2021, p.98).

არამატერიალური ობიექტების ჰიპერმედიის და მრავალჯერადი სენსორების საშუალებით ვიზუალიზაცია, მნიშვნელოვან როლს ასრულებს მუზეუმის სივრცეში ვიზიტორების გაზრდიის საქმეში. კულტურული მემკვიდრეობისა და მუზეუმების ახლი პროექტები (IMP) მუზეუმებს განიხილავენ, როგორც ტრადიციებთან კონტაქტის ზონას, სადაც სივრცისა და დროის ინოვაციური იმიტაციები, მემკვიდრეობის შესახებ ცოცხალი ცოდნის გასავრცელებლად გამოიყენება.

ს. კენდერდინის (Kenderdine, 2021) კვლევა ექსპერიმენტულ მუზეუმოლოგიაში, არღვევს ტრადიციული მუზეუმის საზღვრებს და კულტურული არქივის ჩარჩო კონცეფციას წარმოადგენს.

ამ მოდელში ადამიანის სხეული ბიოლოგიური, ფენომენალური, ეკოლოგიური, კულტურული და სოციალური ინფორმაციის მატარებელ საშუალებას წარმოადგენს, რომელიც სტერეოსკოპიული 3D ვიზუალიზაციითა და პანორამული თხრობით ქმნის შესაბამის რეალობას. მუზეუმის ეს მოდელი, მემკვიდრეობის გავრცელების საქმეში, არქიტექტურული, იმერსიული ურთიერთქმედების, ინდივიდუალური მონაწილეობის და კინემატოგრაფიული პრეზენტაციის ფაქტორების კონსოლიდაციის შესაძლებლობას ქმნის.

ახალი ტიპის მუზეუმის მოდელს უკავშირდება ინფორმაციისა და ანალიტიკის შესაძლებლობების გამოყენება. ეკრანზე ჩვენების პარალელურად, მნიშვნელოვანია კულტურული მემკვიდრეობის კოლექციის ვიზუალიზაციის უახლესი სისტემების, მონაცემების, პრინციპებისა და დიზაინის გამოწვევების შესწავლა. ვიზუალური თხრობის მეშვეობით შეიძლება კიდევ უფრო გაძლიერდეს სივრცითი ატმოსფერო, ინტერაქტიული მედია და ტექნოლოგიური ინტერვენციები. ცოდნის გამოფენა ხელს შეუწყობს დინამიური, ურთიერთობითი და ღია ნარატივების გამოყენებას, რაც უზრუნველყოფს გრძელვადიანი ეფექტების მიღწევას.

ხელოვნური ინტელექტის გამოყენებით, საცეკვაო ნაწარმოებების ტექნო-ადამიანური დემონსტრირება, ქორეოგრაფიულ კრეატიულობას წარმოადგენს. მსგავსი ინოვაციები იმაზე მეტყველებს, რომ სხეულებრივ ნარატივებს შეუძლიათ გააფართოვონ ფსიქო-ვიზუალური შესრულების ესთეტიკა.

ასე, რომ ინტერაქტიული ციფრული გამოცდილების შექმნა არის კულტურული მემკვიდრეობის გადაცემის გასაღები, რომელიც მოიცავს სივრცითი გამოსახულების, ბგერითი ლანდშაფტის, მოძრაობისა და სოციალური ყოფის ფენომენალურ დიზაინს. ასეთი პარადიგმა იწვევს წარსულის განცდას და აძლიერებს ციფრულ გარემოში ჩართვის გრძნობას. შესაბამისად, ვიზიტორებს შეუძლიათ აღიქვან, წარმოიდგინონ და დაიმახსოვრონ მემკვიდრეობის კონტექსტში განხორციელებული შეხვედრები.

საქმე ისაა, რომ დახვეწილი მოდელის შექმნა, ან მხატვრული შემოქმედება, შესაძლოა ამ პროცესში არ იყოს მთავარი. მუზეუმები სასიცოცხლოდ დაინტერესებულნი არიან უზრუნველყონ ფართო საზოგადოების ჩართულობა კულტურული მემკვიდრეობის სწავლაში.

ახალი ტიპის მუზეუმისთვის კიდევ ერთი დამახასიათებელი ნიშანია საგანმანათლებლო გართობა - „ცოცხალი გადაცემა“. 2003 წლის კონვენციის ტერმინი - łlive transmissionž - ხაზს უსვამს ცოცხალ სასწაავლო პროცესს. რაც ოსტატსა და შეგირდს შორის ერთდროული ურთიერთქმედების საშუალება იძლევა. გართობა პედაგოგიკაში დიდი ხანია აღიარებულია, როგორც მოტივაციის

ფაქტორი. საგანმანათლებლო აპლიკაციები ხელს უწყობს აქტიურ გარემოში სწავლის მოტივაციას. გართობისა და განათლების ერთობლიობა, ასევე ინტერესის სფეროს წარმოადგენს მემკვიდრეობის გადაცემის სექტორში. ტრადიციული გამოცდილება აინტერესებს აუდიტორიას ემოციურად, ინტელექტუალურად, ფიზიკურად და სოციალურად. შთაბეჭდილებები კი კულტურული მემკვიდრეობის თაობიდან თაობაზე გადაცემის საფუძველია.

კულტურული მემკვიდრეობის ჰიპერ-ისტორიების მულტიმედიის გამოყენებით თხრობის მეთოდი ეფექტური აღმოჩნდა მოსწავლეთა მოტივაციის ამაღლებისთვის. ექსპერიმენტული კვლევებით დადსტურებულია, რომ გასართობი და მონაწილეობითი აქტივობები, როგორიცაა ცოცხალი სპექტაკლები და ხელოსნობის იმიტაციური გამოცდილება, აძლიერებს საზოგადოების ჩართულობას სწავლის პროცესში.

აღსანიშნავია ისიც, რომ ციფრულ სფეროში სერიოზული თამაშები (SG) გამოჩნდა და ისინი ინტერაქტიულობის მოდად იქცა. ამიტომ, SG-ების დანერგვა აუცილებელია არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის გადაცემის პროცესის გასაძლიერებლად. უფრო მეტიც, როგორც მ. ოტტი (Ott, 2016) ამბობს, იგი ხელს შეუწყობს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების მემკვიდრეობის ხელმისაწვდომობას.

რ.იანგის (Yang, 2022) მიერ შესწავლილია 3D ვიზუალიზაციის სენსორული სწავლების ჩარჩო დოკუმენტის იმპლიმენტაციის პრაქტიკა, რომელიც სხეულის მოძრაობების პროტოტიპების სახით დაგროვდა ხალხური კულტურების გადაცემის პროცესში. ანალოგიურად შემუშავდა ინტერაქტიული საბრძოლო ხელოვნების პროგრამა, რომელიც დაფუძნებულია 3D მოძრაობის მონაცემებზე. პროგრამა 1:1 მასშტაბით, რეალურ დროში, ახალბედა ადამიანსა და ციფრულ ოსტატს შორის ურთიერთობის საშუალებას იძლევა. ვირტუალური და იმერსიული მიდგომები ამაღლებს საგანმანათლებლო პროცესს გართობის მეშვეობით. ასევე არსებობს ტ. ჰუანგის (Huang, 2017) მიერ შესწავლილი VR ცეკვის ტრენინგის სისტემა, რომელიც დაფუძნებულია MoCap ინფრასტრუქტურაზე და რეალური გაკვეთილები ვირტუალური ინსტრუქტორის ანიმაციით მიმდინარეობს.

პრაქტიკული ექსპერიმენტების შედეგების შესწავლის საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ ვირტუალური ტექნოლოგიების ფორმები (VR/AR/MR) პერსპექტიულია არამატერიალური მემკვიდრეობის ცოდნის მიღებაში. მაგრამ, სხვადასხვა პლატფორმებთან ტექნიკის თავსებადობის პრობლემები, შესაბამის გადაწყვეტილებას ითხოვენ, რათა გაიზარდოს გამოყენებადობის დონე სამიზნე მომხმარებლებისთვის.

არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის (ICH) პრაქტიკამ მნიშვნელოვანი როლი ითამაშა კაცობრიობის კულტურულ განვითარებაში. ბოლო წლებში, ხელოვნური ინტელექტი სულ უფრო მეტად გამოიყენება აკმ-ს აქტივების შესანარჩუნებლად და გასავრცელებლად, ამიტომ, ტექნოლოგიების ტრანსფერი აუცილებელი პირობაა აკმ-ს დაცვის, შენარჩუნებისა და მომავალი თაობებისთვის მათი გადაცემის პროცესში.

### 5.5. არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის მართვის მოდელი დიგიტალიზაციის პროცესში

აკმ-ს „ცოცხალი" და „განსახიერების" ბუნებიდან გამომდინარე, ადამიანის სხეული ტრადიციებისა და მოგონებების მატარებელია. ეს აკმ-ს დიგიტალიზაციის პროცესის გადახედვის საფუძველს ქმნის. კერძოდ, არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის დიგიტალიზაციის პროცესი მოიცავს  დოკუმენტირებას, დაარქივების სისტემას, კოდირებისა და მოდელირების სქემებს, აგრეთვე, ცოდნის შესაბამისი წარმოდგენისა და ინტერპრეტაციის ფორმების ციფრული პრაქტიკის შექმნას. აკმ-ს გადაცემისთვის ცოცხალი გარემოს არქივირების ახალი მოდალობა გამოწვევას წარმოადგენს, როგორც პროგრამულად, ასევე მენტალურად. ადამიანის მოძრაობის დაარქივება მოითხოვს მოძრაობების კოდირებასა და ინდექსირებას. შესაბამისად,  ადამიანის მოძრაობის ამოცნობის გადასაწყვეტად სამეცნიერო და პრაქტიკულმა მიღწევებმა უზრუნველყო მონაცემთა ინტეგრაციის გაძლიერება.

ევროკავშირის „ჰორიზონტი 2020" პროგრამის ფარგლებში[23] განხორციელებული პროექტებით შეიქმნა მულტიმოდალური კულტურული არქივი,  საარქივო კურირება კატალოგიზირების მაღალი დონის ოპერაციებად გარდაიქმნა. ტექნოლოგიის დანერგვის მთავარი იდეა  მხოლოდ დოკუმენტირებაზე ყურადღების გამახვილება კი არაა, არამედ ის, რომ ტექნოლოგიების კომბინაციამ, შეიძლება  არამატერიალური მემკვიდრეობის დაცვისახალი მიდგომა შექმნას, რომელიც ძირითადად ორიენტირებულია განათლებას, ტრენინგსა და პედაგოგს შორის ურთიერთობებზე.

აღსანიშნავია, რომ კულტურული მემკვიდრეობის ანიმაციები საქართველოში არსებობს ციფრული ხელოვნების მუზეუმის სახით, რომელიც დატვირთულია მრავალფეროვანი,

---

[23] იხ.: Mingei  https://www.mingei-project.eu/

ვიზუალური და გრაფიკული საშუალებებით. მაგრამ ვირტუალური მუზეუმი არ არის ჩართული სწავლის პროცესში, უბრალოდ იგი ინფორმაციის წვდომის შესაძლებლობას იძლევა.

და ბოლოს, განხილული ტექნოლოგიების ეფეტური დანერგვის მიზნით, არამატერიალური მემკვიდრეობის მართვის მოდელი შეიძლება შეიძლება აისახოს კულტურული მემკვიდრეობის სტრატეგიაში, რომლის ელემენტები იქნება:

1. კულტურული შინაარსის კონტექსტის დიგიტალიზაციის პროცესი: დაცვა, აღბეჭდვა, ვიზუალიზაცია და გადაცემა;
2. ვიდეო სემანტიკური შინაარსის ანალიზის სისტემა, მულტიმედიური მეტამონაცემების სტანდარტების შესაბამისად;
3. ვიდეო ობიექტების აღმოჩენის სემანტიკური მიდგომა, კულტურული მემკვიდრეობის შინაარსზე დაფუძნებული რუკის შესაქმნელად;
4. კავშირის სისტემის უზრუნველყოფა მედიას, კონტენტებს, ობიექტებს, მოვლენებსა და ადამიანებს შორის:
5. სამუზეუმო ნარატივების აღწერა ხელოვნური ინტელექტის მეშვეობით;
6. ბიბლიოთეკებთან, მუზეუმებთან, არქივებთან აუდიო-ვიზუალური ინტეგრაცია.

რამდენად შესაძლებელია ხელოვნური ინტელექტის ტექნოლოგიებზე დაფუძნებული მოდელის დანერგვა საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის მდგრადი დაცვის სფეროში? ამ კითხვაზე პასუხს გასცემს ემპირული კვლევის შედგების ანალიზი, რომელიც მოცემულია შემდეგ თავში.

# თავი 6
# აკმ-ს დიგიტალიზაცია საქართველოში - გამოწვევები და დაძლევის შესაძლებლობები

## 6.1. კვლევის სფერო და მეთოდოლოგია

რაოდენობრივი გამოკითხვა განხორციელდა იმის გარკვევად, თუ რამდენად მზადაა არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის მართვის სისტემა დიგიტალიზაციის პროცესისათვის.

გამოკითხვაში მონაწილეობდა 174 რესპონდენტი შემდეგი მუზეუმებიდან და კვლევითი ცენტრებიდან: საქართველოს ეროვნული მუზეუმი; თბილისის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმი; ქუთაისის სახელმწიფო ისტორიული მუზეუმი, თელავის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმი, საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო; ა(ა)იპ კულტურული მემკვიდრეობის დაცვისა და კვლევის ცენტრი, თსუ ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტი.

კითხვარი შემუშავებული იყო კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სფეროში მომუშავე პერსონალის ისეთი ასპექტების დასაფარად, როგორიცაა: ზოგადი პერსონალური მონაცემები; დიგიტალიზაციის გამოცდილება; კულტურული მემკვიდრეობის (მატერიალური და არამატერიალური) დიგიტალიზაციისთვის საჭირო უნარ-ჩვევები/კომპეტენციები; აკმ-ს სფეროში ხელოვნური ინტელექტის ტექნოლოგიების დანერგვის კურსი და მოლოდინები.

ანკეტა 12 კთხვისგან შედგება, მათგან 2 კითხვა ერთზე მეტი პასუხის შესაძლებლობას იძლევა.

დამუშავებული მონაცემებით, კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სფეროში მომუშავე პერსონალის თითქმის ნახევარი ფლობს მაგისტრის ხარისხს (48%), 2% - დოქტორის ხარისხს; გამოკითხულთა ნახევარი ფლობს ბაკალავრის ხარისხს (50%).

რაც შეეხება მონაწილის დიპლომების საგნობრივ სფეროს, გამოკითხულთა სპეციალობები შემდეგია: არქეოლოგია (32%), სოციალური მეცნიერებები (12%), ისტორია (8%) ეთნოლოგია (8%); ტურიზმის მენეჯმენტი (12%) ხელოვნების ისტორია (12%) მუზეუმოლოგია (5 %); კულტურის მენეჯმენტი (8%) IT ტექნოლოგიები - 3%.

174 რესპონდენტიდან 124 რესპონდენტი (71%) მუშაობს მუზეუმებში, გამოკითხულთა უმეტესობა არიან ქალები (72%), მათგან, 50 წელზე მეტი ასაკის (38%), მაგისტრის ხარისხით (71%) ძირითადად არქეოლოგიის დარგში.

**6.2. ემპირული კვლევის ანალიზი**

ევროკომისიის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი რეკომენდაცია, რომელიც გამოქვეყნებულია 2013-2015 წლების პროგრესის ანგარიშში, არის აკმ-ს შენარჩუნების გრძელვადიანი სტრატეგიები და

განხორციელების გეგმები. რომელიც საჯარო დაწესებულებებში ციფრული კულტურული მასალის მიგრაციას ეხება.

ამ ფონზე, შეგროვებული მონაცემებით, რესპონდენტთა თითქმის ნახევარს საერთოდ არ აქვს გამოცდილება დიგიტალიზაციის სფეროში. რაც შეეხება გამოყენებული ტექნოლოგიური ინსტრუმენტების ტიპებს, კვლევამ გამოავლინა, რომ დომინანტ მონაწილეთა ჯგუფი საშუალო კომპიუტერის მომხმარებლის სტანდარტს აკმაყოფილებს, როგორიცაა: ოფისის, ფოსტისა და სოციალური მედიის გამოყენების უნარები; არიან ისეთებიც, რომლებიც ფლობენ ძირითად ინსტრუმენტებს: კამერა, დრონი, ვიდეო/ფოტოს მონტაჟი. მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ რესპონდენტთა უმეტესობას აქვს ცოდნა კულტურული მემკვიდრეობის (მატერიალური და არამატერიალური) სამართლებრივი ბაზის შესახებ;

გამოკითხვამ აჩვენა ვებ/აპლიკაციის განვითარების ყველაზე ნაკლები უნარი (65%) ორგანიზაციის ციფრულ გუნდში. ამ კითხვაზე შესაძლებელი იყო ერთზე მეტი პასუხის გაცემა. ამიტომ, ორი და მეტი პასუხის მიხედვით, IT ტექნოლოგიებთან დაკავშირებული უნარების მაჩვენებელი შემდეგია: სოციალური მედია მიუთითა - 19%; მონაცემთა მართვა/ანალიზი - 25%; ტექნიკური ხელმძღვანელობა - 30%; ციფრული დიზაინი - 35%; IP და უფლებების მართვა - 17%; მულტიმედია წარმოება- 27%; ელექტრონული კომერცია - 43%; კონტენტის მენეჯმენტი - 31%; პროდუქტის მენეჯმენტი - 42%; ციფრული მარკეტინგი - 46%' ელექტრონული კომუნიკაციები - 19%

კითხვაზე: თუ რამდენად იციან რესპოდენტებმა ქვეყნის მიერ მიღებული სახელმძღვანელო ინსტრუქციების შესახებ არამატერიალური აქტივების კატალოგიზაციის, შენარჩუნებისა და პრეზენტაციის სფეროში, დადებითად უპასუხა - 63%-მა; ასეთი ინსტრუქციების შესახებ ინფორმაცია არ აქვს - 37%.

არამატერიალური აქტივების კატალოგიზაციაში მუშაობის შესაძლებლობაზე მხოლოდ - 8%-მა გასცა დადებითი პასუხი. ასეთი შესაძლებლობა არ ჰქონია გამოკითხულთა- 92%.

გამოკითხვის შედეგების მიხედვით მუზეუმებსა და კულტურული მემკვიდრეობის დაცვის დაწესებულებებს აკმ-ს ციფრული კოლექციის დაწერილი სტრატეგიის არსებობის შესახებ დადებითი პასუხი გასცა - 16%, უარყოფითი პასუხი - 70%; სტრატეგიის შესახებ ინფორმაცია არ აქვს - 14%.

### 6.3.ემპირიული კვლევის შეჯამება

გამოკითხვის შედეგების ანალიზის საფუძველზე ვასკვნით, რომ აუცილებელია კულტურული მემკვიდრეობის დიგიტალიზაციის საჭირო, შესაბამისი ცოდნის ბაზის შექმნა,

პერსონალის შესაძლებლობების გაძლიერება და მუზეუმის პროფესიონალებით უზრუნველყოფა, ანუ, ციფრული კომპეტენციების განვითარებისა და განხორციელებისთვის სატრენინგო სისტემის დანერგვა;

შესამუშავებელია აკმ-ს დიგიტალიზაციის სტრატეგიები საერთო სტანდარტებსა და მიდგომებზე დაყრდნობით, რათა მუზეუმები გახდნენ უფრო ხელმისაწვდომი და საინტერესონი მომხმარებლისთვის. ხელი შეეწყოს მემკვიდრეობის გადაცემას თაობიდან თაობაზე და მსოფლიო კულტურულ მემკვიდრეობაში საქართველოს ჩართვის პერსპექტივას.

ჩატარებული გამოკითხვით გამოიკვეთა აკმ-ს დიგიტალიზაციისა და ონლაინ ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის აუცილებლობა, რაც გრძელვადიანი დაცვის პოლიტიკის ნაწილი უნდა გახდეს და კულტურის მართვის სფეროში ინოვაციების წახალისებაზე იყოს ორიენტირებული.

**დასკვნა**

არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის დაცვის გეოპოლიტიკური პროცესების დინამიკის ორგანიზაციულ-სამართლებრივი პრობლემების გადაწყვეტა ამ ობიექტის საერთაშორისო უსაფრთხოების კონტექსტსა და დიგიტალიზაციის პროცესის აქტუალიზაციას უკავშირდება.

კულტურული მემკვიდრეობის საერთაშორისო უსაფრთხოების კონტესტში განხილვის საფუძველს წარმოადგენს გაეროს უშიშროების საბჭოს 2017 წლის N 2347 რეზოლუცია, თუმცა მისი გამოყენებადობის ფარგლები ამ ეტაპზე მცირეა.

ვინაიდან, მშვიდობა და გლობალური კულტურა წინასწარ არ არსებობს ხალხის გონებაში და ეს არის დისკურსის შედეგი, ამიტომ, რეზოლუცია კულტურული მემკვიდრეობის ტერორიზმთან ბრძოლის კონტექსტში განხილვას უწყობს ხელს. ამ აქტის შესაბამისად, კულტურული მემკვიდრეობის განადგურება განიხილება, როგორც მოსახლეობის მოსპობის, ადამიანებით ვაჭრობის, მასობრივი განადგურების იარაღის გავრცელების დონის დანაშაულად. კულტურული მემკვიდრეობის იდეოლოგიური ნაწილს დაემატა მემკვიდრეობის განადგურების პროფილაქტიკის ღონისძიებების პრაქტიკული ნაწილი. ასეთ ვითარებაში მეცნიერების სადისკუსიო თემა უნდა გახდეს კულტურული მემკვიდრეობის მდგრადობის ინდექსის შემუშავება და კონკრეტული ინდიკატორების შერჩევა. ინდექსი უნდა დაეყრდნოს UNESCO-ს მონაცემებს და „მრავალ მიზეზთა“ მეთოდს. ამ მეთოდის საშუალებით, მოვლენის რთულად გაზომვადობის მიუხედავად,

შესაძლებელია, კონფლიქტის გამო, კულტურული მემკვიდრეობის მდგრადობის კონცეფციის მოდელირება.

იქიდან გამომდინარე, რომ UNESCO არ განიხილავს არაღიარებული სახელმწიფოების ტერიტორიებზე მდებარე კულტურულ ობიექტებს მსოფლიო კულტურულ მემკვიდრეობათა ნუსხაში ჩართვის საკითხს, ამ ახალ მიდგომას საქართველოს კონფლიქტურ რეგიონებში არებითი მნიშვნელობა ენიჭება. გაეროს N2347 რეზოლუცია საკმაოდ კარგი მექანიზმია აფხაზეთში კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საკითხებზე, საქართველოს მხრიდან დისკურსის გასახსნელად, რადგან წინა პლანზე იწევს მემკვიდრეობის დაცვის იდეოლოგია და ძეგლების განადგურების პროფილაქტიკა. ამასთან, აჩენს კონფლიქტის რეგიონში კულტურული დიპლომატიის განვითარების შესაძლებლობას.

გეოპოლიტიკურ კონტექსტში, საქართველოს კულტურული დიპლომატიის ერთ-ერთ ამოცანას, სოციალურ-ეკონომიკური თანამშრომლობის ახალი გზების ძიება წარმოადგენს. ამ თვალსაზრისით, იშვიათი ტექნოლოგიები, როგორც არამატერიალური მემკვიდრეობის ობიექტი ის რესურსია, რომლის მეშვეობით ჩნდება ეკონომიკურ-პოლიტიკური პროექტების პერსპექტივასამი ევრაზიული ალიანსის ფარგლებში.

არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის მრავალფეროვნება ზრდის ამ გვარეობითი ობიექტის მართვის სირთულეს. მიუხედვად ამისა, სახელმწიფოებმა უკვე გაუსწრეს იუნესკოს „არამატერიალური“ ან „ცოცხალი“ კულტურის განმარტების გაფართოებისა და ახალი ფორმების გამოვლენის საკითხში. ამ პროცესში საქართველოს ჩართულობისთვის, ეთნოგრაფიული და ეთნოლოგიური კვლევების საფუძველზე, აუცილებელია აკმ-ს მუდმივი ინვენტარიზაცია. ამ პრინციპის გათვალისწინებით, გამოვლენილია იშვიათი ტექნოლოგიების რამდენიმე ახალი ობიეტი: ქვევრის ღვინის დაყენების ტექნოლოგია ვაზის განაშენიანების ადგილის კომლექსური მართვით; ქართული აბრეშუმის ტექნოლოგია; „გელათური აზროვნება“, როგორც განათლების, მეცნიერებისა და პრაქტიკის ინტერდიციპლინური მართვის ტრადიცია; Terra Rossa (წითელმიწა ნიადაგი), როგორც მიწის მდგრადი მართვის სახელმწიფო პოლიტიკაში კულტურული მემკვიდრეობის ობიექტი.

საქართველო-იაპონიას შორის ურთიერთობები, აკმ-ს რესურსის კულტურული დიპლომატიის საერთო ტრადიციებსა და ახალი ტექნოლოგიების დანერგვაში, გამოცდილების გაზიარების პერსპექტივას ქმნის. იაპონიის ღვინის კულტურის დაცვის პრაქტიკა „ქსელური მართვის“ პრინციპს ეფუძნება, რომელიც გულისხმობს მთავრობას, კერძო კომპანიებს,

ინდივიდუალურ მეღვინეებს, კვლევით ინსტიტუტებსა და მომხმარებლებს შორის ფუნქციათა განაწილებას. „ქსელური მართვის“ წარმატებული პრაქტიკის გაზიარებისა და იშვიათი ტექნოლოგიების გეოსტრატეგიულ პროექტებში ჩართვის კონცეფციიდან გამომდინარე, საქართველოს მთავრობის მიერ ღვინის ისტორიაზე დაფუძნებული მარკეტინგული სტრატეგიის - „ღვინის გზის“ - გაფართოებისს საჭიროება დგება. სტრატეგია უნდა დაეფუძნოს ისეთ ელემენტებს, როგორიცაა: კულტურული ტურიზმი, ინვესტიციების პროფილურობა, სიმბოლოების შექმნა, ბრენდირება, ადგილის განცდა/შეგრძნება, იდენტობა, პროცესში ადგილორივი თემების ჩართულობა, საკადრო რესურსი, სოციალური ერთიანობა, ეკონომიკური გამოსავლიანობის მექანიზმების შემუშავება და ა.შ.

ქართული აბრეშუმის ტექნოლოგიის შენარჩუნებისა და განვითარების ტენდენციები კომპლექსური მიდგომით (ღირებულებითი ჯაჭვი) დარგის მართვის აუცილებლობას უკავშირდება. საქართველოში მეაბრეშუმეობის დარგის აღორძინების უამრავი რეკომენდაცია არსებობს, მაგრამ პროცესი წინ ვერ მიდის.

